დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 24 - 30 მარტი

N 13 1584

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



3,5,

## „ზვიადის მკვლელებიდან ერთი მოკვდა, მეორე კი გაგიჟდა!“

„ზურაბ ადეიშვილმა რომ თქვას, თუ ვის აწყობდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის დამალვა დღევანდელ ხელისუფლებაში, მაშინ დღევანდელი ხელისუფლება საქართველოდან უნდა გაიქცეს!“

## „ზვიად გამსახურდია სწორედ ფარულმა დასმა მოკლა!“





„ცოტნე გამსახურდიას სასიკვდილოდ გამეტება ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს: ცოტნეს სიმართლე არ უნდა ეთქვა!“



7,9,11

## გელა ნიკოლაიშვილი:

ქართველი ერი ვალდებულია, ტრამპს თანადგომა გამოუცხადოს და ფარული დასის დამარცხებაში წვლილი შეიტანოს!

8









## „ხელისუფლებას არ აწყობს ადეიშვილის ალაპარაკება!“

„ქართულ ოცნებას“ ზვიადის მკვლელობა ადეიშვილმა გახსნილი დაახვედრა!“

## აუ, რა წერია!



ნაცი (ვტ. 1194, 4) საჯდომს არა ნიშ
არამედ ნაცემსა, ესე იგი განხრწ
წინა საუშვეროჲ ასოსა დიაცისასა.
ც ი — სხეულნაცემი, ხრწნილე
ლებული A,
შდრ. უცი.





20

რას მალავს ქართული სიტყვა?



4

## სტრატეგიული დედა

## დოდო ხურცილავა:

ქუჩაში მდგომმა 300-400 კაცმა რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაზე?

6



## ლალი მოროშკინა:



შემთხვევით არ თქვა გვარამიამ, ნანუკა ჟორჟოლიანის გამო გავიდე ქუჩაში?!

12



ჯალათი კოდუას ნაცოლარი და ჯალათი სააკაშვილის ნაპრემიერალი

2

რამდენს ბედავენ?



## ჰკა მაგათ!

## ქეთევან კრავეიშვილი:

მანუჩარი ვერძია, მე - ლომი, ვეხუმრები ხოლმე, ვერძი ლომს ვერ მოერევა-მეთქი!



28





## ჯალათი კოდუას ნაცოლარი და ჯალათი სააკაშვილის ნაპრემიერალი რამდენს ბედავენ?!

# ჰკა მაგათ!

***2025 წლის 17 მარტს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ის ფონდები დააყადაღა, რომლებიც ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობის პროცესში იყვნენ ჩართული და ძალადობრივი საპროტესტო აქციების ავანგარდში მყოფ ექსტრემისტულ ჯგუფებს აფინანსებდნენ.***

ფონდების დაყადაღება მოხდა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, რომელიც **საბოტაჟის, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობის, უცხოური ორგანიზაციისა და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის მტრულ საქმიანობაში დახმარების, ასევე საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისათვის ფინანსების მობილიზების ფაქტებზე** მიმდინარეობს.

ამ ეტაპზე დაყადაღებულია **„ნანუკას ფონდი“, „ფროსფერითი“, „ფონდი ერთმანეთისთვის 24/7“, „სირცხვილია“ და „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“,** რომლებიც, პროკურატურის განცხადების თანახმად, კანონსაწინააღმდეგო ღონისძიებებს აფინანსებდნენ და მატერიალურ დახმარებას უწევდნენ დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართულ პირებსა და მათი ოჯახის წევრებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ **აწ უკვე დაყადაღებულმა ფონდებმა, 2024 წლის დეკემბრიდან მოყოლებული, კანონსაწინააღმდეგო აქტივობების დასაფინანსებლად და დანაშაულებრივ ქმედებებში ჩართული პირების მატერიალური წახალისებისათვის 2 მილიონ ლარზე მეტი დახარჯეს.** პროკურატურის განცხადებით, ფონდების მიერ განხორციელებული ფინანსური ტრანზაქციების დანიშნულებაში პირდაპირ არის მითითებული: **„აქციის საჭირო აღჭურვილობისათვის“, „რაც საჭიროა ბრძოლისთვის“, „აქციებისთვის ინვენტარის შეძენა“, „პიროტექნიკის შესაძენად“, „აირწინაღის შეძენა წინა ხაზის ბავშვებისათვის“** და ა.შ.

გამოძიებით დასტურდება, რომ **„წინა ხაზის ბავშვებში“,** რომლებსაც ხსენებული ფონდები აირწინაღებით, პეტარდებითა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის საჭირო სხვა აღჭურვილობით ამარაგებდნენ, **ის ძალადობრივი ჯგუფები** იგულისხმებიან, რომლებიც საპროტესტო აქციებზე სამართალდამცავებს ესხმოდნენ თავს, პარლამენტის შენობას პეტარდების ცეცხლში ხვევდნენ და არამხოლოდ მუნიციპალურ ინფრასტრუქტურას, არამედ კერძო მესაკუთრეთა ქონებასაც აზიანებდნენ.

**და კიდევ: პროკურატურის მიერ დაყადაღებული ფონდებიდან ხდებოდა იმ ადმინისტრაციული ჯარიმების გადახდაც, აქციის მონაწილეებს გზის გადაკეტვისა და სხვადასხვა სახის კანონდარღვევისათვისთვის რომ ეკისრებათ.**

მოკლედ, პროკურატურის მიერ დაყადაღებული **„ნანუკას ფონდი“, „ფროსფერითი“, „ფონდი ერთმანეთისთვის 24/7“, „სირცხვილია“ და „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი“** ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწეოდნენ და ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების მოშლას ლამობდნენ.

თუნდაც მარტო ის ფაქტი, რომ პროკურატურის მიერ დაყადაღებული ფონდები **უკანონო ქმედებების ჩამდენ მეპროტესტეებს სასამართლოს მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმების გადახდაში** ეხმარებოდნენ, კანონის გაუქმებას, სახელმწიფოს ჩამოშლასა და ქვეყანაში ქაოსის გამოწვევას ემსახურებოდა.

### ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდება, თუ რადიკალურად განწყობილ ჯგუფებს გარანტია ექნებათ, რომ კანონის წინაშე პასუხს არ აგებენ და ნებისმიერი ადმინისტრაციული კანონდარღვევისათვის დაკისრებულ ნებისმიერი ოდენობის ჯარიმას მათ მაგივრად სხვები გადაიხდიან

... ამას შეიძლება, მთელი ქალაქის პარალიზება, სახელმწიფო და მუნიციპალური სამსახურების ფუნქციონირების შეფერხება, საზოგადოებრივი წესრიგის მოშლა, სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება, დესტაბილიზაცია და ანარქია მოჰყვეს.

თუმცა, რადიკალური ნაცოპოზიციის მიზანიც სწორედ ეს არის და აწ უკვე პროკურატურის მიერ დაყადაღებული, **სოლიდარობისა და ქველმოქმედების საფარქვეშ მოქმედი ფონდებიც** ზუსტად ამისათვის შეიქმნა!

აბა, რომელ ქველმოქმედებასა და სოლიდარობაზე უნდა იყოს საუბარი იქ, სადაც **ნანული ჟორჟოლიანი** და მისი **„ნანუკას ფონდი“** არიან?

ან ქველმოქმედებასა და სოლიდარობას რა უნდა იქ, სადაც არიან **ნიკა გილაური** და მისი ფონდი **„ფროსფერითი“?**

აკი, **ჟორჟოლიანიც და გილაურიც** იმ რეჟიმის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არიან, რომლის მთავარი დევიზი და სახელმწიფო პოლიტიკა სოლიდარობა და ჰუმანიზმი კი არა, **ნულოვანი ტოლერანტობა** იყო!

ყოვლად შეუძლებელია, ქვეყნისა და ადამიანისათვის, დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის სასარგებლო საქმე იჩარხებოდეს იქ, სადაც **სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის** მედიაზონდერი **ნანუკა ჟორჟოლიანია** გარეული!

ყოვლად შეუძლებელია, გაჭირვებულისათვის ხელის გამართვასა და უსამართლოდ დაჩაგრულის ქომაგობაზე იყოს საუბარი იქ, სადაც **მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის პროპაგანდისტული რუპორი ნანუკა ჟორჟოლიანი** ფიგურირებს!

იქ, სადაც ნაცბანდის მიერ **ბადრი პატარკაციშვილის** ოჯახისათვის წართმეულ ტელეკომპანია **„იმედში“** ზედამხედველად გამწესებული მაროდიორი და სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ჯალათის — **ერეკლე კოდუას ნაცოლარი ნანუკა ჟორჟოლიანი** დასუნსულებს, მხოლოდ დანაშაული, სისხლი, დესტრუქცია, საბოტაჟი და სადისტური ნაცრეჟიმის რეანიმირების ბნელი მიზანი ჰგიებს!

სხვათაშორის, **ნანული ჟორჟოლიანმა, რომელიც უწიგნურობითა და გაუნათლებლობით დაღდასმულ ნაცმედიაშიც კი თავისი ინტელექტუალური სიბერწითა და წერა-კითხვის მცირემცოდნეობით გამოირჩევა,** პროკურატურის მიერ მისი ფონდის დაყადაღების შემდეგ სოციალურ ქსელში დაწერა — **საბოტაჟი აწი ნახეთო,** მაგრამ, როგორც ჩანს, კეთილისმყოფელებმა აუხსნეს, რომ მისი განცხადება დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა და პოსტი რამდენიმე წუთში წაშალა.

არადა, თუ საქართველოს გენერალური პროკურატურა დაწყებულ გამოძიებას ბოლომდე მიიყვანს და შუა გზაში არ გაჩერდება ისევე, როგორც აქამდე არაერთხელ უქნია, მაშინ ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების დამფინანსებელი ფონდების დაყადაღებას მათ უკან თუ მათ სათავეში მდგომი პერსონების პასუხისგებაში მიცემა უნდა მოჰყვეს.

პირდაპირ რომ ვთქვათ, **ნაცბანდის მედიაზონდერი ნანული ჟორჟოლიანი და ნაცრეჟიმის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური,** რომელთა ფონდები სახელმწიფო გადატრიალებასა და საქართველოს კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს აფინანსებდნენ, განსასჯელის სკამზე უნდა დასხდნენ!

დიახ, **ჯალათი კოდუას ნაცოლარი და ჯალათი სააკაშვილის ნაპრემიერალი** ქართულ სახელმწიფოს ამდენს ვერ უნდა უბედავდნენ!

დიახ, თუ საქართველო მართლა სახელმწიფოა, მაშინ **ჯალათი კოდუას ნაცოლარსა და ჯალათი სააკაშვილის ნაპრემიერალს** არავითარ შემთხვევაში არ უნდა შერჩეთ ის, რომ **კოლექტიური ლაზარე გრიგორიადისების** მიერ ქართველი პოლიციელებისათვის „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლასა და მათი ცოცხლად დაწვის მცდელობას აფინანსებდნენ!

ასე რომ, **ჰკა მაგათ!**

ნაცრევანშისტებს კანონისა და სამართლის მუშტი ცხვირში უნდა მოხვდეთ!

## ნაცბანდის მედიაზონდერი ნანული ჟორჟოლიანი და ნაცრეჟიმის ყოფილი პრემიერი ნიკა გილაური განსასჯელის სკამზე უნდა დასხდნენ!

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



თუ არ გინდა, „ქართული ოცნება“ დარჩეს ხელისუფლებაში და **ითხოვ რიგგარეშე არჩევნებს,** ესე იგი, **გინდა, კოლექტიური ნაცმოძრაობის ოთხი პარტია მოვიდეს ხელისუფლებაში** — მწამებლები, მკვლელები და რეკეტირები.

ჩვენი სურვილია, სრულებით გადაიტვირთოს აშშ-თან ურთიერთობები, სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ სტრატეგიული პარტნიორობა კონკრეტული გზამკვლევით, გვაქვს ღირებულებითი თანხვედრა, მთავარია, კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას.

„იმედინიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**სააკაშვილი საქართველოში შემოპარებამდე ევროკომისიისა და ევროპარლამენტის წარმომადგენლებს შეხვდა** — ეს იმ დროს, როცა მას უკვე მისჯილი ჰქონდა ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა **გირგვლიანის მკვლელობისა და გელაშვილის ცემის** საქმეებზე.

„რეზონანსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ყველა დამნაშავემ, **ვისაც ღალატი აქვს ჩადენილი ქვეყნის წინაშე,** პასუხი უნდა აგოს.

„რეზონანსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



**უდიდესი უტიფრობაა,** როდესაც **პოლიტპატიმრად მოიხსენიებ მიხეილ სააკაშვილს,** რომელმაც დაიმკვიდრა თავისი სახელი და ადგილი ქართულ რეალობაში, როგორც **სისხლიანმა მმართველმა.**

„იმედინიუსი“



# ლაზარე ჟორჟოლიანი:

ვინაიდან არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და არც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა არ გახსნა,

# ვთხოვ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, გაასაჯაროოს ზვიადის მკვლელთა და მკვლელობის დამკვეთთა სახელები!



*უფლებადამცველი ლაზარე ჟორბენაძე,* ***რომელმაც საქართველოს გენერალური პროკურატურის თაროზე შემოდებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე თავიდან ბოლომდე წაიკითხა, აცხადებს, რომ პირველი პრეზიდენტი მოკლეს სულ სხვა ადამიანებმა და არც ბესარიონ გუგუშვილს და არც რობიზონ მარგველანს ზვიადისთვის არ უსვრიათ, თუმცა, პრემიერ-მინისტრთან შეთანხმების გარეშე არაფერი მომხდარა:***

— **პრეზიდენტ ტრამპის** ხელმძღვანელობით დღეს მთელი მსოფლიო ე.წ. **დიფ სთეითს**, ანუ **ფარულ დასს** ებრძვის. საქართველოს პირველი პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია სწორედ ფარულმა დასმა მოკლა, რომელსაც ამერიკის ხელისუფლება წარმოადგენდა.**

**„ზვიად გამსახურდიას საქმე, რომელიც გენერალური პროკურატურის თაროზეა შემოდებული, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ამდენად, რასაც ვიტყვი, იმაზე პასუხისმგებელი ვარ!“**



*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3-12*

**ედუარდ შევარდნაძე** მაშინ ღიად იდგა ამერიკის აგენტურის მხარეს. ამიტომაც იყო, რომ ლეგიტიმურად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის დამხობისა და მკვლელობის გამო არც ევროპას და არც ამერიკას ხმა არ ამოუღიათ! ამერიკული **ფარული დასის აგენტები** მაშინ ოფიციალურად ისხდნენ კრემლში და, ფაქტობრივად, მართავდნენ რუსეთს. ელცინი იყო დიფ სთეითის აგენტი. ამდენად, ზვიად გამსახურდიას დამხობა და მკვლელობა თავიდან ბოლომდე **ფარული დასის** კისერზეა, რომელმაც ამ ბნელი საქმის შესრულება თავის აგენტს — **შევარდნაძეს** დაავალა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ვინაიდან არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის და არც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა არ გახსნა, ვთხოვ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, გაასაჯაროოს ზვიადის მკვლელთა და მკვლელობის დამკვეთთა სახელები!** ეჭვი არ მეპარება, რომ **ზვიადის მკვლელების** და მკვლელობის დამკვეთების შესახებ დოკუმენტების ერთი პირი ამერიკული ცენტრალური დაზვერვის სამმართველოში დევს!

საერთოდ, **შევარდნაძიდან** მოყოლებული დღემდე, ამერიკის სპეცსამსახურები საქართველოში ყველაფერს აკონტროლებენ. აი, მაგალითად 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსების მიერ გორში ჩამოგდებული „ისკანდერის“ ნარჩენები სწორედ ამერიკაში ჰქონდა **სააკაშვილს** გატანილი და **თეა წულუკიანმა,** როგორც მტკიცებულება, იქიდან ჩამოიტანა. სწორედ ასე ექნებათ ამერიკის სპეცსამსახურებს დოკუმენტები ზვიადის მკვლელების შესახებ... თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში არის რიგი საკითხები, რომლებსაც არც

*გაგრძელება მე-5 გვერდზე*



**„ზურაბ ადეიშვილმა რომ თქვას, თუ ვის აწყობდა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმის დამალვა დღევანდელ ხელისუფლებაში, მაშინ დღევანდელი ხელისუფლება საქართველოდან უნდა გაიქცეს!“**

***არსებობს სტრატეგიული გეგმა, სტრატეგიული მიზანი, სტრატეგიული ობიექტი, სტრატეგიული პარტნიორი, სტრატეგიული მოკავშირე და ასე შემდეგ, მაგრამ არსებობს სტრატეგიული დედაც.***



## გიული ალასანია:

***გული მწყდება იმაზე, რომ ჩემს შვილს არ ეყო დავით აღმაშენებლის მაგალითი, ილია ჭავჭავაძის მაგალითი, ზვიად გამსახურდიას მაგალითი, კოსტავას მაგალითი, დაჭკრა ფეხი, წამოვიდა და ჩაბარდა ჯალათებს!***

# სტრატეგიული დედა



მსჯავრდებულ **მიხეილ სააკაშვილს** ჰყავს **სტრატეგიული დედა!**

ესე იგი, **გიული ალასანია** არის **სტრატეგიული დედა!**

უფრო მოკლედ და ინტეგრირებულად რომ ვთქვათ — **სტრატეგიული ალასანია!**

აწ უკვე მრავალგზის დადგენილი და გამოაშკარავებული ფაქტია, რომ ყველა იმ უბედურებაში, რაც ქვეყანას 9-წლიანი მმართველობის განმავლობაში დაატეხა თავს, **მიხეილ სააკაშვილს საკუთარი დედა — გიული ალასანია სტრატეგიულ** მოკავშირედ და **სტრატეგიულ** პარტნიორად ჰყავდა!

**გიული ალასანია** ქვეყნის დაქცევასა და გაუბედურებაში, უდანაშაულო ახალგაზრდების ხოცვასა და პატიმრების წამებაში, ბიზნესის დატერორებასა და მედიის დამონებაში, ელიტურ კორუფციასა და ტერიტორიების დაკარგვაში საკუთარი შვილის **სტრატეგიული მოკავშირე** რომ იყო, ეს განსაკუთრებით საცნაური გახდა მას შემდეგ, რაც **სააკაშვილი** დააპატიმრეს და დედამისმა სატელევიზიო ეთერში გამოჩენას მოუხშირა.

**გიული ალასანია** რაც უფრო მეტჯერ ჩნდებოდა საჯარო სივრცეში და რაც უფრო მეტ განცხადებას აკეთებდა, მით უფრო მკაფიო და უეჭველი ხდებოდა, რომ ის **სტრატეგიული დედა** ბრძანდება!

— პირადად მე მიმაჩნია, რომ ჩემს შვილს, როგორც პრეზიდენტს, შეცდომა არ დაუშვია, ამაში დარწმუნებული ვარ! — განაცხადა **გიული ალასანიამ** მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების შემდეგ.

**არათუ დანაშაული არ ჩაუდენია, არამედ შეცდომაც კი არ დაუშვიაო!**

ეს არ იყო შვილის ბედით შეწუხებული დედის განცხადება!

ეს არც შვილის უკეთურ საქმეთა გამო გულშეწუხებული და სინანულშეპარული დედის განცხადება იყო!

ეს, მითუმეტეს, არ იყო დედობრივი სოლიდარობის განცხადება სააკაშვილის რეჟიმის მიერ შვილებდახვრეტილი დედების მიმართ!

ეს **სტრატეგიული დედის** განცხადება იყო!

მხოლოდ **სააკაშვილის სტრატეგიული მოკავშირე და სტრატეგიული პარტნიორი** იტყოდა, რომ უდანაშაულო ადამიანების ქუჩაში ხოცვას, ციხეებში პატიმრების წამებასა და გაუპატიურებას, მშვიდობიანი მიტინგების სისხლში ჩახშობასა და ცემით მოკლულ მომიტინგეთა გვამების ჯიხურის თავზე შემოდებას, პოლიტიკურ რეპრესიებს, მართლმსაჯულების სისტემის გაბახებას, ბიზნესმენების ცოცხლად გატყავებასა და საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის დაკარგვას არათუ დანაშაულად, არამედ შეცდომადაც კი არ მიიჩნევს!

ჰოდა, თქვა კიდეც ეს **სააკაშვილის სტრატეგიულმა მოკავშირემ, სტრატეგიულმა პარტნიორმა და სტრატეგიულმა დედამ!**

ახლა კი, როცა **მიხეილ სააკაშვილს** საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის საქმეზე სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა, სხვა დანაშაულისათვის მისჯილ 9 წელზე 4,5 წელი დაუმატა და განაჩენთა ერთობლიობით, 12,5-წლიანი პატიმრობა შეუფარდა, **სტრატეგიულმა დედამ** განაცხადა:

> *„გული მწყდება იმაზე, რომ ჩემს შვილს არ ეყო დავით აღმაშენებლის მაგალითი, ილია ჭავჭავაძის მაგალითი, ზვიად გამსახურდიას მაგალითი, კოსტავას მაგალითი, დაჭკრა ფეხი, წამოვიდა და ჩაბარდა ჯალათებს“.*

**ესე იგი, სააკაშვილი ყოფილა დავით აღმაშენებელი, ილია ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ერთად აღებული!**

**სააკაშვილი** დიდგორის ომის მომგებ **დავით აღმაშენებელს** განსაკუთრებით, ალბათ, მაშინ ჰგავდა, როცა 2008 წლის 10 აგვისტოს გორში რუსული თვითმფრინავის ხმა გაიგონა და შიშით მიწაზე გაგორდა!

**სააკაშვილს** ლელთ ღუნიას ეტლში მჯდომ **ილია ჭავჭავაძესთან** ყველაზე მეტი საერთო, ალბათ, მაშინ ჰქონდა, როცა **ელგუჯა ცომაიას ტრაილერის კონტეინერში** არაჟნის ყუთებს შორის დამალეს და საქართველოში კონტრაბანდული ტვირთივით შემოიტანეს!

**სააკაშვილი ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან** სულიერ და იდეურ ერთობას ყველაზე მძაფრად, ალბათ, მაშინ გრძნობდა, როცა კოდორის ხეობასა და ახალგორის რაიონს რუსეთისათვის ხონჩით მისართმევად ამზადებდა!

აბა, **სტრატეგიული** დედა ტყუილად ხომ არ შეადარებდა მას **დავით აღმაშენებელს, ილია ჭავჭავაძეს, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას?**

ახლა უკვე აღარც ის არის გასაკვირი, რატომ გაიზარდა **მიხეილ სააკაშვილი** მანიაკური მიდრეკილებების მქონე კაცთმოძულე სოციოპათად, რატომ დადგა მისგან ძალაუფლებისმოყვარე მიზანთროპი და რატომ ჩამოყალიბდა განდიდების მანიით შეპყრობილ ეგოცენტრისტად, რომელსაც იოტისოდენა სინანულიც კი არ გააჩნია იმ დანაშაულთა გამო, საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ რომ ჩაიდინა...

იმიტომ, რომ ასე ზრდიდა **სტრატეგიული დედა!**

**სტრატეგიული დედა** თავისი განცხადებებით სულ უფრო მეტად გვარწმუნებს, რომ იგი მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შექმნაში საკუთარი შვილის **სტრატეგიული პარტნიორი და სტრატეგიული მოკავშირე** იყო!

**გიული ალასანია მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შექმნაში საკუთარი შვილის სტრატეგიული პარტნიორი იყო!**

ერთხელ, როცა **გიული ალასანიას** შესახებ ვწერდით, გავიხსენეთ დიდი ინგლისელი რეჟისორის **ალფრედ ჰიჩკოკის** გენიალური ფილმი **„ფსიქო“**, რომლის მთავარი გმირი — სერიული მკვლელი ნორმან ბეითსი გარდაცვლილი დედის ცხედარს სახლის სარდაფში მალავს და ყოველი მკვლელობის ჩადენის წინ თავზე მის პარიკს იფარებს, ანუ დანაშაულს დედის სახელით სჩადის... ჰოდა, **გიული ალასანიას** განცხადებები საფუძველს გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რომ **სააკაშვილიც, ჰიჩკოკის „ფსიქოს“ პერსონაჟის მსგავსად, ყოველ დანაშაულს დედამისის სახელითა და შესაძლოა, დედამისის პარიკითაც კი სჩადიოდა.**





ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ **გიული ალასანიამ** მიხეილ სააკაშვილთან **სტრატეგიული პარტნიორობით** უზარმაზარი ხეირი ნახა და ერთი უბრალო, ჯამაგირზე მცხოვრები პროფესორიდან უმაღლესი განათლების სფეროს მონოპოლისტად იქცა, რამდენიმე უნივერსიტეტი დააფუძნა და ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების სახელმწიფო ქონება სიმბოლურ ფასად ჩაიგდო ხელში!

ამიტომაც არის **სტრატეგიული დედისათვის მიხეილ სააკაშვილი** დავით აღმაშენებელიც, ილია ჭავჭავაძეც, ზვიად გამსახურდიაც და მერაბ კოსტავაც!

საქართველოსთვის კი **გიული ალასანიასა და მიხეილ სააკაშვილის სტრატეგიული დედაშვილობა სტრატეგიულ ჭირად** იქცა, რომელსაც ქვეყანა აგერ უკვე 20 წელზე მეტია, იხდის, მაგრამ ბოლომდე ჯერაც ვერ მოიხადა!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**სოზარ სუბარი**
*„ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



**დიფ სთეითს** „ვეთინგზე“ რომ არ დავთანხმდით, სწორედ ამიტომ **ვერ შეძლეს, სასამართლოს ხელით არჩევნების შედეგები გაეუქმებინათ,** თორემ დღეს, კარგ შემთხვევაში, **ქაოსში ჩაძირულები ვიქნებოდით** და ცუდ შემთხვევაში — **ომში.**

„იმედინიუსი“

**არჩილ გორდელაძე**
*პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე*



**მძიმეა აგენტის ბედი,** ვისაც პატრონების დაკრულზე უსიტყვოდ ცეკვა უწევს. არახალია, რომ **ოპოზიციაში ერთმანეთი ნაგინები ჰყავთ,** თუმცა, როცა დავალებას იღებენ, ერთიანდებიან ხოლმე.

„პირველი არხი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



საქართველო მდებარეობს **იქ, სადაც გეოპოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს კვეთს,** რაც ახალ შესაძლებლობებს წარმოშობს და ამ შესაძლებლობებით ეფექტურად სარგებლობისთვის **საკმარისი სიბრძნეა საჭირო.**

„აიპრესი“

**თორნიკე ჭეიშვილი**
*პარლამენტარი*



**სამშობლოს ღალატის მუხლის დაბრუნება** საჭირო გახდა იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყანა რაც შეიძლება უფრო **ეფექტიანად იყოს დაცული უსამშობლო ადამიანებისგან.**

„იმედინიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ თავმჯდომარის მოადგილე*



არჩევნებში კი არა, პოლიტიკაში არ არის **კოლექტიური ნაცმოძრაობის** ადგილი.

„იმედინიუსი“



# ლაზარე ჯორბენაძე: ზვიადის მკვლელები სააკაშვილის ხელისუფლებაშიც მრავლად იყვნენ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაშიც მრავლად არიან!



დასაწყისი
მე-3 გვერდზე

უარვყოფ და არც დავადასტურებ. **ზვიად გამსახურდიას საქმე, რომელიც გენერალური პროკურატურის თაროზეა შემოდებული, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ამდენად, რასაც ვიტყვი, იმაზე პასუხისმგებელი ვარ!**

**— ეს მასალები გენერალურ პროკურატურაში თქვენი მეგობრის — არჩილ კბილაშვილის გენერალური პროკურორობის დროს ნახეთ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეს მასალები მაშინ ვნახე, როცა **სააკაშვილი** ხელისუფლებაში იყო. თუ რატომ ვნახე ეს მასალები, სხვა საკითხია, მაგრამ **შემიძლია, სრული პასუხისმგებლობით გითხრათ, რომ იმ 16 ტომში, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ეხება და გენერალურ პროკურატურაში ვნახე, სრული დომხალია!**

**— ეს რას ნიშნავს?**

## – საქმეში არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებიც, წესით და რიგით, იქ უნდა იყოს! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცას ეს დოკუმენტები საქმიდან ამოღებული აქვს...

საერთოდ, ზვიადის საქმე არის ძალიან მოცულობითი და, როგორც გითხარით, 16 ტომია. **ეს დოკუმენტები ვნახე 2007 წელს, როცა ზვიადის ნეშტი ჩამოასვენეს.** იმის შემდეგ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა და 16 ტომს, ალბათ, რაღაც მასალები კიდევ დაემატა...

**— ზვიად გამსახურდია მთაწმინდაზე 2007 წლის 1 აპრილს დაკრძალეს!**

— სხვათაშორის, **სააკაშვილის ხელისუფლებას უნდოდა, რომ ზვიად გამსახურდიას საქმე მკვლელობის მუხლით გაეგრძელებინა, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლებაშიც იყვნენ და ამ ხელისუფლებაშიც, განსაკუთრებით პროკურატურაში, მრავლად არიან ის მედროვეები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას იარაღით უპირისპირდებოდნენ და ამ საქმის ბოლომდე მიყვანას ეწინააღმდეგებიან.** ამ დაპირისპირების მიუხედავად, ძალთაპირმა **ზურაბ ადეიშვილმა,** რომელიც ადამიანი არ არის და გველის ტვინი აქვს, **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობა გახსნა!

**— თქვენ იმას ამბობთ, რომ „ქართულ ოცნებას“ ზვიადის მკვლელობა გახსნილი დახვდა?**

— დიახ, „ქართულ ოცნებას“ ზვიადის მკვლელობა ადეიშვილმა გახსნილი დაახვედრა, მაგრამ საქმეში არ არის ის მასალები, რომლებიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობის საჯაროდ და იურიდიულად გახსნას სჭირდება! დავიწყოთ იმით, რომ **ზვიად გამსახურდია შევარდნაძის ხელისუფლებამ მოკლა — შევარდნაძის სპეცსამსახურებმა და შევარდნაძის ხალხმა მოკლეს!**

## ერთადერთი, რაც „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გააკეთოს, ისაა, რომ მოძებნოს ის პიროვნება, რომელმაც ზვიადის მკვლელობის საქმიდან უმნიშვნელოვანესი მასალები ამოიღო, იღლიაში ამოიჩარა და გადამალა!

ეს მასალები დასაბრუნებელია...

ზვიადის მკვლელობის საქმეში გამოძიების თავდაპირველ ეტაპზე საერთოდ არ არის ჩატარებული შემთხვევის ადგილის დათვალიერება; თავდაპირველად გამოძიებას არც იმ საწოლის თავი ამოუღია, რომელსაც თითქოსდა ზვიადის თავიდან გამომავალი ტყვია მოხვდა; არც თეთრეული ამოუღიათ, რომელშიც პრეზიდენტი იწვა და არც ზვიად გამსახურდიას ტანსაცმელი... ასეთი დოკუმენტები საქმის მასალებში არ არსებობს. არ არსებობს არც ტყვიის მასრა და გულა, რომლითაც ვითომ ზვიადი მოკლეს. ყველაზე საინტერესო, იცით, რა არის? **1994 წლიდან 2015 წლამდე, ვიდრე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება მკვლელობის მუხლით გადააკვალიფიცირა, საქმეს სისხლის სამართლის კოდექსში არარსებული მუხლით იძიებდნენ!** კერძოდ, საქმეს ერქვა უცნაური სახელი და გამოძიება **„ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების ფაქტზე“** მიმდინარეობდა! ვინც იურისტია და ელემენტარულ რაღაცაში ერკვევა, დამეთანხმება, რომ

## „გარდაცვალების ფაქტზე“ გამოძიების დაწყება არის სრული სიგიჟე, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს!

დიახ, ასეთი მუხლი სისხლის სამართლის კოდექსში არ არის, რაც იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ **ედუარდ შევარდნაძესა და მის ხელისუფლებას საერთოდ არ აწყობდათ ამ საქმის გახსნა!**

**— მაინც რა წერია იმ 16 ტომში, რომელიც ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეს მოიცავს?**

— დავიწყოთ იმით, რომ საქმის პირველი სამი ტომი აბსოლუტური სისულელეა! საქმეში იმ ოთახის თავდაპირველი აღწერილობაც კი არ არის შეტანილი, სადაც ვითომდა ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა. **კარლო ღურწკაია** ჩვენებაში აბსოლუტურ სისულელეს ლაპარაკობს. მაგალითად, ამბობს ასეთ რამეს — ზვიად გამსახურდია ისე ცუდად იყო, ლაპარაკის თავიც კი არ ჰქონდა! მიყვარდა ზვიადი, ძალიან მიყვარდა... მოვიდა, ფეხები დააბაკუნა და თქვა — მე ვარ ზვიად გამსახურდიაო! ოთახში მოსასვენებლად შევუშვი, მაგრამ ოთახიდან საერთოდ არ გამოდიოდა... თავი რომ მოიკლა, ისე ვინერვიულე, კინაღამ გავთავდიო! **კარლო ღურწკაიას** ცოლი **ლიუდმილა ღურწკაიაც** ბოდავს... ამ ბოდვის მიზეზს მე ერთი რამით ვხსნი — **ვიღაცამ, ეტყობა, დაარიგა, ასე და ასე**

გაგრძელება
მე-7 გვერდზე







„ზვიად გამსახურდიას საქმე, რომელიც გენერალური პროკურატურის თაროზეა შემოდებული, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ამდენად, რასაც ვიტყვი, იმაზე პასუხისმგებელი ვარ!“

*ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე გვესაუბრება ხელოვნებათმცოდნე* **დოდო ხურცილავა:**






**დოდო ხურცილავა:**

# ქუჩაში მდგომმა 300-400 კაცმა რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაზე?



# „დაე, გამოვიდნენ 31 მარტსაც, მაინც არაფერი გამოუვათ!“



# «ქუჩაში დგომით არაფერი იცვლება! ჰოდა, იდგნენ, მობეზრდებათ და სახლში წავლენ!»

— ქუჩაში მდგომმა 300-400 კაცმა რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაზე? არავითარი. ერთადერთი, რაც ჩანს, მხოლოდ ის არის, რომ ქართველებს, რომლებსაც არ უნდათ „ქართული ოცნება“ და არჩევნებში ხმა არ მისცეს, არც რევოლუცია უნდათ. მათ სურდათ, თავიანთ რჩეულებს პარლამენტში ხმა ჰქონოდათ, მაგრამ თვითონ ამ არჩეულებმა არ მოინდომეს. **ქუჩაში დგომით კი არაფერი იცვლება! ჰოდა, იდგნენ, მობეზრდებათ და სახლში წავლენ!**

**— უმცროსი თაობა არაკორექტული მიმართვებით იქცევს ყურადღებას...**

— თაობას და ახალგაზრდობას მნიშვნელობა არა აქვს, უზრდელი უზრდელია! **სერგო ორჯონიკიძეც** ახალგაზრდა იყო, აქ რომ ჯარს შემოუძღვა. ხომ ხედავთ, აქ ჩამოსული ლიეტუველები, ლატვიელები და ესტონელები როგორ იბრძვიან, მათ ქვეყანაში ომი რომ არ იყოს და ჩვენ შემოგვაჩეჩონ ეს უბედურება. ის ესტონელი თავისი ქვეყნისთვის ცდილობს, მაგრამ ამათ რატომ უნდათ აქ ომის გაჩაღება, ეს ვერ გამიგია! იმ ვიღაც სულელ გოგონას კი, ქუჩაში რომ უზრდელობს, გონება ისე აქვს დაბნელებული, ვერ დაარწმუნებ, რომ აქ არეულობა ყველაზე მეტად რუსეთს აწყობს.

რამდენიმეს ვკითხე კიდეც — ხმა ვის მიეცით-მეთქი? მიპასუხეს — არავისო! არავის გამო დგახართ გარეთ-მეთქი? როგორც ჩანს, ოპოზიციას მისცეს ხმა, მაგრამ რცხვენიათ. ვატყობ, მიხვედრილები არიან, რომ არაფერი გამოუვათ.

**— მაინც ჯიუტად ითვლიან დღეებს...**

— იდგნენ, კარგია, რომ კოქტეილებს აღარ ისვრიან. მიუხედავად ამ პროტესტისა და ევროპიდან მომდინარე უსამართლობისა, ჩვენი მთავრობა თავის საქმეს მშვიდად და წყნარად აკეთებს, შეიძლება, შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ საბედისწეროს — არა! შეცდომის გამოსწორება შეიძლება, მაგრამ დანაშაულის გამოსწორება შეუძლებელია.

**— 31 მარტს ქუჩის ოპოზიცია გადამწყვეტ დღედ მიიჩნევს — სალომე ზურაბიშვილმა დიდი გარდატეხა დააანონსა...**

— საცოდავია **ზურაბიშვილი...** დაე, გამოვიდნენ 31 მარტსაც, მაინც არაფერი გამოუვათ — ჩვენ მილიონ ორასი ათასი ვართ! **სალომე ზურაბიშვილი** ძლივს შევტენეთ პრეზიდენტის სასახლეში, თუმცა, შევცდით — ყველას წინაშე თავი მოიჭრა. მაგას ვერ იტანენ ისინიც კი, ვინც ქუჩაში მის გვერდით დგომას აპირებს, ეზიზღებათ, მზეთუნახავი რომ არ შეიწყალა!

გასაგებია, 31 მარტი რატომ აირჩია, **ზვიად გამსახურდიას** დაბადების დღეა, თან — რეფერენდუმის. ფიქრობენ, იქნებ როგორმე ხალხი ავანთოთო. ვის ატყუებენ? ახლა გაახსენდათ ზვიადი და რეფერენდუმი? კარგად დაფიქრდნენ, რას უწოდებდა ზვიადს მზეთუნახავის კნეინა.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ შეიწყალა სააკაშვილი?**

— **როგორც მე ვიცი, სააკაშვილმა პანღური ამოარტყა, თან ისე მწარედ, რომ დღემდე ვერ დაივიწყა. მაშინ ეს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და სწორედ ამ მიზეზით წავიდა თანამდებობიდან.** ისე კი, მანამდე უნდა წახვიდე, სანამ პანღურს ამოგკრავენ!

**— ფრანგულ ტელევიზიაში სალომე ზურაბიშვილი სალომე სააკაშვილად მოიხსენიეს...**

— **ზურაბიშვილს** ისეთი სისხლიანი დანაშაული არა აქვს ჩადენილი, როგორც **სააკაშვილს,** თუმცა, როდესაც იქ დგას, სადაც სისხლის მორევია, ამ სიბინძურის თანამონაწილე ხდება. **დამთავრებული ამბავია, ეს ქალი ჩემთვის არაფერს წარმოადგენს.** მაგის მხარეს რომ ვიდექი, ხმა იმისათვის კი არ მივეცი, რომ სხვა გამოსავალი არ მქონდა, მაგის გვარს და ბაბუას ვეცი პატივი. რას ვიზამთ, ხიდან ნაჯახიც გამოდის და ფანდურიც. ეგ ვერც ფანდური გამოვიდა და არც ნაჯახად ივარგა!

**— რატომ მივიდა მასთან ამერიკის ელჩი?**

— დეპრესიული სახე ჰქონდა, შეიძლება უთხრა — წყნარად იყავიო...

**— გიული ალასანიამ სააკაშვილი დავით აღმაშენებელს შეადარა, ილიას, ზვიადს, კოსტავას...**

— ყველა ყვავს თავისი ბახალა მოსწონს...

**— თეატრში პროტესტს როგორ აფასებთ, როდესაც რუსთაველის თეატრის სცენაზე აქციის დროს დაპატიმრებულთა მხარდამჭერი მაისურით გამოჩნდა სამი მსახიობი?**

— ეგ სცენა მე არ მინახავს და არც კარგს ვიტყვი, არც — ცუდს. იმათ თავისებურად უყვართ თეატრი, მე — ჩემებურად. მოვრიგდებით ერთმანეთში, არ მინდა, ვინმეს გული ვატკინო, ან მე ვიტკინო. უფრო სხვა მძიმე და მნიშვნელოვანი საკითხები არსებობს.

**— რა საკითხები?**

— ხომ ხედავთ, ევროპელებს უკრაინაში ომის გაგრძელება უნდათ, 800 მილიარდის შეგროვებას აპირებენ, თან ჩვენზე აუგის თქმასაც ასწრებენ. მაგრამ რა საოცარია, იმავე ევროპის წიაღში, მათ სასამართლოში მათივე მოსამართლეების მიერ განხილულ საქმეებში ჩვენი ქვეყანა გამარჯვებული გამოდის. ოპოზიციამ რამდენჯერაც იჩივლა, იმდენჯერ წააგო!

ამიტომ იმედიანად ვარ, ჩვენი მთავრობა, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, თავის საქმეს მშვიდად აკეთებს და გონიერი პოლიტიკით ფონს გავდივართ!

*ესაუბრა* ***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ვატო შაქარიშვილი**
*„ნეიტრალური საქართველოს“ წევრი*



საქართველოში, წლებია, **შემოდის და ტრიალებს ფული, რომელიც ხმარდება ქვეყანაში რევოლუციური პროცესების დაფინანსებას, გადატრიალების მცდელობებს, ანტისახელმწიფოებრივ და ანტიქართულ საქმიანობას,** მათ შორის, **ეს ფონდები საჯაროდ მოუწოდებდნენ ადამიანებს დანაშაულის ჩადენისკენ** და შემდეგ მათ ჰპირდებოდნენ კომპენსაციას თუ სხვაგვარ სამართლებრივ დახმარებას.

„პირველი არხი“

**ზაალ მიქელაძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



როცა ადამიანები სხვადასხვა შეხვედრაზე **მადლობას გვიხდიან მშვიდობისთვის,** იქვე გვახსენებენ, რომ **ქვეყანა მშვიდობის მიუხედავად, ნარკოტიკების გამო კარგავს თაობებს.**

„იმედინიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



ხელისუფლების მხრიდან **გადაჭარბებული ჰუმანიზმია** ის, რომ **მიხეილ სააკაშვილი** არა საპყრობილეში, არამედ **ოროთახიან ლუქს-პალატაშია წამოგორებული** და იქიდან აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს.

„რეპორტიორი“

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



უკეთესი იქნება, **სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევის ნაცვლად, კაია კალასმა** საკუთარი ოჯახის წევრებს **რუსებთან ბიზნესურთიერთობები შეუზღუდოს.**

„პირველი არხი“

**თამარ ჩიხურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მაინტერესებს, **რამდენი დღე იარსებებდა** ევროკავშირის ქვეყნებში ისეთი ფონდი, რომელიც **ღიად და დაუფარავად აფინანსებდა კანონდარღვევას და რევოლუციას ქვეყანაში?**

„იმედინიუსი“



## ლაზარე ჯორბენაძე:

### 1994 წლიდან 2015 წლამდე, ვიდრე „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება მკვლელობის მუხლით არ გადააკვალიფიცირა,

# საქმეს სისხლის სამართლის კოდექსში არარსებული მუხლით იძიებდნენ!



*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

**ილაპარაკეო! ანდა, ეს ყველაფერი დაუწერა და ხელი მოაწერინა!** როცა მე ამ მასალებს ვეცნობოდი, საქმეში არ იდო **ბესარიონ გუგუშვილის** დაკითხვის ოქმიც; 2007 წლამდე დაკითხული არ იყო არც **რობიზონ მარგველანი...**

**— საქმის მასალებში ზვიადის უშუალო მკვლელებზე მინიშნება არის?**

— აშკარაა, რომ **ვიღაცას ძალიან აწყობდა ზვიადის თვითმკვლელობა...** 2007 წლამდე ზვიადის ნეშტს არ ჩატარებია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. ასეთი ექსპერტიზა ჩატარდა მხოლოდ რუსეთში. **საქართველოში, არც ჩეჩნეთში გადასვენებამდე და არც ჩეჩნეთიდან ჩამოსვენების შემდეგ, პირველი პრეზიდენტის ნეშტს არავითარი ექსპერტიზა არ ჩატარებია.** 2007 წელს **სააკაშვილს** ნამდვილად უნდოდა ზვიადის საქმის გახსნა და ამის უპირველესი მიზეზი იყო მისი ამპარტავნობა. **სააკაშვილს** სურდა, საქართველოს უახლეს ისტორიაში უმაღლესი მსაჯულისა და სამართლიანობის აღმდგენის მანტია მოესხა. მოგეხსენებათ, **ზვიად გამსახურდიას** გროზნოდან ჩამოსვენება სააკაშვილმა თავის თავზე მიიწერა, მაგრამ მერე მოინდომა, პრეზიდენტის მკვლელობის გამხსნელად და დიდ ეროვნულ-სახელმწიფო მოღვაწედ წარმოეჩინა თავი, მაგრამ აი, აქ მოხდა კონფლიქტი **მიხეილ სააკაშვილსა** და **ცოტნე გამსახურდიას** შორის.

**— კონფლიქტი რის გამო მოხდა?**

— **ცოტნე გამსახურდიამ მიხეილ სააკაშვილს ხელი შეუშალა და არ მისცა უფლება, ზვიად გამსახურდიას სახელით ბინძური პოლიტიკური პიარი გაეკეთებინა!** სწორედ ამის გამო **მიხეილ სააკაშვილმა** იგი სასტიკად დასაჯა და ორჯერ ციხეში გამოკეტა. ციხეში **ცოტნე** სასტიკად აწამეს და ბოლოს საერთოდ გადაუარეს! დღეს **ცოტნე გამსახურდია** უმძიმეს მდგომარეობაშია და ამის შესახებ მთელმა საქართველომ იცის! ხაზგასმით ვაცხადებ: **ცოტნე გამსახურდიას ციხეში წამება და ბოლოს სასიკვდილოდ გამეტება ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს — ცოტნეს სიმართლე არ უნდა ეთქვა!** არ დაგვავიწყდეს, რომ ზვიადის მკვლელები სააკაშვილის ხელისუფლებაშიც მრავლად იყვნენ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაშიც მრავლად არიან.

**— იგორ გიორგაძის ჩვენება საქმეში ნახეთ?**

— **იგორ გიორგაძე** გამოკითხულია, მაგრამ იგი აცხადებს, რომ **ზვიად გამსახურდიას** გარდაცვალების შესახებ არაფერი იცის!

**— მერედა, თქვენ ეს გჯერათ?**

— ცხადია, არ მჯერა, მაგრამ **გიორგაძის** ოფიციალური ჩვენება ეს არის. მან კი არა, საქმის მასალების თანახმად, **ზვიადის** მკვლელობის შესახებ **შოთა კვირაიამაც** არაფერი იცის! (იცინის).

**— შოთა კვირაიას ჩვენებაც არის საქმეში?**

— კი, არის, მაგრამ ოფიციალურ ჩვენებაში **კვირაიამაც** არაფერი იცის! იგი ამბობს — ჩემთვის უცნობია, რა მოხდა, ალბათ, გამსახურდიამ თავი მოიკლაო! ხოლო **იგორ გიორგაძე** საერთოდ უარყოფს ყველაფერს — არაფერი ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე, **ზვიად გამსახურდიას** რა დაემართაო?! მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანი არის გარემოებები. კერძოდ,

### სინამდვილეში ზვიადი აღესრულა არა კარლო ღურწკაიას სახლში, არამედ სოფელ ძველი ხიბულიდან დაახლოებით 8-9 კილომეტრის მოშორებით – ტყეში!

თუ **შევარდნაძე** მართალი იყო და **ზვიადის** მკვლელობაში მისი ხელი არ ერია, მაშინ ის აუცილებლად ჩაუტარებდა ზვიადის გვამს სასამართლო-სამედიცინო, ტრასოლოგიურ, ბალისტიკურ და, რაც მთავარია, ქიმიურ ექსპერტიზას! საქმე ის გახლავთ, რომ **„თვითმკვლელ“ ზვიად გამსახურდიას ხელზე, რომელშიც მას „სტეჩკინის“ პისტოლეტი დააჭერინეს, აუცილებლად ექნებოდა დენთის კვალი.** შევარდნაძის ხელისუფლებამ მსგავსი არაფერი გააკეთა, შემთხვევის ადგილიც კი არ დაათვალიერა და, როგორც გითხარით, არცერთი ის ნივთი არ ამოიღო, რომელთანაც **პრეზიდენტ გამსახურდიას** კავშირი ჰქონდა. ვიმეორებ: **საქმეს არარსებული მუხლით იძიებდნენ, ანუ**

*გაგრძელება მე-9 გვერდზე*


დამოუკიდებელი და ზეპარტიული გაზეთი
ნამდვილი დამოუკიდებლობის გზა ეროვნული ღირსების აღორძინებით უნდა დაიწყოს! ზვიად გამსახურდია
ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.GE
2015 წლის 29 ივნისი- 5 ივლისი
N26 (1078)
ფასი 2 ლარი და 50 თეთრი

„პარლამენტი თბილისში უნდა დაბრუნდეს!“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან

„ხაზგასმით ვამბობ, რომ ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო და ეროვნული ბანკი ურთიერთშეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ! მათ შორის კოორდინაციის ძალიან მაღალი დონის არსებობა გარდაუვლად აუცილებელია!“

„ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი მძიმე გამოწვევაა!“

ირაკლი ღარიბაშვილი:

მე მინდა, მივესალმო „ასავალ-დასავალის“ წამოწყებას საქართველოს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების გამოძიებასთან დაკავშირებით და მხარდაჭერა აღვითქვათ ამ საქმეში!

კომუნიკაციის ნაკლებობა მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის!

დიახ, ეროვნული ბანკის, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროების მხრიდან შესაძლებელი იყო, მოსახლეობისათვის უფრო კარგად აგვეხსნა, თუ რა იწვევდა ლარის კურსის ვარდნას, რაც, პირველ ეტაპზე, სათანადოდ ვერ გაკეთდა.

საერთოდ, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ...

... კთან კონსტრუქციული ურთიერთობის სურვილი, რადგან ჩვენ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისად ვმოქმედებთ და არა პირადი სურვილებისა და ემოციების მიხედვით!

— სამომავლო პროგნოზი როგორია?

— ეროვნული ბანკის პროგნოზით, უახლოესი ...

### „ზვიად გამსახურდიას საქმე, რომელიც გენერალური პროკურატურის თაროზეა შემოდებული, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ამდენად, რასაც ვიტყვი, იმაზე პასუხისმგებელი ვარ!“



# „ქართულ ოცნებას“ ზვიადის მკვლელობა ადეიშვილმა გახსნილი დაახვედრა!

# გელა ნიკოლაიშვილი:

# ქართველი ერი ვალდებულია, ტრამპს თანადგომა გამოუცხადოს და ფარული დასის დამარცხებაში წვლილი შეიტანოს!



***მსოფლიო ღიფ სთეითზე ალაპარაკდა. აღმოჩნდა, რომ ეს „რუხი კარდინალები“ უკვე ათწლეულებია, პლანეტის მასშტაბით შავ საქმეებს ასრულებენ, იწყებენ ომებს, ავრცელებენ დაავადებებს, ათეთრებენ კრიმინალურ თანხებს და უხეშად ერევიან უკლებლივ ყველა ქვეყნის საშინაო საქმეებში. ბუნებრივია, ღიფ სთეითის მსახვრალი ხელი არც საქართველოს დაინდობდა. მაინც, როგორ გამოვლინდა იგი ჩვენს ქვეყანაში? — გვესაუბრება უფლებადამცველი გელა ნიკოლაიშვილი:***

— თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ აღფრთოვანებული ვარ „ასავალ-დასავალის“ რედაქტორის **ლაშა ნადარეიშვილის** მიერ უკვე მთელ მსოფლიოში გახმაურებული ამ ტერმინის გადმოქართულებით — დიახ, როგორც მან უწოდა, **ღიფ სთეითი** არის **მსოფლიო ფარული დასი** და ამ მოკლე ქართულ შესატყვისში მთლიანად არის ჩაქსოვილი **ღიფ სთეითის** ღრმა შინაარსი და მნიშვნელობა, რაზეც ამერიკის პრეზიდენტი და აწ უკვე მთელი მსოფლიო საუბრობს.

**— რა ხნის არის ფარული დასი? ანუ რამდენი ხანია, რაც იგი ფარულად მოქმედებს?**

— ამის თქმა ძნელია, თუმცა, **ფარულ დასთან** მიმართებაში ჩემს გონებაში ჩნდება პარალელი ძალაუფლებაში „ბოლშევიკების“ მოსვლასთან. საქმე იმაშია, რომ ისინი თავიანთ პარტიაში იყვნენ უმრავლესობა (მენშევიკებთან შედარებით), თორემ სრულიად ქვეყანაში, საზოგადოებაში — უმცირესობას წარმოადგენდნენ. მათ შექმნეს მეცნიერული თეორია, რანაირად შეიძლება ქვეყანაში საზოგადოების უმცირესობა არა არჩევნებით, არამედ რევოლუციისა და შეიარაღებული გადატრიალების გზით დაეუფლოს ძალაუფლებას, ხოლო შემდეგ თავის ნებაზე მართოს მოსახლეობის უმრავლესობა. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან 70 წლის შემდეგ ბოლშევიკების ძალაუფლება დაამხო და საბჭოთა კავშირი დაშალა დასავლურმა „ლიბერალურ-დემოკრატიულმა“ იდეოლოგიამ და პლანეტაზე 90-იანი წლებიდან ერთპოლუსიანი დიქტატურა დაამყარა. **მოკლედ, როგორც ერთ ზღაპარშია — უფლისწულმა გველეშაპი დაამარცხა და შემდეგ თვითონ გახდა გველეშაპი!**

**— რა არის ფარული დასის მოქმედების მთავარი ლაიტმოტივი?**

— სხვადასხვა მაქინაციებით და ცრუსასწაულებით საზოგადოების უმცირესობამ, რომელიც **ფარული დასის** ადეპტებისგან იმართება, თავი უნდა წარმოაჩინოს უმრავლესობად და, დემოკრატიის პოსტულატების შესაბამისად, უმრავლესობის სახელით იმოქმედოს. ეს მეთოდი თავიდან პლანეტის საზოგადოებისთვის საიდუმლო იყო, მაგრამ 90-იანი წლებიდან კაცობრიობამ უკვე დანამდვილებით იცის, რომ არსებობს საზოგადოების აბსოლუტური უმცირესობის მხრიდან აბსოლუტურ უმრავლესობაზე გამარჯვების და გაბატონების მეცნიერული მეთოდები. თუნდაც, **პიტერ აკერმანი,** რომლის სახელიც სერბეთში ხელისუფლების დამხობას უკავშირდება და რომელიც 2022 წლის აპრილის დასაწყისში საქართველოში ჩამოვიდა და ტრენინგები ჩაუტარა ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. შეგახსენებთ, რომ აკერმანი ამ შეხვედრიდან რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა, მაგრამ დატოვა სახელმძღვანელო მეთოდები, რომლებიც მსოფლიო საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია და სწორედ ამ მეთოდების მიხედვით მოქმედებს დღეს უმცირესობა, რომელიც ხელისუფლების დამხობას გაშმაგებით, თუმცა, აქამდე უშედეგოდ ცდილობს.

საქართველო ფერადი რევოლუციების პიონერიც არის, მოგეხსენებათ, 2003 წელს სწორედ საქართველოში განხორციელდა ვარდების რევოლუციის მეთოდოლოგიით ხელისუფლების ცვლილება, რის მერეც სააკაშვილის რეჟიმი დამკვიდრდა. მოკლედ, **ფარული დასი** დასამხობად იმეტებს ნებისმიერ ხელისუფლებას, რომელიც მის არაოფიციალურ მითითებებს არ ემორჩილება.

**— ბოლო პერიოდში რა ფორმით გამოიხატა საქართველოში ფარული დასის აქტიურობა?**

— 2003 წელს სწორედ **ფარულმა დასმა** მოიყვანა რევოლუციური გზით საქართველოს სათავეში სააკაშვილის რეჟიმი! უფრო ადრე, **ფარული დასის** წაქეზებით, დაამხეს საქართველოში დემოკრატიული არჩევნებით არჩეული კანონიერი ხელისუფლება! **ფარულმა დასმა** მოახდინა **ზვიად გამსახურდიას** ლიკვიდაცია, რომელიც რეგიონში მის ინტერესებს შეეწინააღმდეგა!

**ფარულმა დასმა** ჩამოიყვანა და სახელმწიფოს მეთაურად გაამწესა ედუარდ შევარდნაძე!

უნდა ითქვას, რომ თავის დროზე **გორბაჩოვიც ფარულმა დასმა** მოიყვანა საბჭოთა კავშირის სათავეში, რათა წინასწარ ჩაფიქრებული და მომზადებული გეგმით ეს უზარმაზარი სახელმწიფო დაეშალათ!

**ფარულმა დასმა** უწოდა სისხლიანი რეჟიმის ლიდერ სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“ და თვალი დახუჭა ამ რეჟიმის უამრავ დანაშაულზე!

მას მერე, რაც **ფარული დასის** სრულად მორჩილი სააკაშვილის რეჟიმი არჩევნებში დამარცხდა და ხელისუფლების დათმობა მოუწია, სწორედ **ფარული დასის** დაჟინებული მოთხოვნით, საქართველოს ხელისუფლება აიძულეს, კოჰაბიტაცია გამოეცხადებინა, რის შედეგადაც რეჟიმის თვალსაჩინო დამნაშავეებმა არამხოლოდ ობიექტური სასჯელები აირიდეს და ხალხისთვის და სახელმწიფოსთვის წართმეული რესურსები შეირჩინეს, არამედ ახალ ხელისუფლებაში მაღალი თანამდებობებიც შეინარჩუნეს! რეჟიმის ცალკეული წარმომადგენლები კი საზოგადოებისთვის საჩვენებლად, თუმცა, სიმბოლური სასჯელებით გაამწესეს ციხე-კოლონიებში.

## ფარული დასის ჩარევის შედეგად ვერ შედგა ნიურნბერგის პროცესის მსგავსი სასამართლო, ნაციონალური მოძრაობა არ გამოცხადდა

## დანაშაულებრივ ორგანიზაციად და ვერ მოხერხდა მისი აკრძალვა!

**ფარული დასი** მიუთითებს, თუ რომელი კანონის მიღება „შეიძლება“ და რომლის — არა!

**ფარული დასის** დაჟინებაა, პატიმარი სააკაშვილი სასათბურე პირობებში ამყოფოს ხელისუფლებამ და არა იმ ბრალდებების ფარგლებში გაასამართლოს, რაც მის მიმართ საზოგადოებას გააჩნია, არამედ ეს მძიმე ბრალდებები გააშარჟოს.

**ფარული დასის** მითითებით გამოაცხადეს უცხოური გავლენის აგენტების შესახებ მიღებული ახალი კანონი „რუსულ კანონად“, მაშინ, როდესაც ანალოგიური კანონი მრავალ განვითარებულ ქვეყანაში მოქმედებს.

საზოგადოება რა ხანია, დარწმუნდა, რომ **ფარული დასის** საქმიანობა უკვე არცთუ ბუნდოვან, მათსავე ინტერესებს არის მორგებული და არა — სამართლიანობის პრინციპებს! აგერ, თუნდაც სირიაში — მცირეწლოვან ბავშვებს კლავენ **ფარული დასის** დუმილის ფონზე! არადა, იმავე **ფარული დასის** ადეპტები „წამებას“ უტოლებენ, თუ აგრესიულ მანიფესტანტებს მთავრობა ოდენ, წყლის ჭავლის გამოყენებით დაშლის!

**— რატომ იქცა ფარული დასის ცხოვრების წესის მიმდევრობა ერთგვარ მოდად?**

— საბჭოთა პერიოდში კარიერულად წინ ვერავინ წაიწევდა, თუ კომპარტიის წევრი არ იქნებოდა! პარტიის მანდატი თითქოს ერთგვარი ვიზა იყო, მმართველ ელიტას პიროვნება „თავის კაცად“ ეღიარებინა. **ფარულ დასსაც** აქვს საკუთარი კარიერული წინსვლის გასაღები: მათი კლიშეების მიხედვით, პიროვნებას სანდოდ არ ჩათვლიან, მეტიც — ყოველმხრივ პრობლემებს შეუქმნიან, თუ იგი ლგბტ ცხოვრების წესს ეწინააღმდეგება. შესაბამისად, საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი, თუნდაც არ იყოს ლგბტ წარმომადგენელი, ამას საკუთარი ინიციატივით იბრალებს, რათა კარიერაში ხელი არ შეეშალოთ! მოვესწარით ისეთ აჴირებასაც, როცა ამერიკაში თეთრკანიანები შავკანიან მოქალაქეებს უჩოქებდნენ და პატიებას სთხოვდნენ წარსულში შავკანიანების შევიწროების გამო. აქეთ — „ქალთა უფლებები“ აიტაცეს და გააფეტიშეს... 20 წლის წინათ თავად **ტრამპი** გახდა ქალის მსხვერპლი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ მან სექსუალურად შეავიწროვა. საკმარისია, ქალმა მამაკაცზე თქვას — სექსუალურად მავიწროებსო, რომ მას საზოგადოება გარიყავს. მსგავს სხვა მიდგომებსაც **ფარული დასი** აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს, რათა პიროვნება თავის ერთგულად მოიაზროს.

**— ვინც ღიფ სთეითის, ანუ ფარული დასის უცნაურ გამოწვევებს ეწინააღმდეგება, რა მოელის?**

— აფერხებენ კარიერაში, ყოველმხრივ დევნიან და შესაძლოა, ფიზიკურადაც მოიშორონ. ზვიად გამსახურდიაზე უკვე მოგახსენეთ. არ გამოვრიცხავ, ფარული დასის ხელი ერიოს ზურაბ ჟვანიას, ბადრი პატარკაციშვილის, გურამ შარაძის სიკვდილშიც! ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** პირდაპირ ომი გამოუცხადა **ფარულ დასს** და, შესაბამისად, საკუთარი სიცოცხლე დიდი რისკის ქვეშ დააყენა. **ფარული დასი** მის ლიკვიდაციას თუ ვერ ბედავს, მიზეზი ის გახლავთ, რომ მთელი პლანეტის მასშტაბით **ტრამპი** მოსახლეობის უპრეცედენტო მხარდაჭერით სარგებლობს. ამის მიუხედავად, რამდენჯერმე საჯაროდ, თუმცა, ამაოდ შეეცდნენ მის განგმირვას!

**— საქართველო მოახერხებს ფარული დასის კლანჭებიდან დასხლტომას?**

— ცალკე საქართველო ვერ მოახერხებს დასხლტომას, ვიდრე **ფარული დასი** სათავეშივე არ განადგურდება! ამიტომ ქართველი ხალხი ვალდებულია, ამერიკის პრეზიდენტს თანადგომა გამოუცხადოს და მსოფლიოს სხვა ერებთან ერთად, **ფარული დასის** დამარცხებაში საკუთარი წვლილი შეიტანოს!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***


ვამხილოთ ფარული დასი!
ვამხილოთ DEEP STATE!
„აღფრთოვანებული ვარ „ასავალ-დასავალის“ რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის მიერ უკვე მთელ მსოფლიოში გახმაურებული ამ ტერმინის გადმოქართულებით — დიახ, როგორც მან უწოდა, დიფ სთეითი არის მსოფლიო ფარული დასი!“
...სულ-ინგლისური კალკით ჩამოყალიბებული აბსურდული ტერმინი **глубинное государство (სიღრმისეული სახელმწიფო)** ოდნავადაც ვერ გამოხატავს ამ ინგლისური სიტყვათწყობის შინაარსს, რომელიც **არაფორმალური, საიდუმლო, უხილავი** თუ **იატაკქვეშა** მმართველობის ფორმაზე მიანიშნებს. **კულისებიდან მართული** სახელმწიფო აპარატი, ანუ **იდუმალი პარალელური ხელისუფლება** უდავოდ საჭიროებს იმ მოქნილ, ფრაზეოლოგიურად ზუსტ ტერმინს, რომელიც ერთბაშად ცხადყოფს **„დიფ სთეითის“** ჭეშმარიტ ბუნებას და მის სპეციფიკურ მრავალწახნაგოვნებას. მოდით, ყოველგვარი შეთქმულების თეორიების იგნორირებით **ვიპოვოთ შესაბამისი ხელი და ვცადოთ,** შევარჩიოთ...
...შირე და მემარჯვენე საინფორმაციო საშუალება ამტკიცებდნენ, რომ ყოფილი პრეზიდენტი **ბარაკ ობა-**...
...პექტი განვითარებულ ქვეყნებში და, უპირველესად, ამერიკის შეერთებულ შტატებში. **ლინდსი** აგრეთვე...
...სარგებლო ტერმინია, რომელიც გვეხმარება, გავიაზროთ ნაციონალური უსაფრთხოების ესა თუ ის ას-...
...ტი არსი, ვიდრე მის ადეკვატურ ქართულ შესატყვისს არ ვიპოვით. გაუგებარი **ჩრდილოვანი სახელმწიფო,** გნებავთ, რუ-...
...**დასი,** რომელიც ბოგინობს ხელისუფლების მიღმა, რაც მთავარია, **ეროვნული და სახელმწიფო ინტერესების საზიანოდ!**
***ლაშა ნადარეიშვილი***
ასავალ-დასავალი
WWW.ASAVALI.COM
2025 წლის 13 - 19 იანვარი № 3 1574

## კვირგვინოსნები

**დავით ჩიხლაძე**
*ექსპერტი*



**ფარამ** კიდევ ერთი **უსამშობლო** გამოავლინა — **გილაური,** რომელიც პატრიოტიზმზე გვესაუბრება, **საქართველოს დასაზიანებლად ნახევარ მილიონ დოლარზე მეტს იხდის!**

„რეპორტიორი“

**ემზარ გვენეტაძე**
*ექსპერტი*



ის **ანტიქართული საქმეები,** რომელსაც აქ მყოფი **მეხუთე კოლონის წარმომადგენლები** აკეთებენ, გარედან ზეწოლისა და ლობირების გარეშე არ ხდება — **გილაური** საქართველოს მტრებს უხვად უხდის **ქართველი ხალხისადმი მოპარულ ფულებს.**

„მარშალპრესი“

**ალექსანდრე ტაბატაძე**
*პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



თუ ჯაშუშობაში მხილებული იქნება საქართველოს მოქალაქე, იგი პასუხს აგებს **სამშობლოს ღალატის მუხლით;** თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე იქნება მხილებული, ის **ჯაშუშობის მუხლით** აგებს პასუხს.

„იმედინიუსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**„ამერიკის ხმისა“ და „რადიო თავისუფლების“ მავნებელი ექსპროპაგანდისტები** აღიარებენ და ეამაყებათ, რომ **უცხოეთის აგენტები არიან, „სერგო ორჯონიკიძეობა“** სხვა კი არაფერია.

„იმედინიუსი“

**დავით ქიქინაძე**
*პარტია „ტრიბუნის“ თავმჯდომარე*



**ზვიად გამსახურდიას გზას თუ არ გავაგრძელებთ,** ქვეყანაში არაფერი შეიცვლება. **შევარდნაძის მემკვიდრეებისგან გათავისუფლება გვჭირდება,** რომლებიც **ნაცებიც** და **ქოცებიც** არიან.

„ახალი თაობა“



# ლაზარე ჯორბენაძე:

## ზვიად გამსახურდია ორმა კაცმა მოკლა, ორივე გარდაცვლილია...

# ერთი მოკვდა გაურკვეველ ვითარებაში, მეორე კი გაგიჟდა!



*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

**სინამდვილეში არაფერს იძიებდნენ, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი მოკლეს!**

**— თქვენ თავიდან ბოლომდე წაიკითხეთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმის მასალები?**

— ორდღე-ნახევრის განმავლობაში ვკითხულობდი, დიახ, თავიდან ბოლომდე წავიკითხე!

**— საბოლოოდ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ახლაც მაქვს შთაბეჭდილება... **ზურაბ ადეიშვილი** ისეთი „ჟუკი" იყო, ეს საქმე თაროდან ტყუილად არ ჩამოუღია. დიდია იმის ალბათობა, რომ საქმეში არსებული საჭირო მასალები სპეციალურად გადამალულია, რათა არ დადგენილიყო სიმართლე! როცა მე გავეცანი, გამოძიების მასალები სისტემატიზებული არ იყო... მოგეხსენებათ, გამოძიების მასალები იკვრება, ინომრება და კეთდება სქოლიო, თუ რომელი დოკუმენტი რას ნიშნავს და რა დანიშნულება აქვს. აქ მსგავსი არაფერი იყო გაკეთებული, **რაც იმას ნიშნავს, რომ ვიღაც ამ საქმის გამოძიებას ბლოკავდა!**

**— თქვენ რას ფიქრობთ, მაინც სად არის მნიშვნელოვანი მასალები და ვინ წაიღო ისინი?**

— ვიცნობ რა **ზურაბ ადეიშვილს** და ვიცი, როგორი ძაღლის თავიც არის, ეჭვი არ მეპარება, რომ **ზვიად გამსახურდიას** საქმიდან უმნიშვნელოვანესი მასალები სწორედ მან ამოიღო! **ადეიშვილი** ისეთი მანიაკია, თავისი თანამშრომლებისა და თანაგუნდელების წინააღმდეგ აწარმოებდა საქმეებს. აქედან გამომდინარე, **ადეიშვილი** პროკურატურის თანამშრომლებს მუშაობით დახოცავდა და **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობის საქმეს აუცილებლად გამოიძიებდა. ამიტომაც ვამბობ, რომ

### ადეიშვილს ზვიადის მკვლელობა არაოფიციალურად გახსნილი აქვს, მაგრამ საქმის ოფიციალურად გახსნას ხელი შეუშალა კონფლიქტმა სააკაშვილსა და ცოტნე გამსახურდიას შორის.

ამის შემდეგ ადეიშვილმა საქმეში არსებული უმნიშვნელოვანესი მასალები იღლიაში ამოიჩარა და გადამალა!

**— ზვიადის მკვლელების შესახებ საერთოდ არავითარი მინიშნება არ არის საქმის მასალებში?**

— არა, საქმის მასალებში მკვლელებზე არავითარი ლაპარაკი და მინიშნება არ არის, მაგრამ **ზვიადის მკვლელებზე სულ სხვა წყაროებიდან მაქვს ინფორმაცია!**

**— მაინც რომელი წყაროებიდან, სააკაშვილის სპეცსამსახურებიდან?**



*რობიზონ მარგველანი ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის" სცენას იმიტირებს*



**„ზვიად გამსახურდიას საქმე, რომელიც გენერალური პროკურატურის თაროზეა შემოდებული, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ამდენად, რასაც ვიტყვი, იმაზე პასუხისმგებელი ვარ!"**





— კი, კი, ძალიან სანდო წყაროებიდან მაქვს ინფორმაცია! **საუბარია ძალიან კომპეტენტურ და სანდო ხალხზე, ვისგანაც ეს ყველაფერი მოსმენილი მაქვს.** სხვათაშორის,

### ზვიადის მკვლელობის შესახებ არსებობს სხვა დოკუმენტაციაც, რომლის გადამალვაც სააკაშვილის ხელისუფლებამ რატომღაც არ სცადა. ალბათ, ძალიან დაიმედებული იყვნენ, რომ ხელისუფლებაში დიდი ხნით იქნებოდნენ.

ზვიადი არ მოუკლავთ **კარლო ღურწკაიას** სახლში, პირველი პრეზიდენტი უკვე მოკლული იყო, როცა მისი გვამი იქ მიიტანეს. **ბესარიონ გუგუშვილმა,** რა თქმა უნდა, ყველაფერი იცის... მკვლელობა განახორციელეს სულ სხვა ადამიანებმა და **არც გუგუშვილსა** და არც **რობიზონ მარგველანს** ზვიადისთვის არ უსვრიათ! პრეზიდენტს ესროლა სულ სხვა ხალხმა, ისინი ჩვეულებრივი მკვლელები იყვნენ!

**— მკვლელები ქართველები არიან?**

— დიახ, **ზვიად გამსახურდიას ქართველებმა ესროლეს!** მკვლელები ქართველები არიან, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის დავალებით მოქმედებდნენ! **ესენი არ იყვნენ არც „სპეცები" და არც არავინ, ჩვეულებრივი მკვლელები იყვნენ, რომლებსაც ასეთი საქმეებისთვის იყენებდნენ.**

**— რამდენმა კაცმა მოკლა ზვიად გამსახურდია?**

— ზვიად გამსახურდია **ორმა კაცმა** მოკლა! ორივე გარდაცვლილია...

**— პირველი პრეზიდენტის მკვლელებს სიკვდილში „დაეხმარნენ" თუ ბუნებრივად წავიდნენ ამ ქვეყნიდან?**

— ზვიად გამსახურდიას ერთი მკვლელი გაურკვეველ ვითარებაში მოკვდა, მეორე კი გაგიჟდა!

**— საქართველოში არიან დამარხული?**

— დიახ, ორივე გარდაცვლილია და საქართველოში არიან დამარხული! **არცერთი მკვლელი საქართველოდან არ გაქცეულა, რადგან მათ არავინ დევნიდა** — შევარდნაძის დავალება შეასრულეს!

**— მკვლელები შევარდნაძის დროს გარდაიცვალნენ თუ სააკაშვილის?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, **ზვიად გამსახურდიას** მკვლელების პრობლემა შევარდნაძის დროს „მოგვარდა"... **შევარდნაძე** ისეთი ძაღლისთავი იყო, **ზვიად გამსახურდიას** მკვლელებს ცოცხალს არ დატოვებდა და პრობლემებს არ შეიქმნიდა. **ერთი მკვლელი იმდენად გაურკვეველ ვითარებაშია მკვდარი, რომ არავინ იცის, რატომ მოკვდა, ხოლო მეორე, როგორც გითხარით, გაგიჟდა და ისე მოკვდა.**

საერთოდ, შევარდნაძეს ახასიათებდა ადამიანების გაგიჟება და მერე მკვლელობა. აი, მაგალითად, ცხონებული **ნაზი შამანაური** შევარდნაძემ ჯერ გააგიჟა და მერე სული ამოხადა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ზურაბ ადეიშვილმა გახსნა, მაგრამ ამ საქმეს არ ახმაურებდნენ.** ბოლოს, რადგან სააკაშვილი და ცოტნე გამსახურდია ერთმანეთში ვერ შეთანხმდნენ, ადეიშვილმა დოკუმენტები ამოიჩარა იღლიაში და გაქრა.

### ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ: საქართველოსთვის ყველაზე საშიში ადამიანი ზურაბ ადეიშვილია და საქართველოს სამართლებრივად და ფიზიკურად აფეთქება შეუძლია.

*გაგრძელება მე-11 გვერდზე*

***იქიდან მოყოლებული, რაც კაენმა თავისი ღვიძლი ძმა აბელი მოკლა, კაცობრიობის ისტორია მტრობის ისტორიაა, მაგრამ, ალბათ, არასოდეს არავინ არავის ისე არ მტრობდა, როგორც ბატონი იაკობ ლეჟავა ემტერება ამერიკულ ტერმინ „დიფ სთეითისათვის“ (DEEP STATE) „ასავალ-დასავალის“ მთავარი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის მიერ შერჩეულ ქართულ შესატყვისს „ფარული დასი“.***

მაგალითად, ძველი აღთქმის ერთი პერსონაჟი — **კორახი,** ძლიერ ემტერებოდა მოსესა და მის უფროს ძმას, უფლის მიერ მღვდელმთავრად დადგენილ აარონს, რომლებსაც აუჯანყდა და ძალაუფლების დათმობა მოსთხოვა, მაგრამ მოსესა და აარონის წინააღმდეგ **კორახის დასის** აჯანყება, რაიც იგივე უფალთან დაპირისპირებას ნიშნავდა, იმით დამთავრდა, რომ ღმერთმა **კორახი და მთელი მისი დასი,** თავიანთ სახლებიანად, მიწაში დანთქა.

უი, როგორ წამოგვცდა: **კორახის დასი!**

როგორ შევცდით, რომ უფლის რჩეულთა წინააღმდეგ აჯანყებულ და უფლის მიერ მიწაში დანთქმულ ხალხს **კორახის დასი** ვუწოდეთ!

აკი, ბატონი **იაკობ ლეჟავა** ამტკიცებს, რომ **დასი** მხოლოდ დადებითი კონტექსტის მატარებელი სიტყვაა და უარყოფითი შინაარსის სიტყვებთან მისი შეწყვილება არაფრით შეიძლება!

**იაკობ ლეჟავას** თეორიის მიხედვით, უფლის რჩეულთა წინააღმდეგ აჯანყებული და უფლის მიერ მიწაში დანთქმული ხალხისათვის **კორახის დასი** კი არა, **კორახის ბანდა** ან **კორახის ხროვა** უნდა გვეწოდებინა!

ვინ იცის, როგორ გავაბრაზეთ ბატონი იაკობი, რომელიც თავისი ასაკითა და მოხუცებულობით აპელირებს და უკვე ამზადებს მორიგ **წერილს წასაღებად „საქართველოს რესპუბლიკაში“, „საერთო გაზეთში“** ან **„საქართველოსა და მსოფლიოში“.**

მაგრამ ერთი წუთით შეიცადეთ, ბატონო იაკობ!


მხარეს მიუმხრობს, ქორხალისრების დაცვისკენ მოუწოდებს.

„საქართველოს რესპუბლიკა“. 2025 წლის 17 მარტი

„ასავალ-დასავალის“ 10-16 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული წერილის — „სწორედ რომ ფარული დასი!“, პასუხად!



გიურ შეცდომაზე მიგითითებდეს, შენ კი პასუხობდე: -ტავტოლოგია მოგივიდათ, ნაცვალსახელი გაქვს ორჯერ გამოყენებული, არადა, ერთხელ უნდა გეხმარა, მაგრამ მართლწერის გაკვეთილებს ვერ ჩაგიტარებთ"! მაგრამ ეს არ არის მაინც მთავარი (როგორც იტყვიან: დაცინვას კაცი არ მოუკლავს), მთავარი და გასაოცარი არის ის, რომ მთავარ რედაქტორს და წამყვან ჟურნალისტს ტავტოლოგია და მართლწერა ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიათ! სად ტავტოლოგია და სად მართლწერა!

მარეობაში, ხელმოწერისთვის მაინც უნდა გეყოს კაცობა!

ამიტომაც ჩემი ქვემორე პასუხი განკუთვ-

**მაინც წაიღებთ წერილს** სხვა ბეჭდურ თუ ონლაინ გამოცემებში და მაინც შეგვაჩვენებთ — ვითომ ის არ ეყოფოდათ, საზიზღარ **დიფ სთეითს ფარულ დასს** რომ უწოდებენ და ახლა უფლის რჩეულთა წინააღმდეგ აჯანყებულ და უფლის მიერ მიწაში დანთქმულ კორახის ბანდასაც **დასი** დაარქვესო?

თუ თქვენსას არ დაიშლით და მაინც **წაიღებთ წერილს** „საქართველოს რესპუბლიკაში“ დოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, თავისთავად მხოლოდ დადებით კონტექსტს ატარებს.

ყოვლად შეუძლებელია, სიტყვებს — **„სახელმწიფო“, „სახელმწიფოებრიობა“ და „სახელმწიფოებრივი“** — უარყოფითი კონოტაცია და შინაარსი გააჩნდეს.

მაშ, ბოროტ და ვერაგ ძალას, რომელიც სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ ჩრდილიდან, კულისებიდან თუ იატაკქვეშეთიდან იბრძვის, ამერიკელებმა **„დიფ სთეითი“,** ანუ **„ღრმა სახელმწიფო“** ან **„სიღრმისეული სახელმწიფო“** რატომ დაარქვეს?

ისეთი დადებითი კონტექსტის მატარებელი სიტყვა, როგორიც **„სახელმწიფოა“,** ბოროტი და ვერაგი ძალის სინონიმად რატომ გაიმეტეს?

ჰა, ბატონო იაკობ, სიტყვა **„სახელმწიფოს“** გაფუჭებისთვის ამერიკელებსაც ხომ არ შეჯორავდით?

მგონი, დროა, **წერილი წაი**-



მხატვრული ხერხების შესახებ, როგორებიც, მაგალითად, მეტაფორა, იდიომი თუ ოქსიმორონია, ურთიერთგამომრიცხავ ცნებებს ერთმანეთთან რომ აკავშირებენ და ამ გზით ქმნიან ახალ, გადატანით მნიშვნელობის ცნებებს.

ბატონო იაკობ, ტერმინი **დიფ სთეითი,** ანუ ღრმა სახელმწიფო, შემთხვევით, ოქსიმორონი ან მეტაფორა ხომ არ არის?

აბა, დაფიქრდით, ამერიკელებმა ბოროტ და ვერაგ ძალას, რომელიც თავის ბოროტ და ვერაგულ საქმეებს ლიბერალიზმისა და დემოკრატიის კეთილშობილური ნიღბით სჩადის, რაიმე სწორხაზოვანი და პროზაული სახელის მაგივრად სპეციალურად ხომ არ მიუსადაგეს მეტაფორული შინაარსის ტერმინი **„ღრმა სახელმწიფო“?**

ბატონო იაკობ, იქნებ პოეტი **ლაშა ნადარეიშვილიც** სწორედ ამიტომ წავიდა მეტაფორისა თუ ოქსიმორონის მხატვრული გზით და **დიფ სთეითს** სტანდარტული და სწორხაზოვანი სახელის, მაგალითად, **ფარული ბანდის, ფარული დაჯგუფების, ფარული ორგანიზაციისა თუ ფარული კოლექტივის** მაგივრად **ფარული დასი** უწოდა!

წესით, ამაზე ჯერ კიდევ მანამდე უნდა გეფიქრათ, **სანამ პირველ წერილს წაიღებდით „საქართველოს რესპუბლიკასა“ და „საერთო გაზეთში“.**

თქვენ კი ადექით და **პირდაპირ წაიღეთ წერილი „საქართველოს რესპუბლიკაში“ და „საერთო გაზეთში“.**

მერე ადექით და **მეორეჯერაც წაიღეთ წერილი** „საქართველოს რესპუბლიკაში“.

თუ ასე გააგრძელებთ, ბატონო იაკობ, მაშინ შესაჩვენებელი **წერილის წაღება** მოგიწევთ გოგლა ლეონიძესთანაც, რომელმაც დაწერა — „შენ სილამაზის **ნაზო გრიგალო,** შენგან **კის ქარტიაშიც“,** სადაც გვიჩივის — „ასავალ-დასავალის“ 2025 წლის 10-16 თებერვლის ნომერში ჩემდამი საპასუხო წერილი ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის დარღვევით გამოაქვეყნესო!

არადა, **„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“, როგორც უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაცია,** სწორედ **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** ერთ-ერთი ჭანჭიკი გახლავთ, რომელიც ქართულ მედიაში ლიბერალური ცენზურის დაწესებისა და ანტილიბერალური აზრის მარგინალიზაციის მიზნით არის შექმნილი.

უკეთ რომ ვთქვათ, **„საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“** საქართველოში მოქმედი **ფარული დასის** ისეთივე წარმომადგენელია, როგორიც — **ეკა გიგაურის, ნინო ლომჯარიასა და ბაბუცა პატარაიას** ორგანიზაციები.

ამიტომაც არ არის „ასავალ-დასავალი“ **„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“** ხელმომწერი და ამიტომაც არ **ვაღიარებთ ლიბერალი ცენზორების ლეგიტიმაციას!**

ისე კი, ცოტა არ იყოს, უცნაურია, რომ **იაკობ ლეჟავა,** რომელიც გვსაყვედურობს — **დიფ სთეითის** მსგავს ბოროტ ძალას დადებითი შინაარსის ტერმინი **„დასი“** რატომ შეუსიტყვეთო, სწორედ იმ ბოროტი ძალის — **დიფ სთეითის** ერთ-ერთ ადგილობრივ ფილიალში გვიჩივის.

ეს დაახლოებით იმას ჰგავს, **თენგიზ აბულაძის** „მონანიებაში“ ვარლამ არავიძის აჩრდილი თავის შვილს რომ ეუბნება — **ალსარებისთვის ეშმაკთან რამ მოგიყვანაო!**

მოკლედ, **იაკობ ლეჟავამ,** რომელიც თავისი ასაკითა და მოხუცებულობით აპელირებს,

# იაკობ ლეჟავას მიერ გაღმა წასაღები წერილი

სანამ **წერილს წაიღებთ** „საქართველოს რესპუბლიკაში“, იქნებ იმის შანსი მაინც მოგვცეთ, რომ თავის გასამართლებლად „ძველი აღთქმის“ მეოთხე წიგნი „რიცხვნი“ მოვიშველიოთ, რომლის მე-16 თავის მე-11 მუხლში მოსე **კორახს** ეუბნება:

> *„ამისათვის შეითქვით შენ და **მთელი შენი დასი** უფლის წინააღმდეგ?...“*

**იმავე თავის მე-16 მუხლში ვკითხულობთ:**

> *„უთხრა მოსემ კორახს: შენ და **მთელი შენი დასი** უფლის წინაშე გამოცხადდებით ხვალ...“*

**მე-17 თავის მე-5 მუხლში კი წერია:**

> *„...უცხო კაცმა, ვინც აარონის შთამომავალი არ არის, არ დაიწყოს უფლის წინაშე საკმევლის კმევა და არ ეწიოს **კორახისა და მისი დასის** ბედი...“*

აბა, რას იტყვით, ბატონო იაკობ, **მაინც წაიღებთ წერილს** „საქართველოს რესპუბლიკაში“, და სხვაგანაც, იქნებ დაგვინდოთ და ჩვენ მაგივრად ის ავტორიტეტიანი და ამაგდარი ხალხი შეაჩვენოთ, ვინც „ბიბლია“ ახალ ქართულ ენაზე თარგმნა და უფლის რჩეულთა წინააღმდეგ აჯანყებულ და უფლის მიერ მიწაში დანთქმულ ცოდვილებს **კორახის დასი** უწოდა.

ბატონო იაკობ, თუ ძალიან მოინდომებთ, შეგიძლიათ, მარტო „საქართველოს რესპუბლიკასა“ და სხვა გამოცემებში კი არა, **წერილი წაიღოთ** საქართველოს საპატრიარქოშიც, რადგან „ბიბლიის“ უმეტესი გამოცემა, რომლებშიც უფლის რჩეულთა წინააღმდეგ აჯანყებული და უფლის მიერ მიწაში დანთქმული ცოდვილები **კორახის დასად** მოიხსენიება, სწორედ საქართველოს საპატრიარქოს ხელდასხმითა და პირადად კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით არის შესრულებული.

ჰოდა, მარტო ჩვენ რა დაგიშავეთ, ბატონო იაკობ, ერთიორი „ბიბლიის“ ქართველ მთარგმნელებს, საპატრიარქოსა და პატრიარქსაც დაუცაცხანეთ, რომ სიტყვა „დასის“ უარყოფით კონტექსტში გამოყენება მეტჯერ ვეღარ გაბედონ!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **კორახის დასიც** კი არ ემტერებოდა ისე მოსესა და აარონს, როგორც იაკობ ლეჟავა ემტერება ტერმინს **„ფარული დასი“,** აქაოდა — დაუშვებელია, **დიფ სთეითის** მსგავს ბოროტ და ვერაგ ძალას დადებითი შინაარსის მატარებელი სიტყვა **„დასი“** მიესადაგოსო!

არადა, **ბატონი ლეჟავას** ლოგიკით, ისეთ ბოროტ და ვერაგ ძალას, როგორიც **დიფ სთეითია,** არც სიტყვა **„სახელმწიფო“** უნდა მიუსადაგო, რადგან სახელმწიფო, როგორც საზოგა**ლოთ** „ნიუ-ორკ თაიმსში“ ან „ვაშინგტონ პოსტში“ და ტრამპის ადმინისტრაციას როგორმე შეაგნებინოთ, რომ **„სახელმწიფო“** მხოლოდ დადებითი შინაარსის შემცველი სიტყვაა და ბოროტ ძალასთან მიმართებაში მისი გამოყენება ყოვლად დაუშვებელია.

მარტო სიტყვა **„დასის“** კი არა, სიტყვა **„სახელმწიფოს“** გადასარჩენადაც უნდა იბრძოლოთ, ბატონო იაკობ!

მოიცადეთ, უკვე მიდიხართ? **მართლა მიგაქვთ წერილი** „ნიუ-ორკ თაიმსში“ და „ვაშინგტონ პოსტში“?

კი ბატონო, ნება თქვენია, ჩვენ ვერ შეგაჩერებთ, მაგრამ **სანამ წერილს წაიღებთ** ამერიკულ გამოცემებში, იქნებ ერთი-ორი სიტყვით გაგვესაუბრა ისეთი აროდეს მომესვენება“ და ნოდარ დუმბაძესთანაც, რომელმაც თავის რომანს **„მზიანი ღამე“** დაარქვა.

აბა, **ნაზი გრიგალი** და **მზიანი ღამე** სად გაგონილა, ბატონო იაკობ?

**ნაზი გრიგალი** და **მზიანი ღამე** ხომ, თქვენი საზომით, ისეთივე აბსურდია, როგორიც — **ღრმა სახელმწიფო და ფარული დასი?**

მოკლედ, სხვა გზა აღარ რჩება — ბატონი **იაკობ ლეჟავა** მეტაფორის, ოქსიმორონის, იდიომისა და სხვა მხატვრული ხერხების აღქმას უნდა შეეჩვიოს ან **გაუთავებლად მოუწევს წერილების წაღება** „საქართველოს რესპუბლიკასა“ და სხვა გამოცემებში!

სხვათაშორის, ისიც გავიგეთ, რომ ბატონ იაკობ ლეჟავას, რომელიც თავისი ასაკითა და მოხუცებულობით აპელირებს, **წერილი წაუღია** არასამთავრობო ორგანიზაცია **„საქართველოს ჟურნალისტური ეთი**- „ასავალ-დასავალის“ წინააღმდეგ **წერილი წაიღო** ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა და არ შეიძლებოდა: **წერილი წაიღო** „საქართველოს რესპუბლიკაში“, **წერილი წაიღო** „საერთო გაზეთში“, მერე ისევ „საქართველოს რესპუბლიკაში“ **წაიღო წერილი** და ბოლოს **წერილი წაიღო** თვით **დიფ სთეითის** ადგილობრივ ქვეგანყოფილება **„ჟურნალისტური ეთიკის ქარტიაში“.**

ჰოდა, ახლა **იაკობ ლეჟავას** ისღა დარჩენია, **წერილი წაიღოს** პირდაპირ ოკეანის გაღმა — იქ, სადაც **დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** მთავარი და ძირითადი ბუდეა!

ერთი ეგ არის, რომ **ბატონმა იაკობმა** ოკეანის გაღმა, **დიფ სთეითთან წერილის წაღებას** ცოტა უნდა დაუჩქაროს, სანამ **პრეზიდენტი ტრამპი და მისი დასი ფარულ დასს** ბოლომდე მიაბაიდენებენ!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ვეჟარა მამრაძე**
*ყოფილი პარლამენტარი*



**მაჩვენეთ ადამიანი,** რომელსაც გულით სჯერა, რომ **ამ ოთხი ოპოზიციური პარტიიდან** რომელიმე მოწადინებულია, საქართველოს სიკეთე მოუტანოს. **მე ასეთ ადამიანებს, უბრალოდ, არ ვიცნობ.**

„რეზონანსი“

**ზაქარია კაკაჩეიშვილი**
*ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*



**მე რომ ვიყო პოლიტიკაში,** სულ ფეხებზე დავიკიდებდი ამ ხალხს და მივხედავდი ჩემს საქმეს. ვეტყოდი — **დიახაც, მივდივართ არჩევნებზე და ვინც არ მოდიხართ, კარგად იყავით!**

„ახალი თაობა“

**გუბაზ სანიკიძე**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



**სალომე ზურაბიშვილის** პოზიციები უკვე ძალიან სუსტია, **რამეზე შეათანხმა ოპოზიცია? რამეს მოაბა თავი? რამდენი პროექტი დაიწყო, იმდენი ჩააფლავა!** რამე ვალი გვაქვს ამ ქალის?

„პირველი არხი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**გუბაზ სანიკიძე** ოპოზიციური გაერთიანების **ორპირობის სიმბოლოა.**

„პირველი არხი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



**ოპოზიციაში ნახევარზე მეტი თაღლითია...** უნდა მოვიშოროთ ე.წ. ხელისუფლება და ეს ფეიკები. **ხაზარაძე და გახარია შენი ლიდერი როგორ უნდა იყოს, თუ თავმოყვარე ხარ!**

„ახალი თაობა“

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



დიდი ვარაუდით, ჩეხეთში შემოდგომაზე **ეროვნული და პატრიოტი კაცი ანდრეი ბაბიში** მოიგებს არჩევნებს. შესაბამისად, **საქართველოსადმი მიდგომაც შეიცვლება.**

„იმედინიუსი“



# ლაზარე ჯორბენაძე:

## ცოტნე გამსახურდიას ციხეში წამება და ბოლოს სასიკვდილოდ გამეტება ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს —

# ცოტნეს სიმართლე არ უნდა ეთქვა!



დასაწყისი მე-3 გვერდზე

ვიღაცამ მოჰკიდოს ხელი ადეიშვილს, ჩამოიყვანოს საქართველოში და ზვიადის მკვლელობის შესახებ ყველაფერს მოჰყვება... მაგრამ მთელ ამ ისტორიაში არის ერთი დიდი კითხვის ნიშანი და დღევანდელმა ხელისუფლებამ იფიქროს, თუ რატომ ვთქვი ეს! საქმე ის გახლავთ, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ადეიშვილის ალაპარაკება არ აწყობს! ზურაბ ადეიშვილმა რომ ის თქვას, თუ ვის აწყობდა **ზვიად გამსახურდიას** მკვლელობის საქმის დამალვა დღევანდელ ხელისუფლებაში, მაშინ დღევანდელი ხელისუფლება საქართველოდან უნდა გაიქცეს!

**— პროკურატურაში თაროზე შემოდებულ ზვიად გამსახურდიას საქმეს რამე ღირებულება აქვს?**

— არავითარი ღირებულება ამ მასალას არა აქვს! არავითარი სამართლებრივი შედეგი ამ მასალის მიხედვით არ დადგება... არც არავის სჭირდებოდა ამ საქმეზე სამართლებრივი შედეგის დადგომა. ამის გამოძიება **შევარდნაძის** ხელისუფლებას არ აწყობდა!

**— რასაც თქვენ ლაპარაკობთ, ეს ყველაფერი თქვენი ვარაუდია თუ კონკრეტულ ინფორმაციას ეფუძნებით?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **სააკაშვილის სპეცსამსახურებთან ღრმა წვდომა მქონდა... ბოლოს და ბოლოს, დავინტერესდი, თუ რა იყო ზვიადის მკვლელობის არგახსნის თავი და თავი და გავერკვიე!**

**— მაინც რას არ დათანხმდა ცოტნე გამსახურდია, რა შესთავაზა მას სააკაშვილმა?**

— **ეს საიდუმლო ინფორმაციაა,** მაგრამ სააკაშვილის მიერ ცოტნესადმი ძალიან სერიოზული რაღაც რომ იყო შეთავაზებული, დანამდვილებით ვიცი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ:

**სააკაშვილს სჭირდებოდა ეროვნული მოღვაწის სახელი და ზვიადის მკვლელობის გახსნით პოლიტიკური ლეგიტიმაციის მოპოვება. ამას უნდა**

**„ზვიად გამსახურდიას საქმე, რომელიც გენერალური პროკურატურის თაროზეა შემოდებული, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, ამდენად, რასაც ვიტყვი, იმაზე პასუხისმგებელი ვარ!“**



*„სააკაშვილის სპეცსამსახურებთან ღრმა წვდომა მქონდა... ბოლოს და ბოლოს, დავინტერესდი, თუ რა იყო ზვიადის მკვლელობის არგახსნის თავი და თავი და გავერკვიე!“*



**2007 წლის 1 აპრილი. მიხეილ სააკაშვილი ზვიად გამსახურდიას კუბოსთან თბილისში, პარლამენტის შენობის წინ**

**„ვიღაცამ მოჰკიდოს ხელი ადეიშვილს, ჩამოიყვანოს საქართველოში და ზვიადის მკვლელობის შესახებ ყველაფერს მოჰყვება...“**



**„დღევანდელ ხელის-უფლებას ადეიშვილის ალაპარაკება არ აწყობს!“**

**მოჰყოლოდა ზვიადის ხელისუფლების წევრების დემონსტრაციულად და ზარ-ზეიმით გადასვლა სააკაშვილის მხარეს.**

**ცოტნემ** სააკაშვილს ეს გეგმა ჩაუშალა, რასაც შეეწირა კიდეც... რაც შეეხება მათ შორის მოლაპარაკებას, მე არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს **ცოტნემ** და **სააკაშვილმა** პირისპირ.

ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდია იყო ღირსეული და ხალხის სათაყვანებელი პრეზიდენტი და

ცოტნემ არ იკადრა, ლაფში ამოესვარა სახელოვანი მამის სახელი. მან თავი არ გაუყადრა პირსისხლიან ჯალათს — მიხეილ სააკაშვილს, რაც ძვირად დაუჯდა!

**— ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმეში ყველაზე უფრო საეჭვოდ ვის ჩვენებას მიიჩნევთ?**

— **რობიზონ მარგველანს,** რომელიც ჩემი მეგობრის **ამირან არღვლიანის** მეზობელია დმანისში, კარგად ვიცნობ. საკვირველია, მაგრამ **რობიზონ მარგველანის** ბოლოდროინდელ ჩვენებებს რომ კითხულობ, თითქოს არაფერი იცის... არ მჯერა, რომ **რობიზონმა** არაფერი იცის! **რობიზონ მარგველანი** რომ გამოძიებისთვის საეჭვო არ გახდა, ეს ამბავი უკვე ძალიან საეჭვოა, ხოლო **ბესარიონ გუგუშვილის** დაკითხვა რომ არავის უფიქრია, ეს მთლად საეჭვოა!

**— თქვენ ბრძანეთ, რომ ზვიად გამსახურდია ძველი ხიბულიდან 8-9 კილომეტრის მოშორებით ტყეში მოკლესო! მაინც სად მოხდა ეს ?**

— ზვიადი მოკლეს ტყეში, ძველი ხიბულიდან მოშორებით და მერე გვამი წაიღეს სოფელში. **კარლო ღურწკაიას** ოჯახი როგორ დაითანხმეს ამ ყველაფერზე, ეს საერთოდ გამოსარკვევია! ვინმეს სჯერა, რომ ისეთი მაღალი ზნეობისა და კულტურის კაცი, როგორიც **ბატონი ზვიადი** იყო, **კარლო ღურწკაიას** სახლში ფეხების ბაკუნით შევიდა და ყველას გასაგონად განაცხადა — მე ზვიადი ვარ, გამსახურდიაო?! ვინმეს ეს სჯერა?

**— საქმის მასალებში ავთო იოსელიანის ჩვენება არის?**

— **ავთო იოსელიანი** შევარდნაძის კუდი იყო, ამდენად, ის დაკითხული არ არის! კიდევ ერთხელ ვიმეორებ: **ზვიად გამსახურდიას საქმის მასალების გაცნობას არავითარი აზრი არ აქვს, რადგან მნიშვნელოვანი დოკუმენტაციები საქმიდან ამოღებულია!** პირველი პრეზიდენტის მკვლელობის შესახებ ყველაფერი იცის **ზურაბ ადეიშვილმა,** რომელიც დღევანდელი ხელისუფლების ბევრ მაღალჩინოსანთან კარგ ურთიერთობაშია. უფრო მეტიც, **ზურაბ ადეიშვილი** ფიქტიურად იდევნება და ის სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ არის აღძრული, მხოლოდ ქაღალდზე წერია, თორემ რა გახდა მისი საქართველოში ჩამოყვანა?! არავითარი პრობლემა ეს არ არის, მაგრამ **ადეიშვილს სინამდვილეში კაციშვილი არ დევნის!** მოკლედ, თუ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის გახსნა უნდათ, ჩამოიყვანონ ადეიშვილი! ადეიშვილს არამარტო ზვიადის, არამედ ბევრი მკვლელობის შესახებ აქვს ზუსტი ინფორმაცია. **ზურაბ ადეიშვილმა საქართველოდან დაახლოებით 3 მილიონი ფაილი გაიტანა, რომლებშიც ზესაიდუმლო ინფორმაციებია ჩატვირთული!**

ყველამ იცოდეს, რომ **ბესარიონ გუგუშვილთან** შეთანხმების გარეშე ზვიადის მკვლელობა არ მომხდარა. **გუგუშვილის თვალწინ მოხდა ზვიადის მკვლელობა და გუგუშვილი იმიტომაც არავინ დაჰკითხა...** მაგრამ, თუ **მარგველანიც** შეესწრო მკვლელობას, მაშინ მას რატომ არ მოუსწრაფეს სიცოცხლე? **მარგველანის** იმედიც ჰქონდათ, რომ არაფერს იტყოდა? ასე რომ, დროა, ერთმაც და მეორემაც თქვან სიმართლე! **მარგველანიც და გუგუშვილიც უკვე ასაკში არიან და ამ ცოდვით როგორ უნდა იარონ?**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

*გაგრძელება იქნება*



*— მთავარია, ვიცოდეთ, რომ კაცობრიობას* ***დიფ სთეითის*** *სახით ჰყავს გამგებელი, რომელიც მსოფლიო პროცესებს მართავს!* ***— აცხადებს პიარტექნოლოგი ლალი მოროშკინა და ფარული დასის მიერ არეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს მიმოიხილავს:***

# ლალი მოროშკინა:

# ჩვენ თუ შევძლებთ ნაცრის ქექვას, ვიდრე დევები ერთმანეთს ხოცავენ, კვლავ გადავრჩებით!

— ხდება ის, რასაც დიდი ხანია, ვამბობ — მიმდინარეობს მსოფლიოს გადანაწილების პროცესი! მთავარი ქვეყნები, რომლებიც წინა რიგებში არიან, ცდილობენ, უფრო დიდი და მსუყე ნაჭრები მიიღონ. პრეზიდენტ **ტრამპსა** და პრეზიდენტ **პუტინს** შორის გამართული სატელეფონო საუბრის შემდეგ **დიმიტრი მედვედევმა** ყველაფერი გარკვევით თქვა — **სასადილო ოთახში მხოლოდ რუსეთი და ამერიკაა,** მენიუში კი ბრიუსელის კომბოსტო, ბრიტანული თევზი, პარიზული მამალი და მთავარი კერძი — კიევური კატლეტიაო! ჯერ კიდევ როდის გადაიღეს **ზელენსკის** მონაწილეობით ფილმი, სადაც გადასარევად ჩანს, ვის რა უნდა და ვის რა რჩება. ძალიან ძნელია ამ ყველაფრის მოსმენა იმ ადამიანებისთვის, მათ შორის, ქართველი ჭირისუფლებისთვის, ვისი ოჯახის წევრებიც უკრაინაში დაიღუპნენ, მაგრამ მათ ომის დაწყების პირველივე დღიდანვე ვაფრთხილებდით — **ეს არის ხორცსაკეპი მანქანა და ნუ წახვალთ ამ ომში!** სამწუხაროდ, ბევრი აღმოჩნდა ფულისა და არასწორი იდეის მსხვერპლი.

კიდევ უფრო შორს თუ წავალთ შეფასებებში, ის, რაც დღეს მსოფლიოში ხდება, ერთი დიდი თეატრია.

**— მაინც, რა სპექტაკლია და ვინ არის რეჟისორი?!**

— ამ სპექტაკლს ერთი რეჟისორი ჰყავს **დიფ სთეითი,** იგივე **ფარული დასი,** რომელიც არასოდეს დამარცხდება. მას კაცობრიობაზე ზემოქმედების ძალიან დიდი ბერკეტი აქვს. მსოფლიოს ჩრდილოვანი კაბინეტი არის და და იქნება! უბრალოდ, დღეს მისი რებრენდინგი ხდება — ლიბერალურიდან კონსერვატიულ რელსებზე გადადის. **ისინი იდგნენ როგორც ლენინის, ასევე ჰიტლერის უკან. ნიურნბერგის პროცესი რომ ჩატარდა, პაიკები დაიჭირეს, მოთავენი ქვეყნიდან გავიდნენ და გაერო, ნატო, ევროკავშირი შექმნეს.** ამ ფორმით შეინარჩუნეს ძალაუფლება. ვარდებს დავარქმევთ, ნარინჯისფერს, თურქულს თუ წითელ რევოლუციას, ყველაფერი ერთი და იგივე ხელით იმართება და ყველა პროცესის უკან დიფ სთეითი დგას!

**— მათ შორის პუტინისა და ტრამპის მოლაპარაკებების მიღმაც?**

— ესეც თამაშის ნაწილია, რაშიც არასდროს მეპარებოდა ეჭვი და არაერთხელ მითქვამს, მათ შორის, თქვენი გაზეთის მეშვეობითაც. პუტინი და ტრამპი ორი საათი რომ საუბრობდნენ ტელეფონით, როგორ ფიქრობთ, რაზე ისაუბრეს? **ვინმეს მართლა სჯერა, რომ ეს ყველაფერი წინასწარ არ იყო დაგეგმილი ისევე, როგორც უკრაინის დანაწევრება?!** უბრალოდ, კიდევ ერთხელ ვამბობ, ხდება ფიგურების სხვებით ჩანაცვლება და კონსერვატიულ რელსებზე გადაწყობა. მოიშორებენ ზედმეტებს, ვინც მათ თამაშში არ ჯდება და აღარ სჭირდებათ.





„ისინი იდგნენ როგორც ლენინის, ასევე ჰიტლერის უკან. ნიურნბერგის პროცესი რომ ჩატარდა, პაიკები დაიჭირეს, მოთავენი ქვეყნიდან გავიდნენ და გაერო, ნატო, ევროკავშირი შექმნეს!“

თუ ვინმეს აქვს იმის ილუზია, რომ დიფ სთეითი მარცხდება, ალუა ბავშვის დონეზე აზროვნებს. მეფეები დაამხეს, **ნიკოლოზ მეორე** აატრიალეს და, საერთოდ, რაზე ვსაუბრობთ?! ეს არის დედამიწის მმართველი კლანი, მაგრამ ნურასოდეს დაგვავიწყდება, რომ მასზე ზემოთ ღმერთი დგას! ქართველების გადარჩენის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ზუსტად ამ ქრისტიანობაში, ღმერთის სიყვარულში დევს. გენიალური ზღაპარი გვაქვს ნაცარქექია — ჩვენ თუ შევძლებთ ნაცრის ქექვას, ვიდრე დევები ერთმანეთს ხოცავენ, კვლავ გადავრჩებით!

ამ მსოფლიო აურზაურში, პატარა, ლამაზი საქართველო ახლა ყველაზე უსაფრთხოა. არ მომბეზრდება ამის თქმა, ჩვენ გვყავს ადამიანი — **ბიძინა ივანიშვილი,** რომელმაც ეს ქვეყანა სამშვიდობოს გაიყვანა.

**— ფიქრობთ, რომ ბეწვის ხიდი უკვე გავლილია?**

— ცხოველი ყველაზე მძიმედ მაშინ იქნევს კუდს, როცა მომაკვდავია. ნაცმოძრაობა თითქმის მკვდარია და ხიფათს ვეღარ ქმნის. ჯერ თვითლიკვიდაციაზე იყვნენ, ახლა თვითგადარჩენის რეჟიმზე გადავიდნენ. პრობლემა იმაშია, რომ ახალგაზრდებს აურიეს ტვინი და გახშირდა სუიციდის მცდელობები. ბავშვებს ისტერიკები აქვთ, ლამის ჭკუიდან გადავიდნენ. ფსიქიატრები ვერ აუდიან მათთან საუბარს.





„ამ სპექტაკლს ერთი რეჟისორი ჰყავს — დიფ სთეითი, რომელიც არასოდეს დამარცხდება!“

**როდესაც საშობაო, მარხვის დღეებში კუბოს დაწვავ, ეს არა მხოლოდ შენ და შენს ოჯახზე, არამედ რამდენიმე თაობაზე აისახება. შეიძლება, ფიზიკურად**

## კვირგვინოსნები

**იაგო ხვიჩია**
*„გირჩის“ ლიდერი*



**ოპოზიციის ე.წ. ვერხუშკას არაფერი ეშველება.** ეს ადამიანები 30 წელია, პოლიტიკაში არიან და არა მგონია, რომ გამოსწორდნენ. მთელი წელი ამბობდნენ, რომ **ხმა არ დაიკარგოსო და ბოლოს რვაასი ათასი ხმა გაანიავეს** — პარლამენტში შესვლაზე უარი თქვეს. **ასეთი ხალხის მონაწილეობას არჩევნებში არანაირი აზრი არა აქვს.**

„ახალი თაობა“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



**ნანუკა ჟორჟოლიანის** იაფფასიანი ვიდეოების მიღმა, როგორც ვხედავთ, **რევოლუციური პროცესების და გადატრიალების დაფინანსება** იმალებოდა.

„ნიუსჰაბი“

**ნანუკა ჟორჟოლიანი**
*„ნანუკა ჟორჟოლიანის ფონდის“ ხელმძღვანელი*



გაგიკვირდებათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაგვაკავოს? — **ციხის არ მეშინია.**

„ახალი თაობა“

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სააკაშვილის** სასამართლო არ იყო დასრულებული და **ჟორჟოლიანის** ფონდიც გასულა „მომსახურების ზონიდან“. ახლა თუ მაინც მიხვდებით, **რომ ცეცხლს ეთამაშებით და სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლას ვერ მოიგებთ,** კარგი იქნება.

„რეპორტიორი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



წარმოუდგენელია, ეგოს გამო **პოლიტიკოსი პოლიტიკოსს არ ელაპარაკებოდეს.** ერთმანეთს თუ არ დაველაპარაკებით, **კოალიციური ხელისუფლება როგორ უნდა ყოფილიყო?**

„TV ფორმულა“

# «დაიმახსოვრეთ – საქართველო მშვიდობის ერთადერთი კუნძული იქნება ალმოკიდებულ მსოფლიოში!»






### არ მოკვდე, მაგრამ სული განწირულია.

სააკაშვილმა და მისმა კლანმა, **გილაურმა, კეზერაშვილმა, მერაბიშვილმა** და ა.შ. ერთი რამ ვერ გათვალეს — **მათი დრო დამთავრდა!** ვერ გადაერთვნენ კონსერვატიულ პლატფორმაზე და ზედმეტი აღმოჩნდნენ ამ პოლიტიკურ მოცემულობაში. სახეშეცვლილი **დიფ სთეითი** მსგავსი ელემენტებისგან მსოფლიოს წმენდს. სრულიად ნაციონალური მოძრაობა განწირულია.

### სააკაშვილს კიდევ დაემატება სასჯელი – ჯერ 7 ნოემბრის საქმეზე განაჩენი არ დამდგარა!

ასე სჯიან პატრონები შემსრულებლებს, როდესაც თამაშის წესებს არღვევენ. მსოფლიო მასშტაბით მათი ლოკალიზება ხდება, როგორც გადაგვარებული უჯრედების მეტასტაზების. იქ ვარშალომიძე დაიჭირეს, აქ სააკაშვილს დაუმატეს წლები. შემთხვევით არ თქვა **ნიკა გვარამიამ — ნანუკა ჟორჟოლიანის გამო გავიდე ქუჩაში?!** ყველა თავისი თავის გადარჩენაზე ფიქრობს. გუნდი დაიშალა და კინო მორჩა!

უკვე დაიწყეს იმ უნივერსიტეტების შესწავლაც, რომელთა სტუდენტებიც ქუჩაში აქტიურად დგანან. აქამდე ამის უფლება არ ჰქონდათ.

სხვათაშორის, დღეს რომ ამ ფაქტებს აპროტესტებენ და ამბობენ, ხელისუფლება ხალხს ჩაგრავს, სამსახურიდან აძევებს და ასამართლებსო, **ჩემ წინააღმდეგ 4 ჟურნალისტს და ერთ მომღერალს ჰქონდა ხელი მოწერილი იმაზე, რომ 9-დან 15 წლამდე პატიმრობა მოესაჯათ.**

**— არ შეახსენებდით საზოგადოებას მათ სახელებს?**

— ყველასთვის ცნობილია — **ნანუკა ჟორჟოლიანი, თიკო სადუნიშვილი, თაკო ფხაკაძე, მაია სტეფნაძე.** იმ ერთ მომღერალს დავინდობ, არ ვიტყვი, 9-ჯერ მომიხადა ბოდიში. რა თქმა უნდა, ჩემი მხრიდანაც იყო გადაცდომა, მაგრამ 9-დან 15 წლამდე სასჯელი ძალიან ბევრი გახლდათ. ამათგან ვისაც ჭკუა ეყო, შეიცვალა. ზუსტად ვიცი, რომ ეს ფაქტი **თაკოსაც** აწუხებდა. დღეს იმ უნივერსიტეტებიდან, რომლებმაც თავის დროზე პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გამომიშვეს, მირეკავენ — ჩვენ ასე არ გვითქვამსო. ყველა ხვდება, რომ დრო შეიცვალა, ვინც ვერ ხვდება, მისი პრობლემაა. ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი და დალაგებულია. რამდენიმე ექსტრემისტული ელემენტი ამ რეალობას ვეღარ შეცვლის!

ხელისუფლება სწორი გზით მიდის. მნიშვნელოვანია, მეზობელი თურქეთიდან წამოსული საფრთხეც ავირიდოთ თავიდან.

## „შემთხვევით არ თქვა ნიკა გვარამიამ — ნანუკა ჟორჟოლიანის გამო გავიდე ქუჩაში?! ყველა თავისი თავის გადარჩენაზე ფიქრობს. გუნდი დაიშალა და კინო მორჩა!“



**ერდოღანი** წუთში ერთხელ ცვლის აზრს. ხან პარტნიორობს რუსეთთან, ხან — არა.

ნუ დაგვავიწყდება, რომ ყარსის ხელშეკრულებას ვადა აქვს გასული და აჭარაში იარაღი რომ გაჩხაკუნდეს და

ვიღაცამ სიტუაცია არიოს, **ერდოღანს** შეუძლია, სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადოს.

იმედი მაქვს, ხელისუფლება გაითვალისწინებს სამეზობლოში და მსოფლიოში არსებულ საფრთხეებს და აღარასოდეს დავადგებით „სიკვდილის გზას“. დიახ, ყრუ კედელს დაგვაჯახეს 90-იანებში. ყრუ კედელს შეგვახეთქეს 2008-ში! ყრუ კედელი გაგვიმზადეს 2022-ში. მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის და ეროვნული მთავრობის დამსახურებაა ახლა ძაძებში შემოსილი ქალები, მშიერი და მომაკვდავი ბავშვებით მთებში გახიზნულები რომ არ ვართ! თანმიმდევრულმა პოლიტიკამ შეგვინარჩუნა უკანასკნელი გენოფონდი ჩვენი ვაჟკაცების სახით. **დაიმახსოვრეთ — „ევროდიპლომატიასთან“ ამ უთანასწორო ბრძოლასაც მოვიგებთ. საქართველო გადარჩება და მშვიდობის ერთადერთი კუნძული იქნება ალმოკიდებულ მსოფლიოში!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

ქრონიკა

## ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციას შორის მემორანდუმი გაფორმდა

2025 წლის 21 მარტს, ქართული ჟურნალისტიკის დღესთან დაკავშირებით, **ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა** და **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციას** შორის **ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა,** რომელსაც ხელი ვეტერანთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა **კობა კობალაძემ** და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ **გიორგი მამაცაშვილმა** მოაწერეს.

იმავე დღეს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში გაიმართა შეხვედრა **საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარესთან, ჟურნალისტთა ფედერაციის წარმომადგენლებთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე და ომისა და სამხედრო თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტებთან, სტუდენტებთან, ოპერატორებთან, ფოტოკორესპონდენტებთან.**

სტუმართა შორის იყვნენ: ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეები **ჯაბა ხუბუა** და **ბოჩა ხუნდაძე,** ჟურნალისტთა ფედერაციის მდივანი **თეიმურაზ ქორიძე;** ჟურნალისტები: **მამუკა არეშიძე, თენგიზ პაჭკორია, გოგიტა მელიქიძე, ირინა გოგოსაშვილი, კობა ბენდელიანი, იური მეჩითოვი, ბესო ჩუბინიძე, მალხაზ გულაშვილი, ქეთი ხომერიკი, ეკა გულუა, შახვალად აივაზოვი, ირაკლი გედენიძე, ქეთი ხოსიტაშვილი, დარეჯან კვარაცხელია, გიზო ქუტიძე, თამუნა დულაშვილი, თეიმურაზ კვირკველია, გურამ გორელიშვილი, ზაირა მიქატაძე** და სხვები.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ვეტერანთა სამსახურის წარმომადგენლები: **ჯანდრი უბირია, მირონ ჩიგოგიძე, ვლადიმერ იმნაძე, ნიკოლოზ კვეზერელი**, გარდაცვლილი ოპერატორის **ჯანო ინაძისა** და გარდაცვლილი ფოტორეპორტიორის **ზურაბ ქურციკიძის** მეუღლეები, გარდაცვლილ ვეტერანთა შვილები.

**ვეტერანთა სამსახურისა და ჟურნალისტთა ფედერაციის ერთობლივი მემორანდუმის ფარგლებში, სამომავლოდ რამდენიმე ღონისძიება დაანონსდა.**

კვირგვინოსნები

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილი** არის ის ადამიანი, რომელმაც **შექმნა ტოტალიტარული რეჟიმი, სადაც წამება და გაუპატიურება იყო სისტემური ხასიათის,** ყველა ვხვდებით, როგორი **სამარცხვინოა ნაცმოძრაობა.** „ნიუსჰაბი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**„კარენოი ნაცები“** ძალიან გააქტიურებული არიან, რადგან **მზეთუნახავმა** შემოუთვალა — რატომ არ ჩანხართო?! იაქტიურონ და იყონ, **მათი პოლიტიკური თემა დამთავრებულია.** „პრაიმტაიმი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მე მათთვის **საშიში ვარ ციხეში** და **საშიში ვიქნები მკვდარიც** იმიტომ, რომ **ჩემი სახელი სამუდამოდ უკავშირდება თავისუფლებისთვის და სიკეთისთვის ბრძოლას.** „რეზონანსი“

**სოფო ჯაფარიძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი*



**ეს არ არის სასამართლო,** ეს არის ცირკად ქცეული შენობა, **მიხეილ სააკაშვილი ისჯება ქვეყნის სიყვარულისთვის.** „პირველი არხი“

**ბექა ბასილაია**
*მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი*



**„ქართული ოცნების“ მესიჯია,** ვიდრე ხელისუფლებაში არიან, **სააკაშვილმა დღის სინათლე არ ნახოს.** „რეზონანსი“

**ბექა ლილუაშვილი**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



მიხეილ სააკაშვილი **არ არის პოლიტპატიმარი, მან ჩაიდინა დანაშაულები** და ამისთვის პასუხი უნდა აგოს. „რეზონანსი“

# ნეტავ, ჩვენთანაც გააუქმონ!!!

***2025 წლის 21 მარტს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ხელი მოაწერა აღმასრულებელ განკარგულებას ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტის გაუქმების შესახებ. მისი განმარტებით, ამიერიდან ყოველ შტატს დამოუკიდებლად შეუძლია, განსაზღვროს განათლების პოლიტიკა, რადგან შეერთებული შტატები, სხვა ქვეყნებთან შედარებით, განათლებაში ყველაზე მეტ ფულს ხარჯავს, მაგრამ ამერიკული განათლების დონე მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა. ტრამპმა ისიც გაიხსენა, რომ ჯიმი კარტერს, რომელმაც განათლების დეპარტამენტი შექმნა, თავის დროზე ურჩევდნენ, ეს ნაბიჯი არ გადაედგა.***



## ტრამპმა ხელი მოაწერა ამერიკის განათლების სამინისტროს გაუქმების განკარგულებას

ამთავითვე ვიტყვი: მართლაც რა საჭიროა განათლების სამინისტრო, მინისტრი, მისი ექვსი მოადგილე, დეპარტამენტები, კომიტეტები, „სიპები“ და „აიპები“ მაშინ, როცა წლიდან წლამდე ჩვენი ახალგაზრდობის განათლების დონე კატასტროფულად ეცემა, სტუდენტები უნივერსიტეტებში არ დადიან, ცუდი აკადემიური მოსწრების გამო პროფესორი სტუდენტს უნივერსიტეტიდან ვერ რიცხავს, რადგან უმაღლესი სასწავლებელი შემოსავალს დაკარგავს... **აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ სადოქტორო დისერტაციის დაცვა კარგა ხანია, წმინდა წყლის ფორმალობად იქცა და, ვისაც არ ეზარება, საქართველოში დისერტაციას უკვე ყველა იცავს.**

მოკლედ, ქვა რომ ააგდო, რაღაცის დოქტორს ან, სულაც, პროფესორს დაეცემა თავში!

ასე და ამრიგად, ხელისუფლების უმაღლესი პოლიტიკური ეშელონების წარმომადგენლები და განსაკუთრებით ძალოვან უწყებათა გავლენიანი პირები ერთმანეთის მიყოლებით ხდებიან დოქტორები.

უმთავრესი მიზეზი, რის გამოც საქართველოს განათლების სამინისტრო უნდა გაუქმდეს — საქართველოში აღებული დიპლომი რახანია, აღარ არის პრიორიტეტული და უპირატესობა ენიჭება უცხოურ დიპლომს! არადა, ამ დროს საზღვარგარეთის განათლების სისტემაშიც დიდი განუკითხაობა ტრიალებს და საქმე იქაც **ლევან ხაბეიშვილისა და გივია თარგამაძის კუდუსუნისკენაა** წასული.

**საქართველოს განათლების სამინისტრო** გასაუქმებელია თუნდაც იმიტომ, რომ მწამებლების, კანალიზატორების, ციხის უფროსების, პროკურორების, წყეული **ზურაბ ადეიშვილის** მრჩევლებისა და **სააკაშვილის** გარყვნილი რეჟიმის ინკვიზიტორების ბუნაგად იქცა. მაგალითად, ავადსახსენებელი და უწიგნური **კახა ლომაია,** რომელმაც დედაუნივერსიტეტი დაანგრია და საქართველოს განათლების სისტემა მოსპო ქართულ განათლებაში კანალიზაციის სურნელით მოვიდა, ხოლო **დიმიტრი შაშკინი** განათლების მინისტრად სააკაშვილმა ციხეების უფროსობიდან გადმოათრია! რაც შეეხება **ნიკუშუ გვარამიას,** განათლების მინისტრად მას შემდეგ დაინიშნა, რაც აწ განსვენებული **ბადრი პატარკაციშვილისა** და მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ უბინძურესი საქმეები შეთითხნა. დაბოლოს, განათლების მინისტრის სავარძელში ჩადებული საქართველოს რეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი,** რომელიც დღემდე კარტოფილის ამოღებით არის დაკავებული. აღარ ვაპირებთ **გიორგი ამილახვრის** ხსენებას, რომლის თანამდებობიდან გაშვებაც აკადემიკოს **ელიზბარ ჯაველიძესა** და **თქვენს მონა-მორჩილს** დაგვბრალდა...

რაც შეეხება განათლების მოქმედ მინისტრ ალექსანდრე წულაძეს, ცხადია, ამ ახალგაზრდა კაცს პიროვნულად არაფერს ვერჩი, არც არაფერს ვთხოვ, მაგრამ **წყეული ზურაბ ადეიშვილის მრჩეველი და ნაცმოძრაობის მოსამართლე არ შეიძლება საქართველოს განათლების მინისტრი იყოს!**

ინდოეთში არის **„მიუკარებელთა სექტა“...** ესენი არიან დაწყევლილები, ძირითადად ინცესტის შედეგად შობილნი, რომლებთანაც სისხლისმიერი კავშირი, ანუ ქორწინება, უდიდეს უბედურებად და სირცხვილად ითვლება. სააკაშვილის და ადეიშვილის სექტის წევრები სწორედ **„მიუკარებლები“** არიან და სახელმწიფო ხელისუფლებაში მათი დაშვება არ შეიძლება! აი, მაგალითად, ბიძინა ივანიშვილის მიერ აშენებულ და დამშვენებულ ქუთაისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში რექტორად მიავლინეს კანალიზატორ კახა ლომაიას ერთ-ერთი ბრიგადირი და დედაუნივერსიტეტის მესაფლავე **ბია ხუბუა.** ეს ფაქტი დიდი საფრთხის შემცველია, რადგან მისი შემწეობით **ბიძინა ივანიშვილის** მიერ ნალოლიავები **ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ქუთაისის პროქტოლოგიურ უნივერსიტეტად** შეიძლება იქცეს.

**გვითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ:** საბჭოთა კავშირის დროს 5-მილიონიან საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელი იყო, რომელიც ჩვენს ქვეყანას ყელამდე ყოფნიდა... დღეს საქართველოში 3-მილიონი კაცი ცხოვრობს და 70-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს, რომელთა უდიდეს ნაწილს არავითარი სამეცნიერო-ტექნიკური ბაზა და გამართული ინფრასტრუქტურა არ გააჩნია.

**„ბოლონიის პროცესმა“,** რომელსაც საქართველო ავადსახსენებელი **კახა ლომაიას** მინისტრობის დროს შეუერთდა, ქართული განათლების სისტემა მთლიანად დაანგრია. უმწიფარმა, უწიგნურმა და სოროსის ძუძუნაწოვმა **ლომაიამ,** რომელმაც დაფაზე **„ბავშვი“** ვერ დაწერა, სწორედ „ბოლონიის პროცესის“ დირექტივით და თანხმობით დაანგრია დედაუნივერსიტეტი, **უსამშობლო ხუნვეიბინებმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ღვაწლმოსილი პროფესორ-მასწავლებლები პოლიციის ძალით გამოდევნეს, 22 ფაკულტეტი 7 ფაკულტეტამდე დაიყვანეს, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები დაანგრიეს ან გაყიდეს, ხოლო უმაღლესი სასწავლებლები ნაცაქტივისტებითა და გეი-აგენტებით გამოტენეს!**

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ასეთი განათლების სამინისტროს არსებობას არავითარი აზრი არა აქვს და ის უნდა გაუქმდეს!

**ნეტამც, ტრამპის რეფორმების წყალი ჩვენც გადმოგვსხმოდეს!**

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**დიმიტრი მედვედევი**
*რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე*

პრეზიდენტ **პუტინსა და ტრამპს** შორის სატელეფონო ზარმა ცნობილი აზრი დაამტკიცა, რომ **სასადილო ოთახში მხოლოდ რუსეთი და ამერიკაა.** მენიუში მსუბუქი, მადის აღმძვრელი **ბრიუსელის კომბოსტო, ბრიტანული თევზი და ჩიფსები, პარიზის მამალი,** მთავარი კერძი კი **კიევის სტილის კატლეტია.** ისიამოვნეთ თქვენი კერძით.

„რუსთავი-2“



**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*

არ მინდა, რომ **ჩვენ ვიყოთ პუტინის მენიუში. ჩვენ არ ვართ სალათები, არ ვართ კომპოტი** ამ ადამიანისთვის, მიუხედავად მისი მადისა.

„რუსთავი-2“



**მამუკა არეშიძე**
*ანალიტიკოსი*

დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები — **დღეს თუ ხვალ, ჩვენ რუსეთ-თურქეთის ღია კონფლიქტის მომსწრენი გავხდებით.** შეიძლება, სამხედრო კონფლიქტი არ იყოს, მაგრამ **დაპირისპირება რომ ჩვენს სივრცეში — სამხრეთ კავკასიაში — მოხდება,** ეს დაზუსტებით ვიცი.

„კვირის პალიტრა“



**თორნიკე შარაშენიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი*

საქართველო, ასე თუ ისე, **მაინც დასავლეთზე იქნება ორიენტირებული,** მაგრამ აქ რუსები დგანან სამხედრო ბაზით და ამით **საქართველოს ნატოში ინტეგრაცია დაბლოკილია.**

„კვირის პალიტრა“



**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*

**ტრამპის ადმინისტრაცია,** ადრე თუ გვიან, **საქართველოს ხელისუფლებას პარტნიორად აღიარებს.**

„კვირის პალიტრა“

გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:

# გენერალისიმუსი

№12 (308) ★ 2025 წლის 24 მარტი ★ გამოდის 2003 წლიდან

**სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!**

იოსებ სტალინი



აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი და პირველი ლედი ჟაკლინ კენედი დალასში 1963 წლის 22 ნოემბერს, საბედისწერო გასროლამდე 2 საათით ადრე

# ტრამპი კენედის არ უნდა მიჰყვეს!

***ამერიკის 47-ე პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თავისი მეორე ვადის პირველსავე დღეებში გამოსცა განკარგულება, დაუყოვნებლივ გასაჯაროვდეს ყველა დოკუმენტი, რომელიც ეხება ამერიკის პრეზიდენტ ჯონ ფიცჯერალდ კენედის, მისი ძმის — რობერტ კენედისა და მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობას. და აი, მიმდინარე წლის 19 მარტს დღის სინათლეზე იქნა გამოტანილი 2082 დოკუმენტი 60 ათასზე მეტ გვერდზე.***

ამერიკის შეერთებული შტატების 35-ე პრეზიდენტი **ჯონ ფიცჯერალდ კენედი მოკლულ იქნა 1963 წლის 22 ნოემბერს ქალაქ დალასში სნაიპერის ტყვიით.** გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა განახორციელა ამერიკელმა **ლი ჰარლი ოსვალდმა,** რომელიც ორი დღის თავზე ციხეში ეტაპირებისას სიცოცხლეს გამოასალმა დალასის ერთ-ერთი ღამის კლუბის მეპატრონემ **ჯეკ რუბიმ,** რომელსაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, თუმცა, 4 წლის თავზე ფილტვების დაავადებით გარდაიცვალა ციხის საკანში. **ოფიციალურად ითვლება, რომ როგორც ოსვალდი, ასევე რუბი** დამოუკიდებლად მოქმედებდნენ, მაგრამ **კენედის მკვლელობამ** წარმოშვა უამრავი კონსპირალოგიური თეორია, რომელთა გაქარწყლებაც მხოლოდ **ამერიკის 47-ე პრეზიდენტმა** განიზრახა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეულობით გასაჯაროვებული ფაილიდან ამოშლილია ცალკეული ფრაგმენტები და ზოგი რამ ძნელად იკითხება, ვინაიდან ფურცლები გახუნდა ან წარმოადგენს უხარისხოდ სკანირებულ ფოტოასლებს, **ისტორიკოსებისა და გამოძიების მოყვარულთა განკარგულებაში გადადის დოკუმენტები, რომლებსაც მალავდნენ იმის გამოც, რომ ჩრდილი არ მისდგომოდა ამერიკული სპეცსამსახურებისა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მუშაობას.** ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა **კენედის** თანაშემწის **არტურ შლეზინგერის** 1961 წლის ივნისის მემორანდუმის სრული ტექსტის გამოქვეყნება, რომელშიც გაკრიტიკებულია **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო,** რომლის აგენტთა რაოდენობამ ამა თუ იმ ქვეყანაში მნიშვნელოვნად გადააჭარბა **აშშ**-ის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელთა რიცხოვნობას, რაც იმხანად მსოფლიო **პოლიტიკაში სერიოზულ ხელის ფათურზე მიუთითებს.** დასახელებულია საფრანგეთში, ავსტრიასა და ჩილეში **ცსს**-ის აგენტთა ზუსტი რიცხვი. განსაიდუმლოებულია მეხიკოში სატელეფონო მოსმენათა სტენოგრამებიც, რათა ხელში ჩაეგდოთ საბჭოთა და კუბელ დიპლომატთა კონფიდენციალური საუბრების შინაარსი. ეს დოკუმენტები **კენედის მკვლელობის** საქმეში აღმოჩნდა იმის გამო, რომ **ამერიკის პრეზიდენტის** დღემდე დეკლარირებული მკვლელი **ოსვალდი** ესტუმრა საბჭოთა კავშირსა და კუბას უშუალოდ დალასის ტრაგედიის წინ. **საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა აგრეთვე ოპერატიულ მუშაკთათვის განკუთვნილი ინსტრუქცია, რომელიც დეტალურად აღწერს, რომელი ქიმიკატები უნდა გამოვიყენოთ მოსასმენი აპარატურის მარკირებისათვის.** წარმოდგენილია მასალები მექსიკაში საბჭოთა კავშირის საელჩოს მუ-

*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ ბოლო გვერდზე*



დალასი. 1963 წლის 22 ნოემბერი, 12:30 საათი. საბედისწერო გასროლა აშშ-ის პრეზიდენტ ჯონ კენედის მიმართულებით

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“. 2025 წლის №11*

გიორგი ბეზირგანი

# კრემლის



## გადადგომა მიღებულია?

***იოსებ სტალინი სამარის კარამდე ინსულტმა მიიყვანა თუ საწამლავმა, ჩანს, ვეღარასოდეს გავიგებთ. ვარაუდი მტკიცება არ არის. დარწმუნებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, ვინ იყო სისხლხორცეულად დაინტერესებული, რომ მარტის პირველ ღამეს მახლობელი აგარაკის დაცვას და მომსახურე პერსონალს ტკბილად სძინებოდა, ხოლო დამბლადაცემული ბელადის აღმოჩენის შემდეგ ექიმები მასთან, ფაქტობრივად, სიკვდილის ფაქტის კონსტატაციისათვის მიეშვათ. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. უშიშროების სამინისტროდან მიმაგრებული ჩეკისტი ხრუსტალიოვი, რომელმაც ვითომდა პატრონის დავალებით ყველას დაძინება უბრძანა, იმავე ღამით ტოვებს მახლობელ აგარაკს, რამდენიმე დღეში კი მოულოდნელად კვდება გულის შეტევით.***
***მაშ ასე, სრული საფუძველი გვაქვს, დავასკვნათ, რომ ამ ინსულტის თუ შხამით სავსე ფიალის ფონზე მზადდებოდა და ძალას იკრებდა შეთქმულება ბელადის წინააღმდეგ. ამ შეთქმულების დამკვრელური რაზმი, ავანგარდი უდავოდ ბელადის უახლოესი თანამოსაგრენი იყვნენ. ისინი, ვინც წინა საღამოს უკანასკნელად გატეხა მასთან ერთად პური და ღვინოც შესვა — ლავრენტი ბერია, გიორგი მალენკოვი, ნიკიტა ხრუშჩოვი და ნიკოლაი ბულგანინი. უეჭველია, მუშკეტერთა ამ ოთხეულში დარტანიანი ჩვენი თანამემამულე გახლდათ. მაგრამ არც „მიამიტი“ ნიკიტას როლის დაუფასებლობა შეიძლება. მალენკოვი ამ კვარტეტში, ფაქტობრივად, შირმის როლს ასრულებდა, მიკედლებული ბულგანინი კი ჩვეულებრივი სტატისტი იყო.***

ახლა იმის გარკვევა ვცადოთ, რის საფუძველზე ჩამოყალიბდა იმ „მოწაფეთა“ და „თანამოსაგრეთა“ შეთქმულება, რომლებიც მანამდე სტალინის უერთგულეს მიმდევრებად ითვლებოდნენ და ბელადის ყოველ მზერას ხარბად იჭერდნენ. თუმცა, აქ, ვფიქრობ, ყველაფერი აბსოლუტურად ცხადია. ერთი მხრივ, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს წიაღში „ექიმთა საქმე“ იკრებდა ძალას, რომლის მახვილი, როგორც მოგვიანებით თავად ხრუშჩოვი აღიარებს, „პოლიტბიუროს ძველი წევრების“ წინააღმდეგ იყო მიმართული. მეორე მხრივ კი, თბილისში დასასრულს უახლოვდებოდა „მეგრელთა საქმე“, რომელიც, პრაქტიკულად, არავის უტოვებდა ეჭვს, რომ „დიდ მეგრელად“ ნებისმიერ წუთს შეიძლებოდა სოფელ მერხეულის მკვიდრი ქცეულიყო.

ამგვარად, შეთქმულების მთავარი, მამოძრავებელი ძალა შიში გახლდათ. შიში, რომელიც მარტოხელებს ბოჭავს, ხროვას კი მობილიზებას უკეთებს. ასე გააერთიანა მან საფრანგეთის დიდი რევოლუციის წლებში სახელმწიფო გადატრიალებისთვის კონვენტის ყველა ის წევრი, რომელთა თავზე რობესპიერს გილიოტინის ბასრი დანა ჰქონდა აღმართული. მოუსყიდველის წინააღმდეგ შეთქმულების ცენტრად მაშინ ცნობილი ჟოზეფ ფუშე იქცა. ის ცალკე ჩასჩურჩულებდა თითოეულს „შენც შავ სიაში ხარ, შენც, შენც“ და ასე შემოიკრიბა გარშემო სიკვდილით დასჯის ყველა კანდიდატი. რობესპიერი დაემხო.

ვინ იყო ჟოზეფ ფუშე სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებაში? როგორც ჩანს, ეს ფუნქცია ბერიამ და ხრუშჩოვმა გაიყვეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ ნიკიტა მეტისმეტად დიდხანს დაატარებდა გულში შურისძიების წყურვილს ბელადისადმი, რომელმაც მისი მოღალატე შვილი არ დაინდო. რაც შეეხება ბერიას, მას შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა, რამეთუ სტალინის სიკვდილით სწორედ მისთვის თავისუფლდებოდა რომანოვების ტახტი. მალენკოვი და, მითუმეტეს, ბულგანინი მის მეტოქეებად არ გამოდგებოდნენ. ამასთან, მერხეულელს გულუბრყვილოდ ეგონა, რომ „მიამიტი“ ნიკიტაც ვერაფერი შვილი მოწინააღმდეგე იყო.

რობესპიერი ფუშემ და მისმა ხროვამ დააპატიმრეს და, სასამართლოს პროფორმაზე დროც არ დაუხარჯავთ, ისე გააქანეს გილიოტინაზე, სადაც უბრალოდ კანონგარეშედ გამოცხადების საფუძველზე მოჰკვეთეს თავი.

სტალინის ხანგრძლივ გილიოტინად მახლობელ აგარაკზე მისი უკანასკნელი სარეცელი იქცა, რომელზეც ტანჯვით კვდებოდა.

**1998 წლის ზაფხულში სვეტლანა ალილუევამ ჟურნალისტ არტემ ბოროვიკთან ლონდონში საუბრისას ასეთი რამ თქვა:**

„როდესაც მამას შეტევა მოუვიდა, არ შემატყობინეს. წინა დღეს განუწყვეტლივ ვცდილობდი მასთან დაკავშირებას, თითქოს რაღაცას ვგრძნობდი. თითქოს მეძახდა, ოღონდ უსიტყვოდ. ეს სულის ძახილი იყო, გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა. მთელი ღამე ვურეკავდი დაცვას, მაგრამ უშედეგოდ. ის უგონოდ იყო, მე კი მეუბნებოდნენ, ამხანაგი სტალინი ისვენებს და ბრძანა, არ შევაწუხოთო. მახლობელ აგარაკზე მაშინ ჩამიყვანეს, როცა აღარაფერი ეშველებოდა. და, თითქოს დაცინვით, ექიმებსაც მაშინ დაუძახეს.

მასთან არ მიმიშვეს, გესმით? მე კი დღემდე აბსოლუტური გრძნობა მაქვს, რომ მეძახდა, უნდოდა, იქ ვყოფილიყავი, უნდოდა, უკანასკნელ წუთს გვერდით თავისი სისხლი და ხორცი ჰყოლოდა. მაგრამ ჩემზე აღარაფერს ვამბობ. ბევრად უფრო დიდი დანაშაული იყო ის, რომ ექიმები არ მოუყვანეს. ღმერთო, ხომ შეიძლებოდა, ყველაფერი სულ სხვაგვარად ყოფილიყო, მის სარეცელთან საჭირო მომენტში, პროფესორებს და აკადემიკოსებს ვინ ჩივის, პოლიკლინიკის უბრალო ექიმი რომ აღმოჩენილიყო. აი, ასე მოხდა ყველაფერი, დასკვნები კი თავად გამოიტანეთ.“

მართლაც, დასკვნები თავისთავად გამომდინარეობს. დანაშაულის ფაქტი აშკარაა. თანაც, მკვლელები იმდენად სულსწრაფები აღმოჩნდნენ, რომ, სანამ ბელადის სული სხეულს განშორდებოდა, იუდა ისკარიოტელის საკადრისი კიდევ ერთი ქმედება ჩაიდინეს.

მაგრამ ამაზე უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ.

●

მავანნი იოსებ სტალინს „დიქტატორს“ და ძალაუფლების „უზურპატორს“ უწოდებენ. მაგრამ **განა ისტორიის ანალებში ბევრია შემთხვევა, როდესაც უზურპატორი და დიქტატორი გადადგომას ითხოვს, თანაც არაერთგზის?** სტალინმა კი, როგორც ცნობილია, 1924 წლიდან ხუთჯერ მიმართა ცკ-ს გენმდივნის პოსტიდან გადადგომის ოფიციალური მოთხოვნით. და ხუთივეჯერ მთავარმა პარტიულმა შტაბმა ერთხმად დატოვა ის ამ პოსტზე.

უკანასკნელად გადადგომის თხოვნა პარტიის მე-19 ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან გაისმა. მაგრამ ცკ-ის წევრებმა ის ამჯერადაც ერთსულოვნად უარყვეს.

ეს 1952 წლის 12 ოქტომბერს მოხდა. „თანამოსაგრეებს“ თითქმის ხუთი თვე დასჭირდათ ბელადის წინადადების ასაწონ-დასაწონად. და აი, 1953 წლის 5 მარტს მათ, ბოლოს და ბოლოს, მისი თხოვნის დაკმაყოფილება გადაწყვიტეს...

**ხრუშჩოვი:** ყველამ დავინახეთ, რომ სტალინი გარდაიცვალა. გულწრფელად დამენანა, მთელი გულით დავტიროდი მის სიკვდილს. თანაც, ვგრძნობდი, რომ ახლა ყველაფრის მართვას ბერია აიღებს ხელში. და აი, დაიწყო „პორტფელების“ განაწილება.

●

მაგრამ ნიკიტა, ჩვეულებისამებრ, ცრუობს. ცრუობს, რომ „გულით დასტიროდა სტალინს“, რაც მთავარია, ურცხვად ტყუის, რომ „პორტფელების განაწილება“ ბელადის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო. **ცკ-ის, მინისტრთა საბჭოს და სსრკ უმაღლესი საბჭოს ერთობლივი სხდომა 5 მარტის 20 საათზე გაიხსნა და იმავე დღის 20 საათსა და 40 წუთზე დამთავრდა, სტალინი კი 5 მარტის 21 საათსა და 50 წუთზე გარდაიცვალა,** ანუ ბელადი სუნთქავდა, დროდადრო გონზეც მოდიოდა, მაგრამ 1 საათისა და 10 წუთის განმავლობაში არავითარ ძალაუფლებას აღარ ფლობდა.

მცირე შემოკლებით გთავაზობთ ერთობლივი სხდომის ოქმს:

*„თავმჯდომარეობს ამხ. ხრუშჩოვი. ის ამხ. ი. სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საინფორმაციო შეტყობინებისათვის სიტყვას აძლევს ჯანმრთელობის მინისტრს ამხ. ტრეტიაკოვს.*

*ამხ. ტრეტიაკოვის ინფორმაციას ცნობად იღებენ.*

*ამხ. ხრუშჩოვი იუწყება, რომ ამხ. სტალინის ავადმყოფობის დასაწყისიდანვე მის საწოლთან გამუდმებით იმყოფებიან სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრები. ამჟამად ამხ. ბულგანინი მორიგეობს და ამიტომ არ ესწრება სხდომას. ამის შემდეგ ამხ. ხრუშჩოვი სიტყვას ამხ. მალენკოვს აძლევს.*

*ამხ. მალენკოვი ამბობს, რომ ამ მძიმე წუთებში არ შეიძლება პარტია და ქვეყანა სრულფასოვანი ხელმძღვანელობის გარეშე დარჩნენ, ამიტომ სხდომამ სახელმწიფოს ბედზე უზარმაზარი პასუხისმგებლობა უნდა იტვირთოს და ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყვიტოს.*

*ამხ. ხრუშჩოვი სიტყვას აძლევს ამხ. ბერიას. ამხ. ბერია ამბობს, რომ სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის ბიურომ განიხილა ამხ. სტალინის ავადმყოფობასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარება და გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დანიშნოს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ბიუროს წინადადება შემოაქვს,* ***სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხანაგი გიორგი მაქსიმილიანის ძე მალენკოვი.***

*ამ წინადადებას ერთხმად იღებენ.*

*სიტყვას კვლავ ამხ. მალენკოვი იღებს. მას წინადადება შემოაქვს* ***სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნოს ამხ. ლავრენტი პავლეს ძე ბერია.*** *წინადადება ერთხმად მიიღება. ასევე* ***ერთხმად იღებენ წინადადებას მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად ამხანაგების ვ. მოლოტოვის, ნ. ბულგანინის, ლ. კაგანოვიჩის დანიშვნის შესახებ.“***

●

აქ კი სდექ. სიტუაცია სრულიად უნიკალური და უპრეცედენტოა. **ამხანაგი სტალინი სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობიდან გათავისუფლებული არ არის. და ამავე დროს სახელმწიფოს ახალ მეთაურად ამხანაგი მალენკოვია დანიშნული.** სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ერთი საათისა და ათი წუთის განმავლობაში სახელმწიფოს მთავრობის ორი ხელმძღვანელი ჰყავდა...**

●

ახლა კი ჯერ კიდევ ცოცხალი სტალინის „მემკვიდრეების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილების სხვა მნიშვნელოვან პუნქტებს გაგაცნობთ:

*გაერთიანდეს სახელმწიფო უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები ერთ — სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროდ.* ***სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნოს ამხ. ლ. ბერია.***

*აუცილებლად ჩაითვალოს ცენტრალურ კომიტეტში ორი ორგანოს — პრეზიდიუმის და პრეზიდიუმის ბიუროს ნაცვლად ერთის — ცკ-ის პრეზიდიუმის არსებობა. მეტი ოპერატიულობის მიზნით პრეზიდიუმის შემადგენლობა 11 წევრით და 4 კანდიდატით განისაზღვროს (ანუ უხეშად დაირღვა მე-19 ყრილობის გადაწყვეტილებები).*

*დამტკიცდეს ცკ-ის პრეზიდიუმის შემდეგი შემადგენლობა:*

***პრეზიდიუმის წევრები: ამხ.ამხ. ი. სტალინი, გ. მალენკოვი, ლ. ბერია, ვ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, ნ. ხრუშჩოვი, ნ. ბულგანინი, ლ. კაგანოვიჩი, ა. მიქოიანი, მ. საბუროვი, მ. პერვუხინი.***

***პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატები: ამხ.ამხ. ნ. შვერნიკი, პ. პონომარენკო, ლ. მელნიკოვი, მ. ბაგიროვი.***

*აუცილებლად ჩაითვალოს,* ***ამხ. ნ. ხრუშჩოვმა მთელი ყურადღება სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მუშაობაზე გადაიტანოს*** *და ამასთან დაკავშირებით იგი გათავისუფლდეს სკკპ მოსკოვის ქალაქკომის მდივნის მოვალეობისაგან...*

●

ამგვარად, პორტფელების განაწილებისას ხრუშჩოვი მთავარ პარტიულ პოსტს იღებს. მას ჯერ არ ჰქვია „პირველი მდივანი“, მაგრამ, ფაქტობრივად, უკვე ჩაუდგა სათავეში ცკ-ის სამდივნოს. და ჯერაც ცოცხალი სტალინი ამ თანამდებობიდანაც ჩამოშორებულია. მართალია, პრეზიდიუმის წევრთა ჩამონათვალი მისით იწყება, მაგრამ ერთობლივი სხდომის გადაწყვეტილების პრესაში გამოქვეყნების დროს (1953 წლის 7 მარტი) ბელადის გვარი ქრება. სხდომის ჩატარების თარიღი დასახელებული არ არის. ასე რომ, მკითხველთა აბსოლუტურ უმრავლესობას შთაბეჭდილება ექმნება, რომ ყველა ეს გადაწყვეტილება დიდი ბელადის გარდაცვალების შემდეგ მიიღეს.

●

კიდევ ერთი, თითქოს უმნიშვნელო, სინამდვილეში კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი:

***დაევალოს ამხ.ამხ. მალენკოვს, ბერიას და ხრუშჩოვს ზომების მიღება, რათა ამხანაგი სტალინის როგორც მოქმედი, ისე საარქივო საბუთები და ქაღალდები სათანადო წესრიგში იქნეს მოყვანილი.***

●

ამ გადაწყვეტილების ნამდვილი აზრი სრულიად გამჭვირვალეა — ბელადის არქივის დაუფლება, რათა შეთქმულთა მაკომპრომეტირებელი ყველა ქაღალდი გაანადგურონ და კრემლის ყველა საიდუმლოების ბატონ-პატრონები გახდნენ.

მარტის იმ დღეებში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების სათავე მკაფიოდ და რელიეფურად გამოჩნდა — ტრიუმვირატი, რომელშიც მალენკოვი დროებითი შირმაა, ხოლო ბერიამ და ხრუშჩოვმა სახელმწიფოსა და პარტიის მართვის სადავეები ჩაიგდეს ხელთ.

# ამბლაბუდა ★

***იოსებ სტალინის საიდუმლოებით მოცული სიკვდილის შემდეგ მომხდარი მოვლენების მთელი რიგი არაპირდაპირ ადასტურებს მის ძალადობრივ ხასიათს. მოულოდნელად კვდება ხრუსტალიოვი, — ახალგაზრდა ჩეკისტი, რომელიც მახლობელ აგარაკს სახელმწიფო უშიშროებიდან მიამაგრეს. სწორედ ის, რომელმაც 1 მარტის საბედისწერო ღამეს მოსამსახურეებს და დაცვას ვითომდა პატრონის ბრძანება გადასცა — „ყველამ დაიძინოს!“ მახლობელი აგარაკის პერსონალს კი ნაჩქარევად, სულ რამდენიმე საათის განმავლობაში ასახლებენ მოსკოვიდან. როდესაც ადამიანები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდნენ ბელადს, უკმაყოფილებას გამოთქვამენ, ბერია მუქარით ეტყვის მათ: „არ გინდათ იქ ყოფნა? მაშინ აქ იქნებით.“ და თითით მიწაზე მიუთითებს.***

***თუმცა, საქმე მახლობელი აგარაკის დაწიოკებით არ შემოიფარგლება. სტალინის დაკრძალვიდან მცირე ხანში გაზეთებში გამოჩნდება ცნობა, რომ „მძიმე ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ“ გარდაიცვალა ჩეხოსლოვაკიის ლიდერი კლემენტ გოტვალდი. სხვათაშორის, პროფესიით ექიმი. ოფიციალური ვერსიის თანახმად, გოტვალდი დაკრძალვის დროს გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. მას კრემლის საავადმყოფოში მკურნალობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადმყოფმა გულმა უმტყუნა. არაოფიციალურად კი გავრცელდა ხმა, რომ გოტვალდმა განსვენებულს ტუჩებზე ქაფი დაუნახა და ცხვირსახოცით ჩუმად მოწმინდა.***

***ეს შენიშნეს, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.***

ყველაფერთან ერთად „თანამოსაგრეები“ ბელადის გარდაცვალების შემდეგ ზრდილობისათვის 40 დღეს მოიცდიან და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და ანტისაბჭოთა საქმიანობაში (?!) ბრალდებით მის შვილს ვასილის დააპატიმრებენ. ახალგაზრდა გენერალ-ლეიტენანტი 8 წელიწადს გაატარებს ციხეში და სიცოცხლეს ყაზანში, გადასახლებაში დაასრულებს, ასევე ფრიად უცნაურ გარემოებებში.

მაგრამ ყველაზე მეტად სტალინის სიკვდილმა მის მშობლიურ საქართველოს დაარტყა. მოსკოვში მომხდარი სასახლის გადატრიალება რიკოშეტით აქაც ხელისუფლების შეცვლაში აისახა.

●

უკვე მოგითხრეთ, რომ შეტევამდე ცოტა ხნით ადრე სტალინმა თბილისში დარეკა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს ესაუბრა. ბელადი რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობით დაინტერესდა და თქვა, რომ უახლოეს ხანში „ამხანაგ ვოლკოვს“ (ასე თარგმნიდა ის რუსულად მგელაძის გვარს) მოსკოვში მიიწვევს უფრო საფუძვლიანი საუბრისათვის.

შემდგომში მოვლენები ასე განვითარდა.

**აკაკი მგელაძე:** სტალინთან საუბრის მეორე დღეს — 2 მარტს ოპერის თეატრში „აბესალომ და ეთერის“ პრემიერა გაიმართა, რომელსაც რესპუბლიკის მთელი მთავრობა ესწრებოდა, რა თქმა უნდა, ჩემი ჩათვლით. მეორე აქტის დროს ჩემს ლოჟაში სახელმწიფო უშიშროების მინისტრი, გენერალი კოჭლავაშვილი შემოვიდა და მოსკოვიდან მოსული შიფროგრამა გადმომცა. მასში ნათქვამი იყო, რომ დღესვე უნდა გავფრინდე სკკპ ცკ-ის საგანგებო პლენუმზე. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო. სულ რამდენიმე საათის წინ თავად სტალინს ველაპარაკე და არავითარი პლენუმი არ უხსენებია. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა და ფარდის დაშვებისთანავე ცკ-ში გავემართე. კაბინეტში შესვლა ძლივს მოვასწარი, ტელეფონის ზარი გაისმა. ჩემი სომეხი კოლეგა გრიგოლ არუთინოვი რეკავდა. მითხრა, რომ ისიც გამოიძახეს და შემომთავაზა, მოსკოვში ერთად გავფრენილიყავით. დავთანხმდი. მთელი გზა ვმსჯელობდით და ვმკითხაობდით, რას შეიძლება ნიშნავდეს ეს სასწრაფო პლენუმი, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრეთ. ჩვენი თვითმფრინავი მოსკოვში დაახლოებით 3 საათზე დაეშვა. მაშინვე ცკ-ში წავედით, იქიდან კი — კრემლში. და იქ ბელადის მძიმე ავადმყოფობის შესახებ ცნობამ თავზარი დაგვცა...

●

3 მარტს ადგილებიდან ჩასული მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური, საოლქო, სამხარეო კომიტეტების მდივნები მთელი დღის განმავლობაში ხვდებოდნენ პოლიტბიუროს წევრებს. მათ სტალინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ბიულეტენებს აცნობდნენ, მაგრამ მომაკვდავ ბელადთან არავინ დაუშვიათ. 4 მარტს რიგგარეშე პლენუმი შედგა. მეორე დღეს კი ცკ-ის, მინისტრთა საბჭოს და სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკვე აღწერილი ერთობლივი სხდომა. აი, როგორ აფასებს ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის შემქმნელ ამ ისტორიულ სხდომას **აკაკი მგელაძე:**

გამაოცა იმ ფაქტმა, რომ **სტალინი ცოცხალია, მას თითქოს მკურნალობენ, მის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, მაგრამ დაკავებული თანამდებობიდან ყველა გაათავისუფლეს. განა სტალინი პირველად გახდა ავად? ნებისმიერი მთავრობის მეთაური ან პარტიის ლიდერი შეიძლება დასნეულდეს, მაგრამ მას ხომ მაშინვე არ ხსნიან პოსტიდან.** რაშია საქმე? აქ რაღაც რიგზე ვერ არის, — ვფიქრობდი მე...

●

და კიდევ ერთი სახასიათო შტრიხი იმავე მგელაძის მონათხრობიდან:

დარბაზს ამ ცნობამ თითქოს დამბლა დასცა. ყველა დამწუხრებული დუმდა და თითქოს ჩემსავით მწვავედ განიცდიდა სტალინის ავადმყოფობას. შემთხვევით მალენკოვის და ბერიას მხარეს გავიხედე და მათი გამოხედვა დავიჭირე. ერთმანეთს უღიმოდნენ, მაგრამ გადავწყვიტე, რომ ეს ნერვული რეაქცია იყო.

●

9 მარტს წითელ მოედანზე გენერალისიმუსის დაკრძალვა შედგა. მეორე დღეს კი დილაადრიან აკაკი მგელაძე თავის კაბინეტში ლავრენტი ბერიამ გამოიძახა. თავად მგელაძის და იქ დამსწრე ბერიას თანაშემწის ბორის ლუდვიგოვის მონათხრობზე დაყრდნობით ვეცდებით, ეს ღირსსახსოვარი შეხვედრა აღვადგინოთ.

ბერია კაბინეტში ბოლთას სცემდა, საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, ისევ დგებოდა, მაგრამ სტუმარი მუდმივად თავისი პენსნეს სამიზნედ ჰყავდა. მაგიდაზე რევოლვერი ედო.

— გუშინ დიდი სტალინი დავასაფლავეთ, — თქვა ბერიამ და რატომღაც ჩაიცინა, — იყო დიდი სტალინი და აღარ არის დიდი სტალინი. ახლა მის დამქაშებთან უნდა გავერკვეთ.

— არ მესმის თქვენი, ლავრენტი პავლოვიჩ, — უთხრა მგელაძემ, რომელსაც ამ სიტყვებმა თითქოს ყინულივით შხაპი გადაავლო.

— არ გესმის? — ავად უთხრა ბერიამ, — არა უშავს, მალე გაიგებ. აი, „პრავდაში“ სტატია დაწერე „სტალინი — ჩვენი დროშაა.“ შენი დროშა კი აგერ, ეს არის. — ის მოულოდნელად ორი ნახტომით მიეჭრა მგელაძეს და რევოლვერი საფეთქელზე მიაბჯინა.

— ამხანაგო ბერია, — ძლივს წაილუღლუღა მგელაძემ და თავი გასწია, — ეს ცუდი ხუმრობაა. არაფერი მესმის. ამიხსენით, რა ხდება?

— ეს ხუმრობა არ არის, — გაიცინა ბერიამ, — უკვე საკმარისად ვიხუმრეთ. ჯობს, ის მითხრა, რატომ გეძახდა სტალინი ვოლკოვს?

საბოლოოდ თავგზააბნეულმა მგელაძემ უპასუხა, რომ სტალინმა, უბრალოდ, მისი გვარი რუსულად თარგმნა და...

— სტალინი უბრალოდ არაფერს აკეთებდა, — უხეშად შეაწყვეტინა ბერიამ.

— სათქმელი მეტი არაფერი მაქვს, — განაგრძო მგელაძემ, — „ვოლკოვთან“ დაკავშირებით არასოდეს არანაირი უცნაური გრძნობა არ გამჩენია.

— სამაგიეროდ, ჩვენ გაგვიჩნდა, — ჩაიცინა ბერიამ, — გაგვიჩნდა გრძნობა, რომ შენ სტალინის რჩეული და ცნობების მთავარი მიმწოდებელი ხარ. განა ასე არ არის?

— ამხანაგო ბერია, ვიმეორებ, არაფერი მესმის. რა ხდება? რა გინდათ ჩემგან?

— შენგან არაფერი გვინდა, — კბილებში გამოცრა ბერიამ, — და შენ თვითონაც არაფერში გვჭირდები. ხდება კი ის, რომ **იყო ამხანაგი ვოლკოვი და აღარ არის ამხანაგი ვოლკოვი. გაუჩინარდა, მოკვდა ვოლკოვი. დარჩა უბრალო საბჭოთა უმუშევარი მგელაძე.** მორჩა, თავისუფალი ხარ. ჯერჯერობით.

●

იმავე დღეს მგელაძესთან ბერიას გაგზავნილი კაცი გამოცხადდა და იარაღთან ერთად მის ხელთ არსებული ქაღალდების და საბუთების ჩაბარება მოსთხოვა. საღამოს ის ახალი, გაერთიანებული შსს-ს მინისტრის პირველმა მოადგილემ ბახჩო ქობულოვმა ლუბიანკაზე გამოიძახა და რამდენიმესაათიანი დაკითხვა მოუწყო მეგრელთა საქმესთან მისი კავშირის შესახებ. მგელაძემ გადაწყვიტა, რომ დააპატიმრეს, მაგრამ უთენია გამოუშვეს. ამასობაში ბიუროზე გამოუძახებლად, გამოკითხვის გზით ის ცკ-ის პლენუმის შემადგენლობიდან გამოიყვანეს. ამასთან, მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის თანამდებობიდან მგელაძის მოხსნის შესახებ. თბილისში სასწრაფოდ მოწვეული საქართველოს კპ ცკ-ის პლენუმი ამ გადაწყვეტილებას დაადასტურებს და პარტიული ორგანიზაციის ახალ ხელმძღვანელად ციხიდან ახლახან გათავისუფლებულ ალიოშა მირცხულავას „აირჩევს“. მაგრამ რესპუბლიკის ფაქტობრივი ბატონ-პატრონი საქართველოს შს მინისტრად დანიშნული ვლადიმერ დეკანოზოვი გახდება. მგელაძეს კი ორი გადაცმული ჩეკისტის თანხლებით თბილისში გამოამგზავრებენ და მკაცრად აუკრძალავენ ბინიდან გამოსვლას. არსებითად, ეს შინაპატიმრობაა.

მაგრამ ამ ყველაფერს „ამხანაგი ვოლკოვის“ კიდევ ერთი დაკითხვა უძღვის წინ, რომელსაც პირადად ამხანაგი ბერია ჩაატარებს. ინტერიერი იგივეა — კრემლის კაბინეტი და მაგიდაზე დადებული რევოლვერი, რომელსაც ქვეყნის ახალი მმართველი დროდადრო მძიმე ხელს ადებს.

მკითხველს ამ „საუბრის“ ნაკლებად ცნობილი სტენოგრამიდან განსაკუთრებით საინტერესო ფრაგმენტებს ვთავაზობთ:

**შეკითხვა: ფაქტები მოწმობს, რომ ე. წ. „მეგრელთა საქმის“ ფალსიფიცირების იდეა სტალინს მგელაძემ მიაწოდა. ცნობ თუ არა ამაში თავს დამნაშავედ?**

**პასუხი:** არა, არ ვცნობ. არავითარი იდეა სტალინისთვის არ მიმიწოდებია. ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ტერორისტული ორგანიზაციის საქმეს უშუალოდ საკავშირო და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროები აწარმოებდნენ. მე კი „მეგრელთა საქმის“ არსებობის შესახებ მხოლოდ მაშინ შევიტყვე, როცა ის უკვე წარმოებაში იყო და მე, როგორც ცკ-ის წევრს და პირველ მდივანს, ბარამიასა და სხვათა ჩვენებები გამაცნეს.

**შეკითხვა: გვაქვს უცილობელი საბუთები, რომ საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მეორე მდივნის ბარამიას ვითომდა დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ სტალინს პირველმა შენ მოახსენე ჯერ კიდევ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნობისას. ამაზე რას იტყვი?**

**პასუხი:** ლაპარაკი იყო მექრთამეობაზე რესპუბლიკაში. საქართველოში სტალინის უკანასკნელი დასვენების დროს მასთან ამ თემაზე საუბრისას ვთქვი, რომ მექრთამეობის აღზევების მიზეზი ხელმძღვანელ მუშაკთა მიერ საქართველოს ზოგიერთი რაიონის მფარველობაა. ამასთან დაკავშირებით დავასახელე ბარამიაც, რომელიც განსაკუთრებით მფარველობდა სამეგრელოს რაიონებს. მე მხოლოდ ის გავიმეორე, რაზეც მთელი საქართველო ლაპარაკობდა, ანუ ბარამიასა და მისი მეუღლის უღირს საქციელზე. ამით შემოიფარგლა ჩემი კავშირი მეგრელთა საქმესთან. იმაზე, თუ როგორ იქცეოდნენ ბარამია და საქართველოს რამდენიმე სხვა უმაღლესი ხელმძღვანელი, სტალინს მხოლოდ მე როდი მოვახსენე. პირველად მან ეს ძველი ბოლშევიკებისაგან მოისმინა, რომლებსაც საქართველოში შევბულების გატარების დროს შეხვდა.

**შეკითხვა: მგელაძის მიმართ სტალინს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა, ყველა დანარჩენი რესპუბლიკის ხელმძღვანელისაგან გამოარჩევდა, შეიძლება ითქვას, ნაზად უყვარდა. რით ახსნი სტალინის ასეთ სიყვარულს შენდამი?**

**პასუხი:** სტალინს არასოდეს უთქვამს, რომ რაღაც გამორჩეული დამოკიდებულება ჰქონდა ჩემდამი. დიახ, ამხანაგი სტალინი ძალიან თბილად მეპყრობოდა, მაგრამ მასთან მიღებაზე და სტუმრად ყოფნისას ვხედავდი, რომ ასევე თბილად ექცეოდა ბევრ სხვა ერთგულ მუშაკსაც. თავის ქებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ სტალინი აფასებდა კარგ თანამშრომლებს და მისი თბილი დამოკიდებულება მხოლოდ მათი ერთგულებითა და თავდადებული მუშაობით იყო გამოწვეული. რა თქმა უნდა, მეც მთელი ძალ-ღონით ვცდილობდი იმ მაღალი ნდობის გამართლებას, რომელიც ამხანაგმა სტალინმა გამომიცხადა. აზრი, რომ სტალინი მაფასებდა, რადგან მისთვის ცნობების მიმწოდებელი ვიყავი, როგორც ახლა ცდილობენ, წარმოადგინონ, მცდარია, ხოლო, თუ სტალინს, როგორც თქვენ ამბობთ, ვუყვარდი, ამით შემიძლია მხოლოდ ვიამაყო.

... „ამხანაგი ვოლკოვი“ დაპატიმრებისაგან ლავრენტი ბერიას სწრაფმა დაცემამ იხსნა. მოვლენებს გავასწრებთ და გეტყვით, რომ მისი ბედი სასიკეთოდ არც ხელისუფლებაში ხრუშჩოვის მისვლას შეუცვლია. აკაკი მგელაძეს პარტიაში მხოლოდ ხრუშჩოვის დამხობის შემდეგ აღადგენენ.

***გაგრძელება იქნება***



## ამხანაგ ვოლკოვის გაუჩინარება

*დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე*

# აშშ-ის პრეზიდენტები და პრეზიდენტობის კანდიდატები, რომლებსაც თავს დაესხნენ

შაკთა მოსყიდვის შესახებ. კიდევ ერთი სიახლე ეხება იმხანად **დაზვერვის ცენტრალურ აპარატში** დასაქმებულ აგენტთა ჯგუფს, რომელიც დაკავებული იყო იარაღის საერთაშორისო ვაჭრობით, მათ შორის, საბჭოთა კავშირში არსებული „შეიარაღებული წინააღმდეგობისათვის“. შეიტყო რა ამის შესახებ აგენტმა **ჰარი ანდერხილმა,** აღნიშნული ინფორმაცია გაანდო თავის მეგობრებს და მიუთითა, რომ **კენედის მკვლელობაზე** პასუხისმგებელია **ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო,** ხოლო თავად შიშობს, რომ ნომერ პირველი სპეცსამსახურის კონტრაბანდისტული საქმიანობის შესახებ არსებული დეტალების ცოდნა მისთვის ფატალური შეიძლება აღმოჩნდეს. აკი, თავის დროზე **კენედიმაც** შეიტყო ამის შესახებ, რის გამოც სიცოცხლეს გამოასალმეს. მოგვიანებით **ჰარი ანდერხილიც** მოკლეს და გარდაცვალების გარემოებათა დამდგენმა კომისიამ იგი თვითმკვლელად გამოაცხადა.

**ჩვენ გვაქვს უამრავი ფურცელი და თქვენ წასაკითხიც ბევრი გექნებათ!** — განაცხადა პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** და საზოგადოებას წარუდგინა გადახაზული, გახუნებული და ცალკეულ შემთხვევაში აბზაცებამოშლილი დოკუმენტაცია, რომელზედაც ბოლო 63 წლის მანძილზე დაინტერესებულმა ძალებმა, როგორც ჩანს, საგულდაგულოდ იმუშავეს. შეძლო კი ძლევამოსილმა **დიფ სთეითმა,** ანუ **ფარულმა დასმა** ბოლომდე გაეყალბებინა ისტორია თუ მაინც დატოვა ფოლიანტებში ის **მამხილებელი კუდები,** რომლებსაც უთუოდ მიაგნებენ თანამედროვე კვალმაძიებლები?

**წარმოდგენილი ზღვა მასალის დამუშავებას სერიოზული დრო სჭირდება, მაგრამ მავანი უკვე ცდილობს, კონკრეტულად დაასახელოს მსოფლიოში ცნობილი „ფულის ტომრების“ გვარ-სახელი და მათი კლანების მიერ დაუმორჩილებელი კენედის მკვლელობის დაგეგმვაზეც მიუთითებს.** თუმცა, ძირითადი დასკვნების გამოტანამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა.

იქნებ აღნიშნული საიდუმლო დოკუმენტების გამომზეურებით **ტრამპმა,** რომელსაც ერთხელ უკვე ესროლეს და სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა, საკუთარი სიცოცხლეც დაიზღვია — ისიც ხომ **პრეზიდენტ კენედივით** ექვსი ათეული წლის ინტერვალით კვლავ **დინების საწინააღმდეგო მიმართულებით** მიცურავს?

## ბოლოთქმა

მიუხედავად იმისა, რომ **ჯონ ფიცჯერალდ კენედის** მკვლელობიდან, რომელიც 1963 წლის 22 ნოემბერს იქნა ჩადენილი, თითქმის 62 წელია გასული და მთელი ამ ხნის განმავლობაში **ე.წ. დიფ სთეითს, ანუ ფარულ დასს** დანაშაულის რეალური კვალის წასაშლელად ყველანაირი საშუალება ჰქონდა, მაინც არსებობს მოლოდინი და ფრთხილი ოპტიმიზმი, რომ მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე რეზონანსულ და ბურუსით მოცულ საქმეს ნათელი მოეფინება.
ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტია — **ამერიკის შეერთებული შტატების 47-ე პრეზიდენტს დონალდ ტრამპს აღმოაჩნდა პოლიტიკური ნება, ექვსი ათეული წლის შემდეგ ახადოს ფარდა პრეზიდენტ კენედის მკვლელობასთან დაკავშირებულ დიდ საიდუმლოს!**

საქართველოში კი, სამწუხაროდ და საუბედუროდ, ჯერაც არ გამოჩნდა ხელისუფლება, რომელსაც პირველი პრეზიდენტის — **ზვიად გამსახურდიას** ბურუსით მოცული საქმის გამოსაძიებლად პოლიტიკური ნება ეყოფა! როგორც ჩანს, **ქართული დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის** ფესვები პოლიტიკურ ნიადაგში იმაზე უფრო ღრმად არის გასული, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია!







გენერალისიმუსი
2025 წლის 24 მარტი. №12 (308)
სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**




# მამუკა ფიფია:

# ქართველები უნდა დავბრუნდეთ ჩვენი წინაპრების აშენებულ ილორის ტაძარში!

***რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ს კომიტეტის ფარგლებში მიმდინარეობს მსჯელობა, აფხაზეთში სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის თაობაზე. რას გამოიწვევს ამ ჩანაფიქრის განხორციელება? წაადგება თუ არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ამოცანას, თუ აფხაზეთის რკინიგზა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის სატრანზიტო მსხვილ დერეფნად გადაიქცევა? ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ საკითხის განხილვაში მონაწილეობს პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ საერთაშორისო მდივანი, კრემლის მაღალჩინოსნებთან დაახლოებული ქართველი ბიზნესმენი მამუკა ფიფია, რომელიც ამ სკანდალურ თემაზე საუბარს დაგვთანხმდა:***

— რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ასეთი დისკუსია მართლაც მიმდინარეობს. ახლახან მსგავს ფორმატში გადაწყდა **მოსკოვი-სოხუმის საავიაციო რეისის** ამოქმედება, უფრო ადრე კი, ამავე ფორმატში განიხილებოდა თბილისამდე პირდაპირი ფრენების დანიშვნის და საქართველოსთან სავიზო ურთიერთობის გაუქმების საკითხიც, რომელიც წარმატებით დაგვირგვინდა.

**ამჯერად არის მსჯელობა, არა მხოლოდ სარკინიგზო, არამედ აფხაზეთზე გამავალი სატრანსპორტო მაგისტრალის გახსნაზეც.**

მე ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობას ვიღებ მოწვეული ექსპერტის ამპლუაში. წარმოდგენილია სხვადასხვა ვარიანტი, თუ რანაირად გავა მაგისტრალი, როგორ ჩაერთვება საქართველოს რკინიგზა ამ პროექტში, სად უნდა ხდებოდეს საზღვრის გადალახვისას ბეჭდის დასმა **(ფსოუზე თუ ინგირთან)** და ა.შ. განიხილება ისიც, რა ზომები უნდა იქნას მიღებული საავტომობილო კოლაფსის თავიდან ასარიდებლად.

**— რას გულისხმობთ?**

— აქამდე აფხაზეთში გამავალ საავტომობილო მაგისტრალზე საცობები არ ყოფილა, ვინაიდან იქ მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა და თბილისისკენ მომავალი მგზავრები მოძრაობდნენ. **ამჯერად საავტომობილო მაგისტრალის ფუნქციები შეუდარებლად გაიზრდება, ვინაიდან მასზე გავლა მოუწევს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის, ირანის და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ მიმავალ ტრანსპორტს.** ვიდრე აქამდე არსებული საავტომობილო მაგისტრალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად გაფართოვდება ან შემოვლითი კომუნიკაცია აშენდება, შესაძლოა, ტრანზიტულმა ტრანსპორტმა მხოლოდ ღამის 12-დან დილის 6 საათამდე იმოძრაოს, დანარჩენი დრო კი ადგილობრივ მოსახლეობას დაეთმოს.

**— ნუთუ ეს ყველაფერი შესაძლებელია, ვიდრე აფხაზეთი ოკუპირებულია, ხოლო საქართველოში საოკუპაციო კანონი მოქმედებს?**

— იმ მიზნით, რომ ქართული ინტერესები მაქსიმალურად იქნას დაცული, აუცილებელია, დისკუსიაში მონაწილეობას იღებდეს საქართველოს ხელისუფლება. ამისთვის კი, თავის მხრივ, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაა საჭირო, რასაც მოსკოვი მუდმივად სთავაზობს თბილისს! ეს ადრე თუ გვიან ისედაც გარდაუვალია და რაც ადრე მოხდება, ქართველებისთვის მით უკეთესი შედეგებით დაგვირგვინდება! ღმერთმა ნუ ქნას, ეს საკითხები ჩვენი მონაწილეობის გარეშე გადაწყდეს! ჩემი აზრით, საქართველო, უპირველესად, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას, შემდეგ კი 3+3 ფორმატში გაერთიანებას უნდა დათანხმდეს და მოლაპარაკებები ამ მიმართულებით აწარმოოს.

**— ვიდრე ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, რამდენად უხიფათო იქნება აფხაზეთის მონაკვეთზე ქართველის მგზავრობა? თბილისიდან მოსკოვში მატარებლით მიმავალი ქართველი მგზავრი სოხუმის ბაქანზე უხიფათოდ შეძლებს სიგარეტის მოწევას თუ კუპეში გამოკეტვა მოუწევს, ვიდრე მატარებელი ფსოუს გასცდება?**

— სიმართლე გითხრათ, რუსეთის ვერტიკალში დისკუსიები ჯერ ასეთი დეტალების განხილვამდე არ მისულა, მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა ისიც ჩემგან შეიტყვეს, რომ ქართველს, თუნდაც რუსეთის მოქალაქე იყოს, აფხაზეთში რუსეთის პასპორტით ფსოუს მხრიდან მაინც არ უშვებენ, რასაც დისკრიმინაციის სუნი უდის. სამაგიეროდ, გალში მცხოვრებ ქართველებს, რომლებსაც ქართული პასპორტი აქვთ, შეუძლიათ, ნებისმიერ დროს გადავიდნენ აფხაზეთიდან პირდაპირ რუსეთში ისე, რომ თბილისში ან ქუთაისში ჩასვლა არ მოუხდეთ. ამასთან, ბეჭედს ფსოუს საზღვარზე რუსი მესაზღვრეები სვამენ. ამისი შეტყობა კრემლში საკმაოდ ეუხერხულათ და აღმოფხვრას შეუდგნენ, ხოლო, რაც შეეხება თქვენს შეკითხვაში ჩაქსოვილ აქტუალურ პრობლემას, გაძლევთ პირობას, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის კომიტეტში ამ კითხვას აუცილებლად დავსვამ და პასუხს მორიგ ინტერვიუში დეტალურად მოგახსენებთ!

**— და მაინც, ვფიქრობ, ქართველის ღირსებისთვის შეურაცხმყოფელი იქნება, თუ აფხაზეთის მონაკვეთი იქამდე გაიხსნება, ვიდრე ახალი ათონის სადგურზე მატარებლიდან ჩასვლას, მონასტრისა და კარსტული მღვიმის მონახულებას ან რიწის ტბაზე ექსკურსიით წასვლას ვერ ვახერხებთ...**

— ეს ურთიერთობების მხოლოდ დასაწყისია, ამჯერად აუცილებელია, პროცესებში სასწრაფოდ ჩავერთოთ, დიალოგისთვის მზადყოფნა ვაჩვენოთ, რათა სამომავლოდ ჩვენი ინტერესები ოპტიმალურად დაკმაყოფილდეს. **ჩვენი მეზობელი ყველა სახელმწიფო აფხაზეთის მაგისტრალის გახსნით არის დაინტერესებული და ამ ეტაპზე მკაცრი პრეტენზიების წაყენება, ვფიქრობ, საქმეს დააზარალებს.** ახლო მომავალში დიალოგი თავისით მივა იმ დონემდე, რომ პერსპექტიული ეკონომიკური სარგებლის გათვალისწინებით, ქართველების და აფხაზების ურთიერთობები ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდება. ისიც ფაქტია, რომ ერთმანეთთან სისხლიანი კონფლიქტის შემდეგ ქართველებსა და ოსებს შორის დაპირისპირება ერთხანს მთლიანად გაქრა. განახლდა ქართულ-ოსური ოჯახების შექმნა, ქართველები ცხინვალში უხიფათოდ შედიოდნენ, ოსებიც თავისუფლად ჩამოდიოდნენ თბილისში, ხოლო ერგნეთის ბაზრობამ საერთო ეკონომიკური ინტერესები და კავშირები გაამყარა. **ვიდრე სააკაშვილის რეჟიმი „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ ნილაბქვეშ პროვოკაციულ ახალ ომს წამოიწყებდა, ოსებსა და ქართველებს შორის კონფლიქტი, ფაქტობრივად, ამოწურული იყო.** ცხინვალი ძველებურად საქართველოს შემადგენლობაში მოიაზრებოდა და ამის ოფიციალურად აღიარებამდე დათვლილი ნაბიჯები რჩებოდა, რაც, რუსეთთან დიდ შერიგებას მოასწავებდა, მაგრამ ეს არ აწყობდა დასავლეთს, რომლის წაქეზებითაც **სააკაშვილმა** საკუთარ ხალხს სისხლისღვრა მოუწყო და საქართველოს ტერიტორიები დააკარგვინა.

**— დაბოლოს, რამდენად გჯერათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება?**

— თავად გახლავართ აფხაზეთელი, ვისაც საკუთარ კერაზე დაბრუნება უზენაეს ამოცანად მიაჩნია. ვფიქრობ, „ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის“ ლოზუნგი, რომელიც აფხაზებისთვის გამაღიზიანებლად ჟღერს, უნდა შევცვალოთ აბსოლუტურად იმავე მნიშვნელობის, თუმცა, უფრო ფაქიზი პოზიციით: **ქართველები უნდა დავბრუნდეთ საკუთარ სახლში, წინაპრების აშენებულ ილორის ტაძარში! უნდა დავუბრუნდეთ წინაპართა საფლავებს; ამასთან, დავიბრუნოთ აფხაზების ნდობა, დავარწმუნოთ, რომ მათ მიმართ მტრობა არ გვამოძრავებს!**

მჯერა, უახლოეს მომავალში ამ გზას ღირსებით გავივლით, მშობლიურ კერებზე სამუდამოდ დავბრუნდებით და ილორის ტაძარში აფხაზებთან ერთად ვილოცებთ!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**იაგო კაჭკაჭიშვილი**
*სოციოლოგი*



**სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკური აქტიურობა შესუსტდა.** თუკი ის ისევ აქტიურად აგრძელებს მუშაობას, ოღონდ **კულუარებში და ფარდის მიღმა,** უმჯობესია, რომ ეს ფარდა უფრო გამჭვირვალე გახდეს.

„ახალი თაობა“

**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



დღეს **სალომე ზურაბიშვილიც იზიარებს უსამართლობაზე პასუხისმგებლობას.** ისტორიის ფურცლებზე დაიწერება, რომ **საქართველოს მეხუთე პრეზიდენტმა არ შეიწყალა მესამე პრეზიდენტი.** „პირველი არხი“

**ნიკა გვარამია**
*პარტია „ახლის“ ლიდერი*



**სალომე ზურაბიშვილი** ყველას ერთად კი არ შეგვიყვარდა, **ის არის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი** ამ ქვეყნის გადარჩენისთვის.

„პირველი არხი“

**ირაკლი ფავლენიშვილი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი*



ჩვენი ლიდერი **მიხეილ სააკაშვილი** სულ ამბობდა, რომ ასეთ რთულ ვითარებაში **ოპოზიციის დაქუცმაცება და დანაწევრება არის დამღუპველი.** რაც არ უნდა აზრთა სხვადასხვაობა იყოს ოპოზიციურ სპექტრში, ასეთ ვითარებაში **გაერთიანება აუცილებელია!**

„ახალი თაობა“

**გიგი უგულავა**
*პოლიტიკოსი*



„ქართული ოცნების“ ყველა მინისტრი, მერი და გამგებელი **დაპატიმრებული იქნება** იმ სტანდარტით, რაც **ბიძინა ივანიშვილმა** შექმნა. **ივანიშვილი 11 წლით ჩაჯდება.**

„პირველი არხი“

# როგორ განმარტეს სულხან-საბა ორბელიანმა და თეიმურაზ ბაგრატიონმა ნაცის მნიშვნელობა?

*სიტყვასა და ცნებას* ***ნაცი*** *საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. ტრივიალური გაგებით,* ***ნაცი*** *სააკაშვილის მიერ* ***მირიან მირიანიშვილისთვის*** *წართმეული დედაპარტიის —* ***ნაციონალური მოძრაობის*** *აქტივისტს აღნიშნავს, რომლის წარმოდგენაშიც 2008 წლის ომი საქართველომ რუსეთს მოუგო,* ***სააკაშვილი დავით*** *აღმაშენებელია,* ***სალომე ზურაბიშვილი*** *— თამარ მეფე,* ***ზელენსკი*** *— მსოფლიო მთავარსარდალი,* ***კეზერაშვილი*** *— მედიამენეჯერი,* ***ნიკუტუ გვარამია*** *— თავისუფალი სიტყვის მედროშე,* ***ვანო მერაბიშვილი*** *— ნეტარი ავგუსტინე,* ***მეგის ქარდავა, დათა და ბაჩო ახალაიები*** *— პეტრე ცაავას სალხინოს მამათა მონასტრის სტიქაროსნები,* ***ნანულა ყორყოლიანი*** *— ორლეანელი ქალწული, ხოლო* ***ელტონ ქყონია-აკოფოვი*** *და* ***მამუკა ხაზარაძე*** *— ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა!*

***თუმცა ნაცს სხვა უფრო საინტერესო და მრავლისმთქმელი მნიშვნელობაც აქვს!***

ნაცი (+ ვეფხის-ტყ. Z) ნაწყლი ZABCb.
ნაჩი CaqD.

ბოზი Z.
მეძავი A.
ესე ბოზობა განიყოფებიან ორად:
სიძვად და მრუშებად. სიძვა უკუე არს უმეუღლეოს ქმნილი, ხოლო მრუშება — მეუღლიანი სხვასთან ბოზობდეს B. ესე ბოზობა განიყოფებიან ორად: სიძვად და მრუშებად. სიძვა უკუე არს უქორწინებელთა მიერ ქმნული, რომელსა (რომელთა CqD) არა ესვას მეუღლე, ხოლო მრუშება არს, რომელსა (რომელთა CqD) ესვას (+ მეუღლე C) და სხვასთან (სხვაგან Cq) ისიძ(ვ)ოდეს CD.




ნაცი (ვტ. 1194, 4) საჯდომს არა ნიშნავს, არამედ ნაცემსა, ესე იგი განხრწნილს წინა საუშვეროს ასოსა დიაცისასა. ნ ა ც ი — სხეულნაცემი, ხრწნილება-მიღებული A, 230. შდრ. უცი.




დავიწყოთ იმით, რომ სიტყვა **ნაცი** გენიალური **რუსთველის** „ვეფხისტყაოსანში" ერთადერთხელ არის ნახსენები... კერძოდ, იმ ქვეთავში, სადაც ფატმან-ხათუნი ავთანდილს ნესტან-დარეჯანის ამბავს უამბობს, ვხვდებით ასეთ სტროფს:

**„მის მთვარისა სადაობა კვლა გიამბო, საქმე კვლაცი;**
**აწ უწინა ესე გითხრა, რას მექადდა ისი კაცი;**
**მე, გლახ, ვიყავ, მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი.**
**კაცსა გასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი."**

ეს გახლავთ ფატმანის სიტყვები, სადაც ქალი აღიარებს, რომ თავის ქმარს — დიდვაჭარ უსენს ღალატობდა და საყვარელი ჰყავდა, რომელიც მას ხელმწიფესთან დაბეზღებით ემუქრებოდა — ულამაზესი ნესტან-დარეჯანი სახლიდან რომ გააპარე, გაგამხელო! **თუ რა დამართა ავთანდილმა ფატმანის საყვარელს, ეს „ვეფხისტყაოსნის" მკითხველმა კარგად იცის, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, რის შესახებაც სტროფის ბოლოს ფატმანი აფორისტულად გვაფრთხილებს და გვმოძღვრავს:** „კაცსა გასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი."

ამ წინადადებაში თითქოსდა ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რას ნიშნავს **„ბოზი ნაცი"?**

საქართველოში **ბოზის** მნიშვნელობა საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ მაინც ჩავეძიოთ ამ სიტყვას!

1991 წელს გამომცემლობა „მერანმა" დაბეჭდა **სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონი ქართული",** რომლის 107-ე და 108-ე გვერდებზე გარკვევით წერია, რომ **ბოზი მეძავს** ნიშნავს. იქვე სულხან-საბას განმარტებული აქვს, რომ **„ესე ბოზობა განიყოფებიან ორად: სიძვად და მრუშებად. სიძვა უკუე არს უმეუღლეოს ქმნილი, ხოლო მრუშება — მეუღლიანი სხვასთან ბოზობდეს!"**

ანუ თუ დაუქორწინებელი საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან სექსუალურ კავშირშია, ამას **სიძვა** ჰქვია, ხოლო, თუ დაქორწინებული ჩვენი ნაპრეზიდენტალი სააკაშვილივით აეტორღიალება ქალს, ეს უკვე **მრუშობა** არისო.

მოკლედ, **ბოზობა** ორივეს აერთიანებს — **სიძვასაც** და **მრუშობასაც!**

ახლა ისღა დაგვრჩენია, საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და გავარკვიოთ, თუ რას ნიშნავს ერთიანობაში **„ბოზი ნაცი".**

**სულხან-საბა ორბელიანის** ზემოხსენებული **„ლექსიკონი ქართულის"** პირველ ტომში, 584-ე გვერდზე, **ნაცი** განმარტებულია, როგორც **„ნაწყლი",** ხოლო იმავე გამოცემის 585-ე გვერდზე **ნაწყლი**-ს მნიშვნელობად მითითებულია — **„უკანა კარი",** ანუ საჯდომი...

მოკლედ, გამოდის, რომ **„ბოზი ნაცი"** სიტყვასიტყვით ნიშნავს **„ბოზ უკანალს",** ანუ **გაბოზებულ ტრა...ს** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)*

1658 წელს სოფელ ტანძიაში დაბადებული სულხან-საბა ორბელიანი 1725 წელს მოსკოვში გარდაიცვალა. გაივლის საუკუნეზე მეტი ხანი და სანკტ-პეტერბურგში მოღვაწე ქართველი უფლისწული, საქართველოს უკანასკნელი მეფის **გიორგი მეთორმეტის ვაჟი, სახელოვანი ერეკლე მეფის შვილიშვილი, დიდი მეცნიერი და ფართოდ ერუდირებული სწავლული თეიმურაზ ბაგრატიონი,** რომელიც პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი იყო და ფრანგ აკადემიკოს მარი ბროსესთან მეგობრობდა, პეტერბურგში გამოსცემს მეტად საინტერესო ნაშრომს — **„წიგნნი ლექსიკონნი".**

**თეიმურაზ ბაგრატიონი,** რომელიც ქართულის გარდა ბერძნულად, ლათინურად, ფრანგულად, რუსულად, სპარსულად და თურქულად ბრწყინვალედ საუბრობდა, რუსეთში 1811 წლის შემდეგ გაემგზავრა, პეტერბურგში ვასილის კუნძულზე დასახლდა და 1830 წლამდე ყველა თავისი ძირითადი ნაშრომი გამოაქვეყნა. მათ შორის იყო **„წიგნნი ლექსიკონნიც".**

**თეიმურაზ ბაგრატიონის** ეს ნაშრომი 1979 წელს გამომცემლობა **„საბჭოთა საქართველომაც"** გამოსცა. ამ უაღერსად საჭირო და ძვირფასი წიგნისთვის მასალები შეკრიბა, ანბანზე გააწყო და წინასიტყვაობა დაურთო აწგანსვენებულმა **გურამ შარაძემ,** რომელიც 2007 წლის 20 მაისს სწორედ ნაცებმა დახვრიტეს!

საგულისხმოა, რომ **თეიმურაზ ბატონიშვილი** სიტყვა და ცნება **ნაცი**-ს მნიშვნელობას სულხან-საბა ორბელიანისგან განსხვავებულად განმარტავს. კერძოდ, **„წიგნნი ლექსიკონნის"** ზემოხსენებული გამოცემის 98-ე გვერდზე შავით თეთრზე ვკითხულობთ, რომ **„ნაცი საჯდომს არა ნიშნავს, არამედ ნაცემსა, ესე იგი განხრწნილს წინა საუშვეროს ასოსა დიაცისასა. ნაცი — სხეულნაცემი, ხრწნილება-მიღებული."**

ერთი სიტყვით, ყველაფრიდან ჩანს, რომ **თეიმურაზ ბაგრატიონის** განმარტებით, **ნაცი** ნიშნავს ქალის სასქესო ორგანოს, ანუ სარცხვენელს, მაგრამ ისეთს, რომელიც **ზედმეტი „ცემისგან" „გახრწნილია".**

მოკლედ, ცნება **ნაცის** გარშემო ორი დიდი ქართველი მეცნიერისა და მოღვაწის აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა — **სულხან-საბა ორბელიანის** განმარტებით, **ნაცი** „ნაწყლი", ანუ იგივე საჯდომია, ხოლო **თეიმურაზ ბაგრატიონის** აზრით, **ნაცი** საჯდომი კი არა, ქალის **„ნაცემი" და გახრწნილი" „წინა საუშვერო ასო", ანუ სარცხვენელია!**

## ცხონებულმა გურამ შარაძემ, რომელიც თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა და „წიგნნი ლექსიკონნი" გამოსცა, ქართველთა შორის, ალბათ, ყველაზე უკეთ იცოდა, თუ რას ნიშნავს ნაცი!

სავარაუდოდ, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ აწ განსვენებულ **შარაძეს** სააკაშვილთან და ნაცებთან იმთავითვე გაუნელებელი და შეურიგებელი ომი ჰქონდა, რასაც შეეწირა კიდეც.

**მოკლედ, თუ ნაცი ხარ, ჩვენი დიდი წინაპრების დასკვნით, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში საჯდომი გამოდიხარ, ხოლოს უარეს შემთხვევაში — „განხრწნილი წინა საუშვერო ასო დიაცისა, სხეულნაცემი და ხრწნილება-მიღებული!"**

შესაბამისად, ნაცის გზა ან საჯდომისკენ მიდის, ანდა ქალის **„წინა საუშვერო ასოსკენ"...**

სააკაშვილი რომ დიდი ხანია **ნაცშია** და ეს ადგილი დაკავებული აქვს, ამის შესახებ ცხონებულმა **თამაზ წივწივაძემ** ჯერ კიდევ როდის დაწერა! რაც შეეხებათ დანარჩენებს, რუსთაველზე ატეხილი წივილ-კივილი, ღნავილი და განსაკუთრებით ახალგაზრდა გოგონების პირიდან ამოსული სიმყრალე იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ **ლევან ხაბეიშვილი, მამუკა ხაზარაძე, გიორგი გახარია, რომანა გოცირიძე და არჩილ გეგელია** დიდი ხანია, რაც გახრწნილი **ლორა თორნტონის,** ანდა **რასა იუკნევიჩიენეს** სარცხვენელისკენ მიიწევენ!

***დიტო ჩუბინიძე***

***მაშინ, როდესაც პოლიციელზე თავდამსხმელი ჟურნალისტის დაპატიმრებისთვის ხელისუფლებას ადანაშაულებენ, ვერაგულად მოკლული გურამ შარაძის შვილი სოციალურ ქსელში სასამართლო პროცესის სტენოგრამას აქვეყნებს, სადაც სააკაშვილის რეჟიმის მოსამართლე ზაურ მებონია პროფესორ გურამ შარაძეს „წვრილმანი ხულიგნობის“ მუხლით ასამართლებს. საუბარი რუსუდან შარაძესთან სწორედ ამ ფაქტის გახსენებით დავიწყეთ:***





# რუსუდან შარაძე: მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ მამაჩემი — გურამ შარაძე მოკლეს მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით!



— 2011 წლიდან ფეისბუქზე ჩემი გვერდის მთავარი დანიშნულება **გურამ შარაძის** მოღვაწეობისა და მკვლელობის შესახებ ხალხისთვის ინფორმაციის მიწოდებაა. დრო და დრო დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით სტატიების ამა თუ იმ ციკლს ვამზადებ. ამჟამადაც ერთ-ერთ თემაზე ვმუშაობ და ეს სტენოგრამა შემომხვდა. ყველა წინადადება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სრულად გამოვიტანე. მამაჩემის სიტყვით გამოსვლა ადრეც გამოვიქვეყნებია, გამოხმაურებაც მოჰყოლია, მაგრამ ამ მასშტაბის არ ყოფილა. თუნდაც ეს ერთი კონკრეტული მაგალითი კმარა ჩემთვის, რომ ვიფიქრო — **რაზეც გურამ შარაძე 20-30 წლის წინათ განგაშს ტეხდა, ყველამ დაიჯერა, რომ ჭეშმარიტება იყო და 2007 წელს ამიტომაც დახვრიტეს.** მამაჩემი სიმართლის თქმისთვის მოკლეს! მის ინტერვიუებსა და გამოსვლებს მეათასეჯერ რომ ვეცნობი, სულ დღევანდელი მგონია და წარმომიდგენია, ახლანდელ პოლიტიკურ გარემოში, განსაკუთრებით მათში, ვისაც არ ახსოვს ჩვენი უახლესი ისტორია, რა ემოციას აღძრავს.

აქვე უღრმესი მადლობა მინდა, გადავუხადო „ასავალ-დასავალის“ რედაქტორს **ლაშა ნადარეიშვილს** და გაზეთის მთელ შემადგენლობას ყველაფრისთვის და ამ შემთხვევაში სასამართლო სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერისთვის.

მეც ვესწრებოდი ამ პროცესს. როცა მივედი, შენობა და ეზო ხალხით იყო სავსე, პოლიცია შიგნით არავის უშვებდა. „იმედში“ ვმუშაობდი, ვაჩვენე მოწმობა — ჟურნალისტი ვარ-მეთქი და მოვხვდი დარბაზში. სხდომაზე მამაჩემის სიტყვით გამოსვლისას თვალში მომხვდა ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ცრემლი მოსდგომოდა და ზემოთ იყურებოდა, თითქოს ღმერთს ემუდარებოდა რაღაცაso. ფიქრის დრო არ მქონდა, თუმცა, იქვე შემიყვარდა იმ მოკრძალებული და გულწრფელი სახისთვის, რომელიც წამიერად დავინახე. პროცესის შემდეგ გავიცანი და **ლაშა ნადარეიშვილი** აღმოჩნდა. არც იცის, რომ დავინახე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ამას პირველად ვამბობ, ლაშა ნადარეიშვილი მე ასაკიანი, შარვალ-კოსტიუმ-ჰალსტუხიანი, ჯმუხი და მკაცრი კაცი მეგონა, ამ დროს უსაყვარლესი, მოკრძალებული, ტკბილი ჯინსებიანი კაცი შემრჩა ხელში.

**— მოდით, კიდევ ერთხელ შევახსენოთ საზოგადოებას, განსაკუთრებით ქუჩაში საპროტესტო აქციებზე გამოსულ ახალგაზრდებს, ვინ და რატომ მოკლა გურამ შარაძე?**

— ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი: 2007 წელს **გურამ შარაძე** მოკლეს იმისთვის, რისთვისაც ზუსტად ასი წლის წინათ ილია ჭავჭავაძეს გაუხვრიტეს შუბლი. დიახ, **გურამ შარაძე** მოკლეს სწორედ იმ ძალებმა, ვინც **ილია** გამოასალმა სიცოცხლეს!

ეს ის გლობალისტური ძალაა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. ამ ძალების წარმომადგენლები საქართველოში არიან სოროსის ფონდი, თავისუფლების ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ პოლიტიკური პარტიების ხროვა, რომელსაც გურამ შარაძე შიშველი ხელებით ებრძოდა. დღეს თავს უფლებას ვერ მივცემ, ვინმე უფრო მაღლა მდგომს დავადო ხელი, რადგან მტკიცებულება არ მაქვს, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ მამაჩემი — **გურამ შარაძე მოკლეს მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით!** მკვლელობას ორგანიზება გაუკეთა **დათა ახალაიამ,** ხოლო შეასრულეს **მეგის ქარდავას** ზონდერებმა — **თემურ ჯგერენაიამ და გია ფაჩულიამ!**

ვიდრე მოკლავდნენ, სააკაშვილის რეჟიმმა გურამ შარაძე წვრილმანი ხულიგნობისთვის ორჯერ გაასამართლა. პირველად 2004 წელს, როდესაც ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელი ელჩის — **რიჩარდ მაილსის** ეგიდით გამართული გამოფენის მკრეხელური პლაკატები ჩამოხია და მეორედ 2006 წელს, როდესაც ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახლადარჩეულ რექტორს **გია ხუბუას** სოროსის ნაბიჭვარი უწოდა. ციხით რომ ვერ გააჩერეს, 2007 წლის 20 მაისს მელიქიშვილზე სახალხოდ დახვრიტეს!

**— სააკაშვილს, რომელმაც გურამ შარაძის მკვლელობის ბრძანება გასცა, დაემატა სასჯელი, მაგრამ არა გურამ შარაძის საქმეზე!**

— სააკაშვილი უნდა გასამართლდეს ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის და მერწმუნეთ, შეკრებითობის პრინციპი რომ იყოს, სასჯელის მოსახდელად ათი სიცოცხლე არ ეყოფოდა, რადგან არ არსებობს ბუნებაში მუხლი, მას რომ არ დაურღვევია. თუმცა, ციხეში სამუდამოდ ყოფნისთვის შეკრებითობა არ სჭირდება და ეს თუ ასე მოხდება, სულ არ მეწყინება. მთავარი ჩემთვის მაინც სხვა რამ არის — სააკაშვილს ოფიციალურად, მტკიცებულებების საფუძველზე ეწოდოს ის, რაც სინამდვილეშია — **სამშობლოს მოღალატე, მკვლელი, ბიუჯეტის ქურდი, მწამებელი და ა.შ.** გარეთ იქნება თუ ციხეში, ამ სახელით მან ძალიან დიდხანს უნდა იცოცხლოს და გამოისყიდოს ის უბედურება, რაც მთელ საქართველოს დაატეხა თავს!

**— არადა, დედამისს გული სწყდება, რომ მის შვილს არ ეყო დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას მაგალითი. დაჰკრა ფეხი, ჩამოვიდა და ჯალათებს ჩაბარდა.**

— დედას შვილი ასე ჰგავდეს, განსაკუთრებით უტიფრობასა და სითავხედეში, ჯერ არ მსმენია. ვერ ვხვდები, რა შუაშია ჩამოთვლილი წმინდანები სააკაშვილთან ან კიდევ რა აერთიანებთ მათ არაჟნების კონტეინერებით შემოპარული კურდღლის საქციელთან.

**— „ოცნებამ“ ჯერ კიდევ არჩევნებამდე დააანონსა ქართული ნიურნბერგის პროცესი. გჯერათ, რომ ადრე თუ გვიან გურამ შარაძის საქმესაც ჩამოიღებენ თაროდან და გამოძიებული საქმე გახსნილად გამოცხადდება?**

— 2018 წლიდან, მას შემდეგ, რაც გამოძიების საქმეში ყრუ კედელს შევასკდი, პროკურატურას აღარ გავკარებივარ. არა იმიტომ, რომ თავი დავზოგე, არამედ, საქმეს გავუფრთხილდი. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საბოლოო შედეგი ვერ დავდე და გამოძიებული საქმე გახსნილად არ გამოცხადდა, მაინც ვფიქრობ, რომ იმ ეტაპზე გავიმარჯვე — მთელმა საქართველომ და არამარტო საქართველომ დაინახა სიმართლე! არჩევნებამდე „ოცნებამ“ თქვა — ქართული ნიურნბერგის პროცესი იმ შემთხვევაში გაიმართება, თუ საკონსტიტუციო უმრავლესობას მივიღებთო. მკითხველის წინაშე გულწრფელი რომ ვიყო, ბოლომდე ვერ ვიჯერებდი, ვფიქრობდი, რომ წინასაარჩევნო დაპირება იყო. მართალია, საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მიიღეს, მაგრამ, ჩემდა მოულოდნელად, დაპირების შესრულება მაინც დაიწყეს. დაველოდოთ, უიმედოდ ნამდვილად არ ვარ, მითუმეტეს, **თეა წულუკიანის** მიმართ ნდობა და პატივისცემა არც იმ დროს დამიკარგავს, როდესაც „ოცნებაზე“ გაბრაზებული ვიყავი. ურწმუნო რომ ვყოფილიყავი, პირველად მაშინ ვიწამებდი ღმერთს, როდესაც სააკაშვილი თავისი ფეხით ჩამოვიდა საქართველოში და მეორედ — გასულ 18 მარტს, როდესაც შეიქმნა სპეციალური საიტი და გამოქვეყნდა ჯონ ფიცჯერალდ კენედის მკვლელობის მასალები, ექვს მილიონზე მეტი გვერდი.

**— ანუ არაფერი გაქვთ სათქმელი „ოცნების“ ხელისუფლებისთვის?**

— **„ოცნების“ ხელისუფლებასთან დღეს შეკითხვა არ მაქვს, საქმეს ველოდები!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## „მკვლელობას ორგანიზება გაუკეთა დათა ახალაიამ, ხოლო შეასრულეს მეგის ქარდავას ზონდერებმა – თემურ ჯგერენაიამ და გია ფაჩულიამ!“



დათა ახალაია



მეგის ქარდავა

## კვირგვინოსნები

**მირიან მირიანაშვილი**
*ანალიტიკოსი*



მინიმალური შანსიც კი არ არის, ივანიშვილი **ვადამდელ არჩევნებს** დათანხმდეს. შესაბამისად, **ადგილობრივი არჩევნები** ერთადერთ ინსტრუმენტად რჩება ოპოზიციისთვის.

„კვირის პალიტრა“

**ნანა კაკაბაძე**
*„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე*



**სამართლიანობის აღდგენა დაიწყო. სააკაშვილის** პატიმრობა იმაზე მეტყველებს, რომ **დღეს კანონის წინაშე პრივილეგირებული აღარავინ არის** — თუ კანონს დაარღვევ, პასუხიც უნდა აგო.

„საერთო გაზეთი“

**დაჩი ცაგურია**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*



**როგორ შეიძლება 7 ნოემბერს და ამ აქციებს შორის ტოლობის ნიშნის დასმა?** სადაც არ უნდა მიხვიდე და **საკანონმდებლო ორგანოს ფოიერვერკები დაუშინო, პოლიციელებს ურტყა,** არ არსებობს ეგეთი ქვეყანა, სადაც მაგისთვის მედალს დაგკიდებენ.

„იმედინიუსი“

**ელი ბაბაევი**
*„საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის“ თავმჯდომარე*



სჯობს, **ჯერ საკუთარ ქვეყნებში მიხედონ დემოკრატიას და მერე ჩვენ დაგვიქნიონ თითი.** მათ არავითარი უფლება არა აქვთ, ჭკუა გვასწავლონ. მათ უნდათ, საქართველოში ოჯახი **ქალისა და კაცის ერთობა** კი არა, **ქალისა და ქალის და კაცისა და კაცის ერთობად იქცეს.** ამ სატანებისთვის ოჯახის სიწმინდე მიუღებელია.

„საერთო გაზეთი“

**ირაკლი ვაშაყმაძე**
*პოეტი*



დააკვირდით, **რამდენი არასამთავრობო ორგანიზაცია გვაქვს,** თუ არ ვცდები, მათი რიცხვი 36 ათასს უტოლდება. **განა ამდენი ქართულად მოლაპარაკე ავსული საქართველოს მტრად ოდესმე ჰყოლია?!**

„საერთო გაზეთი“

***ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე დონალდ ტრამპმა ამომრჩეველს პირობა მისცა, რომ იმიგრაციაზე შეზღუდვებს დააწესებდა და აშშ-ს კრიმინალური ელემენტებისაგან გაწმენდდა. ამჯერად მის მთავარ სამიზნედ იქცა ვენესუელური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი „ტრენ დე არაგუა“ Tren de Aragua (TDA), რომელიც შეერთებულ შტატებში მოქმედებდა. ჯერ კიდევ იანვარში ეს ორგანიზაციები ტრამპმა უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციებად გამოაცხადა.***

# ტრამპმა კრიმინალებისაგან ამერიკის გაწმენდა დაიწყო!



ბორტი, რომელზეც ვენესუელას 200-ზე მეტი მოქალაქე იმყოფებოდა, სალვადორში დაეშვა. სალვადორის პრეზიდენტმა **ნაიბ ბუკელემ** სოციალურ ქსელებში დაწერა, რომ თვითმფრინავმა **ვენესუელური ბანდის** Tren de Aragua (TDA)-ს 238 წევრი და საერთაშორისო კრიმინალური დაჯგუფება MS-13-ის 23 წევრი ჩამოიყვანა.

ყოფილი პრეზიდენტის **ჯო ბაიდენის** მიერ დანიშნული მოსამართლე **ჯეიმს ბოასბერბი** თვლის, რომ დეპორტაცია უკანონოა და სასწრაფოდ უნდა შეწყდეს. ამერიკის ფედერალურმა მოსამართლემ თვითმფრინავის უკან მობრუნება მოითხოვა, თუმცა, ამერიკის მოსამართლეებს არ გააჩნიათ საშუალება, რათა აღმასრულებელ ხელისუფლებას თავიანთი გადაწყვეტილების შესრულება აიძულონ!

სალვადორში დეპორტირებული ვენესუელის მოქალაქეები სასწრაფოდ გადაიყვანეს **ცეკოტის** (ესპ. Centro de Confinamiento del Terrorismo. შემოკლებით Cecot) **გიგანტურ ციხეში. მკითხველს, ცხადია, აინტერესებს, რას წარმოადგენს „ცეკოტის“ უმკაცრესი რეჟიმის ციხე და რა კატეგორიის პატიმრები იხდიან სასჯელს 40-ათასადგილიან ტერორისტების სამყოფელ ცენტრში.**

ბანდების წინააღმდეგ სპეცოპერაციის ფარგლებში სალვადორის ქალაქ ტეკოლუკში მაქსიმალური უსაფრთხოების სტატუსით ეს ციხე 2022 წლის მიწურულს აშენდა და 2023 წლის იანვარში გაიხსნა. **აქ სასჯელს იხდიან მთელ მსოფლიოში ყველაზე საშიში დამნაშავეები, რომელთა უმრავლესობას გარეთ გამოსვლა აღარ უწერია, გაქცევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.**

ისტორიაში აქამდე ცნობილი ყველაზე საშიში დამნაშავეების კისერზე საშუალოდ 20-დან 30-მდე მსხვერპლი იყო, თუმცა, აქ მოთავსებულ ზოგიერთ ტუსაღს ასობით უდანაშაულო ადამიანი ჰყავს იმქვეყნად გასტუმრებული.

2023 წლის თებერვალში **ცეკოტმა** თავისი პირველი 2000 პატიმარი მიიღო, ხოლო 2024 წლის 11 ივნისის მდგომარეობით, პატიმრების რაოდენობამ 14.532-ს მიაღწია.



**ცეკოტმა** და, ზოგადად, დანაშაულთან ბრძოლის სალვადორულმა მეთოდებმა უმალ მიიპყრო მსოფლიო მედიის ყურადღება და უამრავჯერ დაიმსახურა ქებაც და მძაფრი კრიტიკაც ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევების გამო.

**ცეკოტი** 170 ჰექტარზე სახელმწიფო დაწესებულებებისგან მოშორებით, გარე სამყაროსგან სრულად იზოლირებულ ადგილზეა აშენებული. ობიექტზე დამონტაჟებულია წყლით და ელექტროენერგიით მომარაგების ავტონომიური სისტემები, რომლებსაც 1 კვირის განმავლობაში შეუძლიათ დაწესებულების უზრუნველყოფა. ობიექტიდან რამდენიმე კილომეტრის რადიუსში მობილური კავშირი იხშობა, ხოლო ციხეში შესვლისას ტუსაღები უსაფრთხოების განსაკუთრებულ პროცედურას გადიან. **ციხის დათვალიერების ნებისმიერმა მსურველმაც, თუნდაც ხელისუფლების ნებართვა გააჩნდეს, უახლესი რენტგენული ტექნოლოგიის გამოყენებით სკრუპულოზური სკანირება უნდა ჩაიტაროს,** მითუმეტეს, როცა პატიმრები ხშირად აკრძალულ ნივთებს ყლაპავენ ან ციხეში ანალური ხვრელით შეაქვთ. ცეკოტში ეს აბსოლუტურად შეუძლებელია — სკანერზე ძვლები და შინაგანი ორგანოებიც კი ჩანს. უსაფრთხოების დამატებითი ზომები მოიცავს მთელი კომპლექსის მუდმივ ვიდეოკონტროლს, ცეცხლსასროლი იარაღის სრულად დაკომპლექტებულ არსენალს, უწესრიგობის აღმოფხვრისთვის განკუთვნილ ამუნიციას, ასევე 15 ათასი ვოლტით დაცულ ციხის გალავანს და უსაფრთხოების კიდევ რამდენიმე დონეს, თუმცა, აქამდე ცეკოტიდან გაქცევის მცდელობა არც ყოფილა.

ცეკოტის ტუსაღთა ტანი და სახე ხშირად მთლიანად დაფარულია სვირინგებით, რაც ამა თუ იმ ბანდის წევრობაზე და მსხვერპლის რაოდენობაზე მიანიშნებს.

მეციხოვნეები და ბადრაგები ციხეში ნიღბებს ატარებენ და სახის დამალვა უწევთ — მათი სამსახური ხომ რისკიანია. ამოცნობის შემთხვევაში რეალური საფრთხე ელით, რადგან პატიმრებს მრავლობითი კავშირები აქვთ ჯერ კიდევ მოთარეშე ბანდებთან.

8 მოდულიდან თითოეულში 32 საკანია. თითოეულ საკანში — 80 პატიმრის ადგილი. იმის მიუხედავად, რომ ციხე ჯერაც არ არის სავსე, საკანში პატიმრების რაოდენობამ შეიძლება 150-საც მიაღწიოს. ამასთან, მათზე 2 ტუალეტი მოდის, რაც ამსხვრევს ადამიანის ღირსებას, საკუთარი თავის მიმართ რწმენას და ანადგურებს ნებისყოფას. მცირე უნიტაზის მახლობლად საერთო აუზში პერიოდულად იღებენ შხაპს. პატარა სათლებით და ერთადერთი საერთო ტაშტის დახმარებით პირს იბანენ. პატიმრებს მეტალის საწოლებზე ბალიშისა და ლეიბის გარეშე სძინავთ. წყალს სვამენ ერთადერთი პოლიეთილენის კასრიდან. თითოეული პატიმარი იღებს მხოლოდ განსაკუთრებით აუცილებელ ნივთებს: თეთრ ზეწარს, უნიფორმას, წინდებს, შლოპანცებსა და პირსახოცს.

მსჯავრდებულები მთელ დღეს **4-იარუსიან საწოლებზე** ატარებენ, რაც საწყობის თაროებს ჰგავს. საკნებში შუქი მუდმივად ჩართულია და როცა პატიმარი იძინებს, პირსახოცს იფარებს თვალებზე. პატიმრებს აიძულებენ, ხელით ჭამონ, რადგან მეციხოვნეები ჩანგლებსა და დანებს პოტენციურ იარაღად მიიჩნევენ.

**პატიმრებს გარე სამყაროსთან ყოველგვარი კონტაქტი, მათ შორის, ნათესავებთან შეხვედრა და მათთან ტელეფონით დარეკვაც კი აკრძალული აქვთ. ნათესავებმა არ იციან, სად იმყოფება მათი ოჯახის წევრი პატიმარი და ცოცხალი არის თუ არა იგი.**

**ცეკოტის ციხეს** 1000 მცველი, მთელ პერიმეტრზე 600 ჯარისკაცი და 250 პოლიციელი იცავს.

2023 წლის 1 თებერვალს **პრეზიდენტმა ბუკელემ** ტვიტერზე დაწერა: **ელ სალვადორმა შეძლო მსოფლიოში ყველაზე სახიფათო ქვეყნიდან ამერიკის ყველაზე უსაფრთხო ქვეყნად გარდაქმნა. როგორ გავაკეთეთ ეს? კრიმინალები ციხეში ჩავსვით! არის იქ ადგილი? ახლა კი! შეძლებენ ისინი შიგნიდან ბრძანებების გაცემას? არა. შეუძლიათ მათ გაქცევა? არა!!!**

# ცეკოტი – ჯოჯოხეთი დედამიწაზე, სადაც სასჯელს იხდიან მთელ მსოფლიოში ყველაზე საშიში დამნაშავეები



***მართალია, საქართველოში ცეკოტის ტიპის ციხე არ არსებობს, მაგრამ არსებობენ ისეთი საშიში დამნაშავეები, რომლებიც ცეკოტის ციხეში გამოკეტვას იმსახურებენ. ერთ-ერთი მათგანი დღესაც კლინიკა „ვივამედის“ ლუქს-პალატაში ნებივრობს!***

*მოამზადა*
**ზაზა დავითაია**

# მოგელანდებით!



მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

## ამან გაუთხარა!

**მეო, ეგ ქალი არ მაინტერესებს, პრეზიდენტი აღარ არიო!** — ამ ისტორიული სიტყვებით **კუკუმალ ვაითმა** ხელისუფლების ლეგიტიმურობა აღიარა — **ესე იგი, თუ სალომე ბაბო პრეზიდენტი აღარ არი, მაშინ პრეზიდენტი ყაველაშვილია და... თუ პრეზიდენტი ყაველაშვილია, მისი ამრჩევი პარლამენტიც ლეგიტიმურიაო...**



*ლევან ხაბეიშვილი:*

**არ ვიცი, რას საუბრობს სალომე ზურაბიშვილი — არ მაინტერესებს ეს ადამიანი, აღარ არის პრეზიდენტი!**

შეიძლება, ეს სიტყვები **კუკუმალს** უნებლიეთ წამოსცდა, მაგრამ, ვისაც აქნობამდე **სალომე ბაბოს** იმედი ჰქონდა, ყველა დუპლეტი აღმოჩნდა. ამათ ეგონათ, დღე-დღეზე **საააკაშვილს** შეიწყალებს და რევოლუციის პონტში არდანბურდანსაც გადავაო. კი სცადა **სალომე ბაბომ** ევროპის გავლით არდან-ბურდანში გადასვლა, მაგრამ ვერ გადავიდა, **ვერ გათხარა** გვირაბი ბოლომდე. სამაგიეროდ, **ამან გაუთხარა** პოლიტიკურად!

## ვადაგასულები



ეს **სასოწარკვეთილი დედაკაცები** ცალყბად რო იღიმიან და ცალყბად რო იღრიჯებიან, ორივენი ვადაგასულები არიან! **თქვენგან მარცხნივ რო ზის** და ხელები მეორე კლასელივით დაულაგებია, რახანია, ჰაერშია აკენწლილი და რას ებღაუჭება, თვითონაც არ იცის... ამოუჩემებია, გინდა თუ არა, ისევ „ნაჩალნიკი" ვარო... ეეეე, ეგრე „ნაჩალნიკი" **მარგველაშვილიც** არი, **საააკაშვილიც** არი და... რავი, **შევარდნაძეც** იქნებოდა, ცოცხალი რო იყოს!

ეს კიდე, **თქვენგან მარჯვნივ რო ზის,** 20 იანვრის შემდეგ მობერდა, ნაოჭები გაუჩნდა. არა, ფიზიონომიით არც მანამდე იყო **ბრიჯიტ ბარდო** ან **ნანუკა ჟორჟოლიანი,** მაგრამ ცოტა უკეთესად გამაიყურებოდა. გამააგზავნეს, ოკეანე გადმოლახა, ეგონა, თლა უმფროსი ვიქნებიო და ამ დროს „ზაპასკაც" არ არი. თან, ვინც გამააგზავნა და დაარიგა, ხელისუფლება ჩვენ ჭკუაზე მაარჯულეო, ის აღარ არი და აღარ იცის, რანაირად მაიქცეს, რიონს მისცეს თავი, მტკვარსა თუ ალაზანს.

ისე კი, რა უნდოდა **რუბენა დანიგანს** ამ უსაქმურ დედაკაცთან? როგორც ჩანს, ალაგ-ალაგ გარღვეული ადგილები ამოუკემსეს ერთმანეთს, აკი, **ამასაც ვადა აქვს გასული,** უნდა გაიწვიონ და ახალი გამოაგზავნონ, უფრო ნორმალური და ჭკუადამჯდარი.



## ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!

**გაპარტახებულმა ოპოზიციონერებმა** თბილისში **გაბრიელიუს ლანდსბერგისი** ჩამაიყვანეს, დასვეს, ალაპარაკეს, ელაპარაკნენ, მიედნენ, მოედნენ, მიაცვეს, მააცვეს, მაგრამ რატომ ჩამაიყვანეს, რატომ ალაპარაკეს, რატომ ელაპარაკნენ, რატომ მიაცვეს, რატომ მააცვეს, თვითონაც არ იციან და არც არასდროს ეცოდინებათ.

ჩამაიყვანეს ლიტვის **(ჩემთვის ლიეტუვა კი არა, ისევ ლიტვააა!)** ჩამოწერილი საგარეო მინისტრი და ქებით ძირი გააგდებინეს. ერთმა ისიც კი წამააწვინა — ბაბუამისმა საბჭოთა კავშირი დაანგრიაო... **რავი, როგორც მახსოვს, ვიტაუტას ლანდსბერგისი გავარვარებული კომუნისტი იყო, რომელი საბჭოთა კავშირი დაანგრია და როდის დაანგრია?**

ეჰ, იმდროინდელებმა არ ვიცოდეთ მაინც, საბჭოთა კავშირი როგორ დაიშალა, რანაირად დაინგრა და ვისი მეცადინეობით გაპარტახდა!

☺

ამ დღეებში ხმა გავარდა — მაგის პრესკონფერენციაზე **„იმედის", „პოსტივისა" და „პირველი არხის"** ჟურნალისტები არ დაუშვესო?

ჩვენში დარჩეს და... ღირსები არიან, თუკი არ დაუშვეს — **იქ რა უნდოდათ, რისთვის მივიდნენ, ბრძნული ამბები უნდა გამოეტანათ? ეგებ მკაცრი შეკითხვები უნდა დაესვათ და უხერხულში ჩაეყენებინათ?** არააა, როდის იყო, უნამუსო ავანტიურისტები უხერხულობას გრძნობდნენ? როდის იყო, ეგეთები რამეზე წითლდებოდნენ? რომელიღაცა არასამთავრობომ ფული გადაუხადა და ჩამოვიდა — ილაპარაკა, მიედო, მოედო, მიაცვა, მააცვა, ჭამა, დალია, ჩახეთქა და წავიდა. **ჯანდაბამდეც გზა ჰქონია!**



*გიორგი ვაშაძე:*

**ხალხს უნდა, რომ ერთად დაგვინახოს არა ათ დღეში ერთხელ, არამედ ყოველდღე**

## არდასანახები

ხალხის მასების დაჟინებული მოთხოვნაა, რომ ჩვენი დანახვა ათ დღეში ერთხელ კი არა, ყოველდღე უნდათო...

**ჰო, ქართველი ხალხი ითხოვს ამას, განა ჭუჭუს ახირებაა?**

ადრე პირიქით იყო — ხალხი **ათ დღეში ერთხელ ითხოვდა** ამათ დანახვას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელისუფლება ევროპიული რელსებიდან გადავარდა, **ყოველდღე ითხოვს.**

არადა, ამათი ერთად შაყრა ჯერ ათ დღეში ერთხელ როგორი საყურებელია და ყოველდღე როგორი იქნება?

**ისე კი, ერთი მხრივ, კარგიც არი, თუ ამათ ყოველდღე დავითვლით. ბოლოს დასათვლელიც აღარაფერი იქნება!**



## გილაურიც გაგულავდა!

**ნიკა გილაურმა აშშ-ში ლობისტური კომპანია დაიქირავა, რისთვისაც 600 000 დოლარი გადაიხადა. დოკუმენტი FARA-ზე გამოქვეყნდა.**

**ოე, ნიკოლოზ,** თოთო ბავშვის ტაკოსავით რო დაგსიებია ეგ ლოყები, აბა ერთი, მაიხედე აქეთ!

**600 ათასი დოლარი** მილიონ ლარზე მეტია. მაგ ფულით ბევრი ადამიანის გახარება შეიძლებოდა — ზოგს ბინას უყიდდი, ზოგს კიდე — მანქანას, გაჭირვებულებულებსაც დაეხმარებოდი, ქვრივ-ობლებსაც უწილადებდი, ავადმყოფებსაც ხელს გაუწვდიდი.

**შენ კი რა გააკეთე, მაგდენი ფული ვის თოფში ჩატენე და უმისამართოდ გაისროლე?**

კაი, ჰო, გაისროლე — მიზანი?

ამერიკელ აფერისტებს უნდა გაეხეხე, გაეკეთილშობილებინე და ჩვენს თვალში უკეთესი წარმოეჩინე? არადა, **ჩვენ ხომ ცივად მოხარშულსაც კი გიცნობთ? ხომ ვიცით, რა დუთინაც პრემიერ-მინისტრობისას და მანამდე იყავი, ისევ ის დუთინა ხარ!**

ჰმ... ტვინი რომ მოგმატებოდა, მაგ ფულით რეგიონებში ფერმებსა და სათბურებს გააკეთებდი, გლეხებს დაურიგებდი, ბოლო-ბოლო, ტრაქტორებს მაინც უყიდდი.

თუმცა, შენ ეგეთი რაღაცები რათ უნდა გაკეთო, **ბიძინა ივანიშვილი** ხომ არა ხარ?

სხვათაშორის, ტრაქტორებზე **ბიძინა ივანიშვილი** მახსენდება ხოლმე. **შენ თუ გახსოვს, რეგიონებში შენ და მიშამ თითო სოფელს თითო ტრაქტორი რომ გადაეცით?**

**მაშინ ძაან ტრიპაჩობდით, ეს საჩუქარი გლეხებს ჩვენ გავუკეთეთო.** მოგვიანებით **ჯუმბერ პატიაშვილმა** გამანდო (მაშინ პარლამენტში სოფლის მეურნეობის კომიტეტს ხელმძღვანელობდა), **ეგ ტრაქტორები ბიძინა ივანიშვილმა გამოგზავნა და თან გვთხოვა, არ გამომაჩინოთო.**

გაიგონე?

**ბიძინამ** თითო სოფელს თითო ტრაქტორი აჩუქა, მაგრამ ყველა ტრაქტორი უკლებლივ ბობოლა ნაცებმა დაისაკუთრეს და გლეხებს კიდე სამი თითის კომბინაცია უჩვენეს.

☺

ჰოდა, იმას ვამბობდი... ამ ქვეყანაში ფული მარტო **ბიძინა ივანიშვილმა** უნდა ხარჯოს, არა? თქვენ კიდე აფერისტ ლობისტებს უნდა უხადოთ, რომ ყვავები მტრედებად წარმოგაჩინონ?



*მამუკა ხაზარაძე:*

***ბიძინას ეშინია უანგარო ქველმოქმედების, ქველმოქმედს ირქმევდე და სხვა საქველმოქმედო ფონდებს ხურავდე, არმოსული ამბავია.***

**ბიძინა ივანიშვილს** უანგარო ქველმოქმედებისა ეშინია. **აბა, რო არ ეშინოდეს, ნანუკას უანგარო საქველმოქმედო ფონდს ან სხვა უანგარო ფონდებს დახურავდაო?**

ისე, ჩვენში დარჩეს და **მამუკა ხაზარაძეს** რო მიგნებები და ღრმა პოლიტიკურ-სოციალური ანალიზები აქვს, ნურავინ დაიკვეხნის. თან არ დაგავიწყდეთ, **მამუკას ბიძინასავით უანგარო ქველმოქმედებისა არ ეშინია — მარტო გაიგოს, ვის რა უჭირს, ვის რა აქ მის ბანკში ჩადებული, ვის რამდენი ვალი აქ წამოკიდებული, ეგრევე ყველას უანგაროდ უმართავს ხელსა, არც ბინას ართმევს, არც სხვა ქონებას, ეხმარება და ეხმარება აეგრე უანგაროდ.**

**ავი ენები იძახიან, მიხას ზეობის ხანაში მამუკა სხვის ქონებებს იფორმებდაო.** მა რა უნდა ექნა? ეს არ გადაიფორმებდა, სხვები გადაიფორმებდნენ. არ სჯობდა, ერთი უანგარო კაცის ხელში ყოფილიყო ყველას ქონება, ვიდრე ხუთასი ადამიანის ხელში დაწალიკებულიყო და გაფანტულიყო?

**ავი ენები იმასაც იძახიან, 2 ათასი ოჯახი საკუთარი ბინებიდან გამაასახლაო.** მერე? დავუშვათ, გამაასახლა, ესეც ხო უანგაროდ მოხდა? რამე მოითხოვა? ვინმე ციხეში ჩასვა? ვინმე მოკლა? აი, ამაშია საქმე!

**ახლა ვიღაცები გადმოდგებიან ხოლმე და ანაკლია-ბანაკლიაო.** რა ანაკლია და რა ბანაკლია, ხალხო? კაცს უანგაროდ პორტის აშენება უნდოდა და არ დააცადეთ, არ ამაასუნთქეთ, მისცვივდით ხელებში და ქაფჩა წაართვით.

ჰო, ბოროტულად განწყობილები იმასაც ამტკიცებენ, **მამუკამ მერაბ კოსტავას ხელი დაარტყა და პალტოც შამაახიაო.**

დიახაც, იმიტომ შამაახია, რო ახალი უნდა ეყიდნა უანგაროდ. ერთხელ უთხრა — შენი ტვიდის პალტო არ მამწონსო, შელახულიაო. ორჯერ უთხრა, სამჯერ... იმან — არაო, ესეც საკმარისიაო. ადგა და ამანაც დაარტყა და თან შამაახია, ბიძინასავით კი არ შეეშინდა!

**რაც მამუკამ უანგაროდ ქართულ ლიტერატურას გაუკეთა, ბიძინა იმის მეასედს ვერ გაუკეთებს** — ჰმ, მარტო **გულაძეს** ცხრაჯერ მიანიჭა „საბას" პრემია. აღარაფერს ვამბობ სხვა დიად მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე.

რამდენი ნიჭიერი **უბოროის მწერალი** შვა და წაახალისა **მამუკამ** უანგაროდ?

ბევრი, ძალიან ბევრი!

მართალია, თქვენ იმათ დაწერილებს არ კითხულობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი დიადნი არ არიან. **არც ტოლსტოის, დოსტოევსკის და პუშკინს კითხულობდნენ თავის დროზე, ეგენი სიკვდილის შემდეგ აღიარეს.**

დიახაც! **მამუკას** უანგარო ქველმოქმედებისა არ ეშინია, სჩადის და სჩადის, შვრება და შვრება!

## ხაზარაძე და დაუნახავი ხალხი

*ქართველი მეცნიერი, ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი **კახა საბახტარიშვილი** სასმელი წყლისა და ცხელი და ცივი კერძების მიღებასთან დაკავშირებულ მითებსა და ტყუილ-მართალზე საუბრობს და გვაფრთხილებს, რომ რამდენჯერაც მოგვწყურდება, წყალი იმდენჯერ დავლიოთ, მაგრამ წყურვილის გარეშე წყალს ნუ გავეკარებით:*



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:



# ცივი წყლის დალევა ერთმნიშვნელოვნად მავნებელია!

— წყალი ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმისთვის უმნიშვნელოვანესი საარსებო პროდუქტია. სიცოცხლე წყალში ჩაისახა, უწყლოდ დედამიწაზე სიცოცხლე არ იქნება და სწორედ ამიტომაა, რომ მეცნიერები, როცა უცხო პლანეტებსა და სხეულებს იკვლევენ, მათ ზედაპირზე, პირველ რიგში, სწორედ წყლის კვალს ეძებენ, როგორც დასტურსა და საფუძველს სიცოცხლის არსებობისას.

ადამიანი დღის განმავლობაში წყლის გარკვეულ რაოდენობას აუცილებლად ღებულობს. წყალი ჩვენი ყოველდღიური არსებობის განუყოფელი ნაწილია და მას არაერთი მცდარი შეხედულება და მითი უკავშირდება. წყალთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული მითი არის ის, **თითქოს დღის განმავლობაში აუცილებლად უნდა დავლიოთ ორი-სამი ლიტრი სუფთა წყალი, რათა ორგანიზმი არ გაუწყლოვანდეს.** ამ მითის ზეგავლენით, ადამიანთა გარკვეული კატეგორია, წყურია თუ არა, მუდმივად თან დაატარებს წყლით სავსე ბოთლს და წყალს პერმანენტულად სვამს. თავიდანვე ვაცხადებთ, რომ ეს ცუდი და მავნე წესია, რომელსაც ორგანიზმისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. თავად განსაჯეთ, როდის ვჭამთ საჭმელს? ცხადია, მაშინ, როცა შიმშილი შეგვაწუხებს! როდის ვშარდავთ? როცა მოშარდვის მოთხოვნილება გვიჩნდება! ასეა წყლის შემთხვევაშიც — **წყალი მხოლოდ მაშინ უნდა დავლიოთ, როცა გვწყურია!** სწორედ ასე იქცეოდნენ ჩვენი წინაპრებიც... **გაგიგიათ ან წაგიკითხავთ სადმე, რომ ძველი ქართველები წყალს თან დაატარებდნენ და წამდაუწუმ სვამდნენ? ცხადია, არა!**

**— მაინც რატომ არის მავნებელი გამუდმებით წყლის სმა?**

— მწყურვალი ადამიანისთვის წყლის დალევა ბედნიერებაა. წყურვილის მოკვლის დროს ორგანიზმში გამოიყოფა ბედნიერების ჰორმონი **ოქსიტოცინი,** რომელიც, თავის მხრივ, სტრესის ჰორმონს, **კორტიზოლს** დაბლა სწევს და ადამიანი მშვიდდება. როდესაც წყურვილი არ გვაწუხებს, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში წყალს მაინც ვსვამთ, **ოქსიტოცინი** არ გამოიყოფა და სტრესის ჰორმონი **კორტიზოლი** მუდმივად მაღალია. **გამოდის, რომ, ვინც წყურვილის გარეშე წყალს სვამს, ის მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფება. მუდმივი სტრესი კი უამრავი დაავადების გამომწვევია, მათ შორის, არტერიული ჰიპერტონიის.** მოკლედ, წყალი მხოლოდ მაშინ დავლიოთ, როცა გვწყურია! პარადოქსია, მაგრამ წყურვილის გარეშე დღეში სამი-ოთხი ლიტრი წყლის დალევაც მავნებელია!

**— რატომ არის მავნებელი? თუ უდაბნოში ვართ და საშინელი სიცხე გვაწუხებს, ცხადია, ორგანიზმი წყალს გამუდმებით ითხოვს!**

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ წყალი მხოლოდ წყურვილის დროს უნდა დავლიოთ და ისიც არა დიდი დოზით! **როდესაც ერთბაშად ბევრ წყალს ვსვამთ, წყალი ორგანიზმიდან მინერალებს რეცხავს.** ყველაზე მეტად ირეცხება **ნატრიუმი,** რომელიც ორგანიზმში წყალს აკავებს. ზედმეტი ნატრიუმი მავნეა, მაგრამ, თუ მისი რაოდენობა მკვეთრად დაეცა, მაშინ ვითარდება **ჰიპონატრიემია,** რაც ძალზე სახიფათოა. ნატრიუმის მკვეთრმა ნაკლებობამ შესაძლოა, გამოიწვიოს ტვინის შეშუპება, კრუნჩხვა, ძლიერი სისუსტე და თავის ტკივილი. **ერთბაშად დიდი რაოდენობის წყლის დალევის გამო ორგანიზმში ნატრიუმის კონცენტრაციის მკვეთრმა დაცემამ შესაძლოა, ადამიანი კომაშიც კი ჩააგდოს!** უდაბნოში მცხოვრები ადამიანები შესაძლოა, დღის განმავლობაში 5 ლიტრ წყალსაც კი სვამდნენ, მაგრამ ისინი წყალს სვამენ მხოლოდ მაშინ, როცა წყურიათ და არა ერთბაშად და დიდი ოდენობით. ასე რომ, რამდენჯერაც მოგვწყურდება, წყალი იმდენჯერ დავლიოთ, მაგრამ წყურვილის გარეშე წყალს ნუ გავეკარებით!

**— არსებობს ე.წ. წყლის დიეტა... შიმშილის მოკვლის მიზნით და კუჭის მოსატყუებლად, ადამიანები, რომლებსაც წონაში დაკლება სურთ, დღის განმავლობაში დიდი ოდენობით წყალს სვამენ! გამოდის, რომ ესეც დაუშვებელია?**

— შიმშილის გრძნობას განაპირობებს კუჭში გამოყოფილი ნივთიერება **გრილინი.** როდესაც მშიერი ადამიანი წყალს დალევს, კუჭი მართლაც ტყუვდება და გრილინს არ გამოყოფს. ერთი შეხედვით, ეს თითქოსდა კარგია, რადგან ადამიანი ნაკლებს შეჭამს, მაგრამ, მეორე მხრივ, წყურვილის გარეშე წყლის დალევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იწვევს **კორტიზოლის** დონის მატებას და სტრესს, რაც ორგანიზმს ანგრევს. ასე რომ, **ე.წ. წყლის დიეტა** დაივიწყეთ! მცდარია ის აზრიც, თითქოს წყალი ცხიმს წვავს... ცხიმი წყალში არ იხსნება! ქონის ნაჭერი წყალში რომ ჩავაგდოთ, რამე მოუვა? ცხადია, არა! **ორი ან ორ-ნახევარი ლიტრი წყალი დღის განმავლობაში უნდა დალიონ მათ, ვისაც თირკმლებში კენჭები უჩნდება.** პოდაგრისას ეფექტურია, თუ წყალს სოდას დავუმატებთ. პოდაგრიანი პაციენტებისთვის კარგია აგრეთვე ლიმონიანი წყალი, რადგან ლიმონში შემავალი ციტრატები კალციუმის ოქსალატებს იკავშირებენ და მათ კენჭებად ჩამოყალიბებას ხელს უშლიან!

**— ამბობენ, რომ ბევრი**




## კვირგვინოსნები

**მზია გენაძე**
*მომღერალი*



მუსიკოსების ჯგუფში დავწერე, **სამსახურს ვეძებ-მეთქი.** საშინელი კომენტარები დამიწერეს ახალგაზრდა გოგონებმა — **თქვენ ამდენი წელია, წიწკინებთ რესტორანში და ახლა ახალგაზრდებს დაუთმეთ გზაო!**

„თბილისელები“

**ანი ამილახვარი**
*მსახიობი*



ჩემი შვილი ალექსანდრე **ერთადერთი კაცია, რომელსაც ჩემი მართვა შეუძლია.** შენიშვნებსაც მაძლევს. ხანდახან ძალიან ბევრს ვიცინი, ვმღერი. ამ დროს ზედმეტი თუ მომივა, გადავხედავ ხოლმე ალექსანდრეს და ის მიყურებს დინჯი სახით, ფიქრობს — **როგორი თხაა დედაჩემიო.**

„სარკე“

**ნათია ზარანდია**
*მომღერალი*



წავიკითხე, რომ **ბიძინა ივანიშვილისა და პუტინის** გამომცხვარი კადრი და **შემოგზავნილი აგენტი ვარ.**

„თბილისელები“

**გიორგი ძოწენიძე**
*მომღერალი*



სცენაზე **დიდი გამოცდილება მაქვს** და თავს ისე ვგრძნობ, როგორც თევზი — წყალში.

„თბილისელები“

**„თუ შარდი ძალიან მუქია, აქ პრობლემას არა წყლის ნაკლებობა, არამედ ღვიძლის პიგმენტები ქმნის, რომლებიც შარდს მუქ ფერს აძლევენ. ამიტომ ასეთ დროს ღვიძლი შევიმოწმოთ. თუ შარდი ქაფიანია, პრობლემა თირკმლებშია ან შარდში ბევრი ცილაა!“**

**წყლის დალევით თირკმლები იწმინდება! ზოგიერთი იმასაც ამტკიცებს, თითქოს წყალი ასუქებს!**

— წყალი ადამიანს ვერანაირად ვერ გაასუქებს, რადგან არანაირ კალორიებს არ შეიცავს! წონის მატება შესაძლოა, გამოიწვიოს შეშუპებამ, რაც ორგანიზმში ზედმეტი სითხის დაგროვების შედეგია. რაც შეეხება ბევრი წყლის მიღებით თირკმლების გაწმენდას, სინამდვილეში ჩვენ ამით თირკმლებს სამუშაოს ვუმატებთ და ვტვირთავთ. თირკმლის ფუნქცია სისხლის გაფილტვრა და სისხლში ელექტროლიტების, ჰორმონების და უამრავი ნივთიერებების შენარჩუნებაა. **ზოგიერთი ადამიანი ძალიან ცოტა წყალს სვამს, რადგან წყურვილის გრძნობა დიდად არ აწუხებს და ჰგონია, რომ ორგანიზმი შესაძლოა, გაუწყლოვანდეს. ასეთების გასაგონად ვიტყვით, რომ საშიში არაფერია.** ადამიანი სუფთა სასმელი წყლის გარდა, წყალს ღებულობს ხილიდან, რომლის 80-95 პროცენტი წყალია; ასევე ხორციდან, რომლის 60-65 პროცენტი წყალია; ასევე ცხიმების დაწვისგან... მაგალითად, ნახევარი კილო ცხიმის დაწვისას 1,5 ლიტრი წყალი გამოიყოფა. რაც შეეხებათ დიაბეტიანებს, რომლებსაც ხშირად სწყურიათ, მათ ყოველი მოწყურებისას წყალი აუცილებლად უნდა დალიონ, რადგან სისხლში არსებული მაღალი შაქარი ორგანიზმისთვის შხამია და წყალმა ის უნდა გაანეიტრალოს და გარეთ გამოყოს!

ბევრი დიაბეტიანი მარილს საერთოდ არ ეკარება, რადგან ჰგონია, რომ ეს არგებს. დიაბეტიანები, როგორც წესი, მეტ წყალს სვამენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმი მეტ ნატრიუმს კარგავს. **თუ ორგანიზმმა სუფრის მარილისგან ნატრიუმის მარაგი არ შეივსო, მაშინ დიაბეტიანს შესაძლოა, ჰიპონატრიემია დაემართოს.** ასე რომ,

**უმარილო დიეტა დიაბეტიანებში ზრდის ინსულინრეზისტენტობას, იწვევს ფეხებში კრუნჩხვას და ტკივილს მუცლის არეში.**

**— არსებობს ასეთი რჩევა — იმდენი წყალი დალიე, რომ შარდი გამჭვირვალე გახდეს! ეთანხმებით?**

— **სინამდვილეში შარდი გამჭვირვალე არ უნდა იყოს! შარდი უნდა იყოს ჩალისფერი ან ოდნავ მოყვითალო...** თუ შარდი ძალიან გამჭვირვალეა, ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზმში ბევრი სითხეა დაგროვილია. ასე ემართებათ იმათ, ვინც ზედმეტ წყალს სვამს. თუ შარდი ძალიან მუქია, აქ პრობლემას არა წყლის ნაკლებობა, არამედ ღვიძლის პიგმენტები ქმნის, რომლებიც

**„იაპონელები და ჩინელები დილას ცხელი წყლის დალევით იწყებენ! ისინი საწოლიდან წამოდგებიან თუ არა, 500-700 გრამ ცხელ წყალს სვამენ და თავიანთი დღეგრძელობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ ამ ჩვეულებას ასახელებენ!“**





**„სასმელი წყლის, ჩაის თუ ყავის ტემპერატურამ 60 გრადუს ცელსიუსს არ უნდა გადააჭარბოს!“**

# «ე.წ. წყლის დიეტა დაივიწყეთ!»



შარდს მუქ ფერს აძლევენ. ამიტომ ასეთ დროს ღვიძლი შევიმოწმოთ. **თუ შარდი ქაფიანია, პრობლემა თირკმლებშია ან შარდში ბევრი ცილაა!**

**— რომელი უფრო მარგებელია — ცხელი თუ ცივი წყალი?**

— ცივი წყლის დალევა ერთმნიშვნელოვნად მავნებელია! ცივი, ყინულოვანი წყალი სისხლძარღვებს ავიწროებს, საჭმლის მონელებას ანელებს, ნივთიერებათა ცვლას აფერხებს და საჭმლის მომნელებელ ფერმენტებს ანეიტრალებს. გარდა ამისა, ცივი წყალი უცებ გაივლის კუჭს, ხვდება წვრილ ნაწლავში, სადაც სწრაფად შეიწოვება და

**„წყალი ადამიანს ვერანაირად ვერ გაასუქებს, რადგან არანაირ კალორიებს არ შეიცავს!“**

იწვევს მუცლის შებერვას. ყინულოვანი ცივი წყალი კბილებს აფუჭებს. რაც შეეხება თბილ ან ცხელ წყალს, ასეთი წყალი ნივთიერებათა ცვლას ხელს უწყობს, წვავს კალორიებს და წონაში გვაკლებინებს; ასევე ტკივილს ამცირებს, სპაზმებს ხსნის, სისხლძარღვებს აფართოებს, ხელს უწყობს ნახველის ამოღებას და ხველის შემცირებას.

ცხელი და თბილი წყალი სუსტი შარდმდენია. ცხელ წყალს გაციების სიმპტომების დროს, ორგანიზმიდან ნესტი გამოაქვს. იაპონელები და ჩინელები დილას ცხელი წყლის დალევით იწყებენ! ისინი საწოლიდან წამოდგებიან თუ არა, 500-700 გრამ ცხელ წყალს სვამენ და თავიანთი დღეგრძელობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სწორედ ამ ჩვეულებას ასახელებენ! **ცხელი წყალი არ უნდა აგვერიოს მდუღარე წყალში. მდუღარემ შესაძლოა, საყლაპავი მილი დაწვას და ეს დამწვრობა კიბოში გადაიზარდოს!** ამიტომაც არის, რომ მდუღარე ჩაისა და ყავის დალევა არაფრით შეიძლება. სასმელი წყლის, ჩაის თუ ყავის ტემპერატურამ 60 გრადუს ცელსიუსს არ უნდა გადააჭარბოს! **თუ უზმოზე ცხელ წყალს დავლევთ, საჭმელი 40 წუთის შემდეგ ვჭამოთ. ვინც ამ მეთოდს მიმართავს, ის მთელი დღე მხნედ იქნება! ცხელი წყალი ხშირად უნდა დალიონ იმათ, ვისაც შეკრულობა აწუხებს!**

**— რომელი უფრო მარგებელია — ცხელი წვნიანი თუ ცივი საჭმელი?**

— ამას თვითონ ორგანიზმი გვკარნახობს. კუჭის ტემპერატურა სხეულის ტემპერატურაზე ორი-სამი გრადუსით მაღალია. ამიტომ იმ საკვების ტემპერატურა, რომელიც კუჭში მოხვდება, 37-40 გრადუს ცელსიუსს მაინც უნდა აღწევდეს. ასეთ დროს საჭმლის მომნელებელი ფერმენტები უკეთ მუშაობენ, ცხელი საკვები უფრო ნელა აითვისება და ადამიანი ნაკლებ საკვებს ღებულობს. გარდა ამისა, საჭმლის გაცხელებისას მასში არსებული გარკვეული ქიმიური ნივთიერებები იშლება, რომელიც საჭმლის მონელებას აადვილებს. ცხელი საკვები საერთოდ უფრო გემრიელია, ვიდრე ცივი. ამიტომ ტვინში ცხელი საჭმელი უფრო მეტ დადებით სიგნალებს აგზავნის... ცივი საკვების მიღების დროს ორგანიზმს უხდება გარკვეული ენერგიის დახარჯვა, რათა ის კუჭში გაათბოს. ჩინური მედიცინის თანახმად, საჭმელი კუჭში თირკმლის ენერგიით თბება. როდესაც საკვები ცივია, თირკმელი მის გასათბობად გამალებით მუშაობს და თავის ძირითად ფუნქციას ცუდად ასრულებს. ამიტომ ჩინელები მიიჩნევენ, რომ ცივი საკვები თირკმელს აზიანებს. სწორედ ამის მიზეზია, რომ ჩინურ სამზარეულოში ცივი კერძები იშვიათია.

**— რეკომენდებულია თუ არა ცხელ საკვებზე, მაგალითად, სუფზე ცივი წყლის დაყოლება? საერთოდ რა ხდება მაშინ, როცა ცხელ და ცივ საჭმელს ერთმანეთში ავურევთ?**

— როცა საჭმელს ვჭამთ, კერძი ცხელი იქნება თუ ცივი, მნიშვნელობა არა აქვს, წყლის დალევა რეკომენდებული არ არის! **ამით კუჭის წვენს განვაზავებთ და საჭმლის მონელებას ხელს ვუშლით.** რაც შეეხება ცხელი და ცივი კერძის ერთმანეთში არევას, არც ეს არის კარგი, რადგან ცხელ და ცივ საკვებს მონელების სხვადასხვა რეჟიმი სჭირდება. ცხელი და ცივი საჭმელების მიღებას შორის გარკვეული შუალედი უნდა არსებობდეს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**თეკლე სულაქველიძე**
*მსახიობი*



დედას უნდოდა, **ნებისმიერი პროფესიის ვყოფილიყავი, გარდა მსახიობისა.** პირდაპირ უნიჭო ხარო — არ მეუბნებოდა, მაგრამ სულ მიმეორებდა — **არ გამოგივა, არ გაქვს მსახიობის ხასიათი, ნებისყოფა, ამ პროფესიას თავგანწირვა სჭირდებაო.** მე გულის სიღრმეში ვიცოდი, რომ ეს შემეძლო, მაგრამ დედა არ იყო ამაში დარწმუნებული. ამიტომ მითხრა — **სახლში აღარ შემოხვალ, თუ მსახიობობას აირჩევო.**

„თბილისელები“

**ნუკი კოშკელიშვილი**
*ტელეწამყვანი, მსახიობი*



**არ შეგშურდეს,** რთულია, რადგან **მეც მშურს,** მაგალითად, **დემი მურის** სილამაზის, **ალექსანდრა პაიჭაძის** ფანტასტიკური ფეხების, ვიღაცის ცხვირის, მაგრამ **ცუდად კი არ მშურს,** ცოტა ნერვები მეშლება.

„თბილისელები“

**თაკო ზოგველი**
*მსახიობი*



ოცნებად არასდროს მქონია **ქორწილი და თეთრი კაბა.** ალბათ, სადა და **მოკრძალებული პატარძალი ვიქნები.**

„თბილისელები“

**ლიკა კვარაცხელია**
*ყოფილი მოდელი*



**არ ვისახავ ისეთ მიზნებს,** რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე სჭირდება ბრძოლა. ალბათ, **მოკრძალებული მორიელი გახლავართ.**

„თბილისელები“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-12*

***პროფესორი სვიმონ მასხარაშვილი** იმ ფალსიფიკაციის შესახებ გვესაუბრება, რომელიც „სომეხ მეცნიერთა ერთი ჯგუფის“ სახელს საუკუნეზე მეტი ხანია, უკავშირდება:*



— ჩვენს საგაზეთო ინტერვიუს, სადაც აკადემიკოს **სიმონ ყაუხჩიშვილის** შესახებ კრიტიკულად ვისაუბრეთ, მოჰყვა აკადემიკოს რისმაგ გორდეზიანისა და დოქტორ **გია გელაშვილის** საპასუხო წერილი, რომელიც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა. ვთქვით და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: **სიბინძურის „ისტორიულ წყაროდ“ გამოცხადება და, მითუმეტეს, „ქართლის ცხოვრების“ „აკადემიურ“ ტექსტში შეტანა, ჩვენი აზრით, არის საქართველოს ღალატი და ეჩმიაძინის მოციქულობა, რომელიც ჩაიდინა სწორედ სიმონ ყაუხჩიშვილმა!**

შეგახსენებთ, თუ რას წარმოადგენს ბინძური სიცრუე, რომელიც **ყაუხჩიშვილმა** 1955 წელს გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეჩურთა! საუბარია იმაზე, **თითქოს** ქართველები სომხების „უმცროსი ძმები“ ვართ! **თითქოს** ქართული ენა „დამახინჯებული სომხურია“! **თითქოს** ქართველები „მიცვალებულთა მძორის მჭამელები ვიყავით!..“ ამ ბინძური საქმის განხორციელება ახარებდა და გაახარებს საქართველოს ყველა მტერს, მათ შორის, **ნიკიტა ხრუშჩოვს, მიხეილ სუსლოვსა** და მათ სულიერ მემკვიდრეებს. **კიდევ ერთხელ განვმარტავთ:** 1964-1982 წლებში საბჭოთა იდეოლოგიას მართავდა იდეოლოგიის დარგში კომპარტიის ცეკას მეორე მდივანი, ქართველთმოძულე **მიხეილ სუსლოვი.** მას ემორჩილებოდა საბჭოთა კავშირის განათლებაც, კულტურაც, სპორტიც და ყველა სახის აკადემიაც... **სიმონ ყაუხჩიშვილმა 1955 წელს ზემოხსენებული ბინძური ტყუილი „ქართლის ცხოვრებაში“ ნიკიტა ხრუშჩოვის გულის მოსაგებად შეიტანა.** არადა, **ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის** მიერ ეს სიბინძურე იმთავითვე **„სომხურ ფალსიფიკაციად“** იყო გამოცხადებული და დაგმობილი. ქართველი ერის შეურაცხმყოფელი ამ საზიზღარი ტექსტის სიცრუეს დღესაც ამხელს გენეტიკური, ანთროპოლოგიური, ლინგვისტური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემები. იმ დროს კრემლის ნებართვის გარეშე ვერავითარი „აკადემიური“ გამოცემა ვერ დაიბეჭდებოდა! უფრო მეტიც, **1969 წელს მიხეილ სუსლოვის პირადი გადაწყვეტილების გარეშე აკადემიკოსი ვერავინ გახდებოდა!** კრემლი „ამაგს“ აფასებდა, განსაკუთრებით — ქართველი ერის შეურაცხყოფასა და დამცირებას!

**— როგორც დიდი ილია იტყოდა, „ერთი ჯგუფი სომეხ მეცნიერთა“ ქართველებს იმასაც გვიმტკიცებს, თითქოს ქართული ანბანი სომეხმა მესროპ მაშტოცმა სამადლოდ მოგვცა მას შემდეგ, რაც 401 წელს ანბანი ჯერ — სომხებს და მერე ალბანელებს შეუქმნა. თავად სომხური წყაროები ამტკიცებენ, რომ მაშტოცმა ქართული არ იცოდა... ქართულის არმცოდნე კაცმა ქართული დამწერლობა როგორღა შექმნა?**

## სვიმონ მასხარაშვილი:

## საქართველოს განათლების სისტემის უბედურება ის არის, რომ ქართველ ბავშვებს ამის შესახებ არაფერს ასწავლიან!

— დავიწყოთ იმით, რომ **მესროპ მაშტოცი** სომხური ანბანის შემქმნელად გამოცხადებული ჰყავს „სომხური ისტორიის მამად“ შერაცხილ **მოვსეს ხორენაცს.** როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, წმინდა **კირიონ საძაგლიშვილის** ფუნდამენტური კვლევიდან — **„ივერიის კულტურული როლი რუსთა ისტორიაში“** — ვგებულობთ, **მოვსეს ხორენაცი** მე-7 საუკუნეზე ადრე ვერ იცხოვრებდა, რადგან მის ტექსტში არის ისეთი ტერმინები და მოვლენები, რომელიც მე-7 საუკუნეზე უფრო ადრე სამყაროში არ არსებობდა. **მოვსეს ხორენაცი** დაახლოებით ასეთ რაღაცებს წერს — **„გენერალი ვერტმფრენით ჩაფრინდა ასტანაში და იქიდან ამერიკის პრეზიდენტს მობილურით დაურეკა 1491 წელს, ამერიკის აღმოჩენამდე ერთი წლით ადრე!“** (იცინის).




სხვათაშორის, წმინდა კირიონი **მოვსეს ხორენაცზე** ასე ხუმრობს — მოვსესი წერს, სომხური ანბანი 401 წელს შეიქმნაო! მსოფლიო ისტორიაში შესაშური სიზუსტე... მაგრამ ერთი რამ არის საინტერესო: მოვსესის მტკიცებით, **მესროპ მაშტოცი** მისი ალალი ბიძა იყო. მოვსესი მე-7 საუკუნეზე უფრო ადრე ვერ დაიბადებოდა, მაშინ, როცა ბიძამისი — **მესროპ მაშტოცი** მე-4 საუკუნის მიწურულს უკვე ხანდაზმული იყო. როგორც ჩანს, **მოვსეს ხორენაცისა და მესროპ მაშტოცის** გენეტიკის ხალხი მათუსალას არ ჩამოუვარდებოდნენ სიცოცხლის ხანგრძლივობითო! (იცინის).

სიცოცხლისა რა გითხრათ, მაგრამ ტყუილს ხანდაზმულობა მართლაც არა აქვს. არადა, მე-7 საუკუნეზე უფრო ადრინდელი სომხურ ენაზე, სომხური ანბანით შესრულებული წარწერის დედანი, ჯერჯერობით, ბუნებაში არ არსებობს... **სომეხი მეცნიერები ამტკიცებენ,** რომ მათი უძველესი ტექსტები — დედნები განადგურდა, მაგრამ არსებული ტექსტები უძველესი დედნების, ანუ მე-5 საუკუნისა და შემდგომი პერიოდის პალიმფსესტების ზუსტი ასლია! ამ დროს ჩვენ უკვე გვაქვს პალესტინაში, ბირ ელ-კუთში იტალიელი არქეოლოგის **ვირჯილიო კორბოს** მიერ ნაპოვნი, 430 წლით დათარიღებული ულამაზესი ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერა და ბოლნისის სიონის წარწერა, რომელიც 493-494 წლებით თარიღდება. უფრო მეტიც, კახეთში, ნეკრესში, აღმოჩენილია ხანმეტი ტექსტები, რომელიც მე-3 საუკუნემდე უნდა იყოს შესრულებული, რადგან ეს ტექსტები ამოტვიფრულია საფლავის ქვებზე, რომლებიც მე-3 საუკუნის წარმართული ტაძრის მშენებლობის დროს საძირკვლის ლოდებად გამოიყენეს. სიმართლე რომ ვთქვათ, საფლავის ქვა, სულ მცირე, ასი წლის მაინც უნდა ყოფილიყო, რათა მისი სამშენებლო მასალად გამოყენება ვინმეს გაებედა. აქედან გამომდინარე, ასომთავრულით შესრულებული ნეკრესის ხანმეტი ტექსტები შესაძლოა, მე-2 და 1-ლი საუკუნისაც კი იყოს, მაგრამ ჩვენ, ჩვენი მეზობლებისგან განსხვავებით, ვარაუდებსა და სურვილებს ისტორიულ ფაქტად ვერ გავასაღებთ! ამიტომაც, ზოგადად, ვამბობთ, რომ ნეკრესის წარწერები, სულ მცირე, მე-3 საუკუნის დროინდელია. **საქართველოს განათლების სისტემის უბედურება ის არის, რომ ქართველ ბავშვებს ამის შესახებ არაფერს ასწავლიან!**

**— ქართული საისტორიო ტრადიცია ქართული მწიგნობრობის შექმნას უკავშირებს ფარნავაზ მეფეს! ამის შესახებ რას იტყვით?**

— თქვენ მიერ ხსენებულ წყაროში, რომელიც **ფარნავაზის** მოღვაწეობიდან საუკუნეების შემდეგ შეიქმნა, საუბარია შემდეგზე — **ფარნავაზმა** შემოიღო მწიგნობრობა ქართული და „ქართლსა შინა არღარა იზრა-

**„სიბინძურის „ისტორიულ წყაროდ“ გამოცხადება და, მითუმეტეს, „ქართლის ცხოვრების“ „აკადემიურ“ ტექსტში შეტანა, ჩვენი აზრით, არის საქართველოს ღალატი და ეჩმიაძინის მოციქულობა, რომელიც ჩაიდინა სწორედ სიმონ ყაუხჩიშვილმა!“**



სიმონ ყაუხჩიშვილი

## კვირგვინოსნები

**ემზარ შენგელია**
*კომპანია „ეტიკას“ ხელმძღვანელი*



**ვინც არ იცის ქართული ენა, ის საქართველოში არ უნდა მიიღონ სამუშაოდ.** ასეთი პრობლემა პირადად მაქვს გამოცდილი. **ტაქსი გამოვიძახე,** მძღოლი შორი გზით მოვიდა და ვუთხარი, რომ მოკლე გზით წასულიყო, მაგრამ ვერაფერი გაიგო, რადგან **ქართული არ იცოდა** და ზედმეტი კილომეტრები მატარა.

„რეზონანსი“

**ვაჟა (ვანტიკო) თორდია**
*საავიაციო ქარხნის ყოფილი დირექტორი*



მე ახლა იმ ასაკში ვარ, როცა სახლში უნდა ვიჯდე, ბუხართან თბილად, მაგრამ **ჩემთვის ავიაცია არის ჩემი პროზაც, პოეზიაც და კარგად დახატული ნახატიც.** მე ჩემს ქვეყანასა და საქმეს ვემსახურე სუფთად და ეს მშვიდად ძილის საშუალებას მაძლევს.

„თბილისელები“

**ზვიად ტომარაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი*



ისედაც **ლიბერალური საემიგრაციო პოლიტიკა გვაქვს** აზიის ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, ბინების შესაძენადაც ბევრი ჩამოდის და **გამორიცხული არაა, ამას ქართული ეთნოსის სხვა ეთნოსით ჩანაცვლება მოჰყვეს.**

„რეზონანსი“

**ემზარ სალუქვაძე**
*ანალიტიკოსი*



როდესაც სხვა ხერხით და მეთოდით **ვერ მოახერხეს ხელისუფლების შეცვლა,** მათი გადმოსახედიდან, დარჩათ ერთი გზა, რომ **ეკონომიკურად დააზარალონ ქვეყანა და მოსახლეობა,** მერე დამშეული ხალხი გამოვარდეს და შეცვალოს ხელისუფლება. ეს არის მათი **ძალიან ბინძური ჩანაფიქრი.**

„რეზონანსი“

# „ქართველი ერი დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებულია იმით, რომ ერთდროულად სამ ორიგინალურ დამწერლობას იყენებს – ასომთავრულს, მხედრულსა და ნუსხა-ხუცურს!“




ხებოდა სხუა ენა თვინიერ ქართულისა“. აქ დამწერლობაზე კი არა, საუბარია იმის შესახებ, რომ **ფარნავაზმა** ქართული სახელმწიფო ენად გამოაცხადა... **ფარნავაზის** შესახებ ჩვენ ცალკე და უფრო დეტალურად ვისაუბრებთ! მანამდე კი აუცილებლად უნდა შევეხოთ **ფარნავაზზე** გაცილებით უფრო ძველ ორ მტკიცებულებას ქართული დამწერლობების შესახებ. კასპის რაიონში, გრაკლიანის გორაკზე, პროფესორმა **ვახტანგ ლიჩელმა** არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინა უძველესი წარწერები, რომლებიც ამერიკულმა ლაბორატორიამ ძველი წელთაღრიცხვის მე-11-მე-10 საუკუნეებით დაათარიღა. ამ წარწერებში გამოყენებულია ორი სხვადასხვა ანბანი, რომელიც ხანდაზმულობით ზუსტად ემთხვევა ფინიკიურ ანბანს, მაგრამ აბსოლუტურად განსხვავებულია მისგან.

გრაკლიანის წარწერები ადგილობრივი და ორიგინალურია. საერთოდ, ნებისმიერი ორიგინალური ანბანი ჩამოყალიბებულია სამი ეტაპის გავლის შედეგად. კერძოდ, უკლებლივ ყველა ანბანური დამწერლობა გადმოგვცემს ბგერებს. თუ ის ორიგინალურია, მაშინ მისი წინამორბედი აუცილებლად იქნებოდა მარცვლოვანი დამწერლობა, მაგალითად, ლურსმული; ხოლო ლურსმულის წინამორბედი არის ყველაზე პრიმიტიული, ანუ იეროგლიფური დამწერლობა, რომელიც სიტყვებს ნახატებით გადმოგვცემს. სადაც ეს დამწერლობა ორიგინალური იყო, იქ იეროგლიფი გადაიქცა ლურსმულად, ხოლო ლურსმული — ანბანურად, ხოლო იქ, სადაც ეს დამწერლობა შეიტანეს, მაგალითად, ჩინეთში, იაპონიასა და ეგვიპტეში, იქ ყველაფერი გაიყინა და დამწერლობა დღემდე არ განვითარდა. ცნობისათვის, იეროგლიფური დამწერლობა ყველგან შუმერიდან შევიდა... სწორედ მის საფუძველზე ჩამოყალიბდა ფინიკიურ-არამეული ანბანი, რომელმაც დასაბამი მისცა ბერძნულსა და ლათინურს...

საქართველოში გრაკლიანზე ნაპოვნი ანბანი, ვინაიდან ორიგინალურია და მისი მსგავსი არსად იძებნება, უეჭველად მომდინარეობს წინამორბედი მარცვლოვანი და იეროგლიფური დამწერლობიდან. არ არის გამორიცხული, გრაკლიანის ანბანური დამწერლობის წინამორბედი იყოს ძველი ბერძნების მიერ მოხსენიებული „კირბები“. როგორც **აპოლონიოს როდოსელი** ამტკიცებს, კოლხები სწორედ კირბებით წერდნენ! **„კირიბი“** მეგრულად „ბატკანს“ ნიშნავს. სწორედ ბატკნის, ცხვრის ტყავზე იყო შესრულებული ის საიდუმლო ცოდნა მეტალურგიისა და მედიცინის შესახებ, რომელიც არგონავტებმა კოლხეთიდან გაიტაცეს!

დღემდე საქართველოს მთიანეთში, თუშ-ფშავ-ხევსურეთში ციხე-კოშკებზე შემორჩენილია იეროგლიფურის მსგავსი წარწერები, რომლებიც გაუშიფრავია. ჯერჯერობით ვერვინ მიაგნო **თემურ ლენგის** მიერ საქართველოდან გატაცებული ბიბლიოთეკის კვალს, სადაც ქართული დამწერლობის წარმოშობის შესახებ შესაძლოა, ფასდაუდებელი ცნობები ინახებოდეს.

**— დაახლოებით რომელ რეგიონში შეიძლება, მოვიაზროთ ამ უნიკალური საუნჯის ადგილსამყოფელი?**

— **თემურ ლენგის** მიერ საქართველოდან გატანილი უძვირფასესი ბიბლიოთეკა, სავარაუდოდ, დღემდე არ არის განადგურებული და აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქვეყნის საცავებში ინახება, რომელსაც ვერ დავასახელებ! თავდაპირველად შუმერებმა დამწერლობა წმინდა სამეურნეო მიზნებიდან გამომდინარე გამოიგონეს. დამწერლობის ზენიტია მწერლობა... გილგამეშის ეპოსი შუმერში დამწერლობის შექმნიდან ხუთასი-შვიდასი წლის შემდეგ შეიქმნა, ანუ ერი დამწერლობის შექმნისთანავე პირდაპირ მწერლობას ვერ იწყებს. ჩვენ, ქართველებს, ასომთავრულით შესრულებული ლიტერატურული ძეგლები გვაქვს, რომლებიც მსოფლიოს ყველა სამეცნიერო სკოლის მიერ აღიარებულია, როგორც მე-5 საუკუნეში შექმნილი. პირველი ასეთი ძეგლი არის **„შუშანიკის წამება“,** რომელიც ოფიციალურად ჰაგიოგრაფიაა, მაგრამ არაოფიციალურად ბრწყინვალე ლიტერატურული ძეგლია. პარალელურად, აღმოჩენილია პალიმფსესტები, რომელთა უძველესი ფენებიც მე-5 საუკუნეს განეკუთვნება. ეს ყოველივე პირდაპირ ამტკიცებს ერთ რამეს — **ქართველებს მე-5 საუკუნეზე გაცილებით ადრე უნდა ჰქონოდათ ანბანი, რომლითაც მე-5 საუკუნეში წმინდა წერილი თარგმნეს და „შუშანიკის წამება“ დაწერეს.**

მსოფლიოში 4 ათასზე მეტი ენა და ტომი და 200-ზე მეტი სახელმწიფოა, მაგრამ დამწერლობის სისტემა მხოლოდ 14-ია. აქედან ერთ-ერთი ქართულია... მაგრამ ქართველი ერი დანარჩენი მსოფლიოსგან განსხვავებულია იმით, რომ ერთდროულად სამ ორიგინალურ დამწერლობას იყენებს — **ასომთავრულს, მხედრულსა და ნუსხა-ხუცურს!** სამივე ეს ანბანი მოქმედია — მხედრულით ყველა ვწერთ; ასომთავრულით წიგნებს აფორმებენ და ხშირად სიტყვების პირველ ასო-ნიშნებს რთავენ; ხოლო ყველა საეკლესიო წიგნი, რომელსაც სასულიერო პირები მღვდელმსახურების დროს კითხულობენ, დაწერილია ნუსხა-ხუცურით!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



**„თემურ ლენგის მიერ საქართველოდან გატანილი უძვირფასესი ბიბლიოთეკა, სავარაუდოდ, დღემდე არ არის განადგურებული და აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქვეყნის საცავებში ინახება, რომელსაც ვერ დავასახელებ!“**

## საეკლესიო კალენდარი



25 მარტი – კეთილმსახურისა მეფისა მოწამისა დემეტრე თავდადებულისა

**24 მარტი. ორშაბათი. სოფრონ იერუსალიმელი პატრიარქისა;** მღვდელმოწამისა პიონისი, ზმირნელი ხუცისა და მისთანათა; აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა მოწამისა ეპიმაქესი; სოფრონ ვრაჩანელი ეპისკოპოსისა; ღირსისა იოანე მოსხისა.

**25 მარტი. სამშაბათი. კეთილმსახურისა მეფისა მოწამისა დემეტრე თავდადებულისა;** გრიგოლ დიალოღოსისა, რომის პაპისა; ღირსისა თეოფანე აღმსარებელისა, სიღრიანელისა; მართლისა ფინეზისა; ღირსისა სვიმეონ ახალი ღმრთისმეტყველისა; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე.

**26 მარტი. ოთხშაბათი. განზოგება დიდი მარხვისა. აღმოყვანება წმიდათა ნაწილთა ნიკიფორე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა;** მოწამისა საბინესი; მოწამეთა: აფრიკანესი, პუპლისა და ტერენტისა; მოწამისა ალექსანდრესი; მოწამისა ქრისტინე სპარსისა; ღირსისა ანინე ხუცისა.

**27 მარტი. ხუთშაბათი.** ღირსისა ბენედიქტესი; ევსქიმონ აღმსარებელისა, ლამპსაკიელი ეპისკოპოსისა; თეოგნოსტესი, კიეველი და მოსკოველი მიტროპოლიტისა.

**28 მარტი. პარასკევი. მოწამისა აგაპისა და მისთანა შვიდთა მოწამეთა;** პუპლისა, ტიმოლასი, რომილესი, ორთა ალექსანდრეთა და ორთა დიონისეთა; მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, სიდელი ხუცისა; მოწამისა ნიკანდრესი; მოწამეთა ფილექტიმონისა და მისთანათა.

**29 მარტი. შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. ამბროსი აღმსარებელისა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა;** ღირსთა: პიმენ სალოსისა, ლეკთა განმანათლებელისა და ანტონი მესხისა, მეფეთა მამხილებელისა; მოწამისა საბინესი; მოწამისა პაპასი; მოციქულისა არისტობულესი, ბრიტანელი ეპისკოპოსისა; მღვდელმოწამისა ალექსანდრესი, რომის პაპისა; მოწამისა იულიანე ანაზავრელისა; მღვდელმოწამეთა: ტროფიმესი და თალასისა, ლაოდიკიელ ხუცესთა.

**30 მარტი. კვირა. დიდმარხვის მე-4 კვირა. ღირსისა იოანე სინელისა.** ღირსმოწამისა გაბრიელ მცირისა, ლეკთაგან წამებულისა; ღირსისა ალექსი ღმრთისკაცისა; მოწამისა მამისა მარინოსი; ღირსისა თეოქტირისტე აღმსარებელისა.




მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com
* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო: 032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80
საქართველოში პირველი სამშობიარო სახლი



საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა


გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55


**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 4. ბოსტანა; 11. მელანომა; 12. ტოპონიმი; 13. ხურჯინი; 14. ფარულავა; 15. პარალელი; 16. ლუიდორი; 17. კერამიკა; 21. ალაპი; 24. მადამ; 27. რაცია; 30. კარდინალი; 31. ძუნწი; 32. თერგი; 33. მალტა; 34. ორიგინალი; 39. მაინა; 40. ნიკე; 42. ბი; 43. მოლეკულა; 44. აივენჰო; 46. ნიკ; 47. ენა; 48. კალიგულა; 52. რქა; 53. მიტრა; 55. რიფი; 56. დღე; 58. ნიტრიტები; 60. ლეი; 61. რენომე; 63. ედემი; 65. პერიკარდი; 66. მიკი; 67. დელი; 68. ემისია.

შვეულად: 1. მეკარე; 2. ტაბულა; 3. კოზაკი; 4. ბახალა; 5. სურდინა; 6. არიზონა; 7. ატიპია; 8. სპარტა; 9. ანალგია; 10. სმოლეტი; 17. კაკაო; 18. რურკი; 19. მაისი; 20. კვატა; 22. ლანძილი; 23. პრიმატები; 24. მითი; 25. დარკი; 26. მძიმე; 28. ცული; 29. ალალი; 35. რბოლა; 36. გრემი; 37. ნაურუ; 38. ლიანა; 40. ნაკლი; 41. კადრილი; 42. ბონა; 44. ალადინი; 45. ჰერ; 48. კანაპე; 49. ლიტერი; 50. გლინკა; 51. ლიე; 53. მერსიე; 54. ტანინი; 55. რიდი; 57. ბე; 59. ბედი; 62. მული; 64. მზე; 66. მი.

**პაპარაციონისეტერილენინიკალათაგორილაბადალი**
**ბალისტაიერიშივაკისინემანიგერიატრიალიგურია**

## კვირგვინოსნები

**სოსო არჩვაძე**
*ეკონომიკის დოქტორი*



თუ გვინდა, **საქართველო გადარჩეს, გაძლიერდეს,** დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში, ჩვენ **მეტი უნდა გავიღოთ, ვიდრე ავიღოთ** ქვეყნისგან.

„კვირის პალიტრა“

**ვახტანგ მაისაია**
*პოლიტოლოგი*



საქართველოში **ავტოკრატიული სისტემაა,** ჩაკეტილი, რაღაც **თალიბანის მსგავსი.** ამ იდეოლოგიის მიმდევარი ხელისუფლებები **შიგნიდან ხრავენ სახელმწიფოს.**

„ახალი თაობა“

**ლელა ჯეჯელავა**
*ანალიტიკოსი*



**სალომე ზურაბიშვილი** რასაც აკეთებს, **ეს ქართული პოლიტიკა არაა!** „სვეცკი“ კლუბის წევრობა ვისაც უნდა, ალბათ, ისინი შემოიკრიბა.

„ახალი თაობა“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



დღევანდელ მოცემულობაში **რაიმე ტიპის არჩევნებზე ლაპარაკი,** ვფიქრობ, რომ **არასერიოზულია.**

„ახალი თაობა“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**„ქართული ოცნება“** თუ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულია, **არჩევნები დანიშნოს.**

„ახალი თაობა“

**თინა ხიდაშელი**
*თავდაცვის ყოფილი მინისტრი*



**„ოცნება“ ყველაფერს აკეთებს,** რომ სტრატეგიული ქონება — გეოგრაფია **აჩუქოს ჩინეთს.**

„ახალი თაობა“

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ბასკების ხალხური ბურთაობა; 6. ბრმა ნაწლავის ანთება; 10. ინდუიზმის მთავარი ღვთაება; 11. თვის ათი დღე; 12. ქაშანური; 13. დიდი ვენახი; 15. ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა; 18. ჯავშნიანი რეპტილია; 19. რუსი მომღერალი მამაკაცი; 22. სოფელი ქარელის რაიონში; 23. ნერვულ-ფსიქიკური დაავადება; 24. მარკ ტვენის გმირი ტომ ... 28. რუსი მოჭადრაკე; 30. ტვინის დანამატი ჯირკვალი; 32. სწორი ბალახიანი ადგილი; 33. სამიანი კამათელზე; 34. სიცოცხლესთან დაკავშირებული თავსართი; 36. მაჰმადიანთა მოძღვარი; 39. მაგარი სასმელი; 40. მიმდინარეობა მუსიკაში; 42. ინდოეთის შტატი; 43. ავანსი; 44. სხეულის დაზიანება; 45. ჩინელი რეჟისორი; 47. წაბლისფერი ცხენი; 48. მტაცებელი ფრინველი; 49. ქართველი ჩოგბურთელი მამაკაცი; 51. ბალერონი ... პეტიპა; 52. ბრძოლის ველი; 53. ფრანგი მოდელი ესტელ ... 54. არატიპურობა.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. პროფესიონალი მონადირე; 3. სოფელი თუშეთში; 4. მტაცებელი ცხოველი; 5. ავი სული; 6. ფოროვანი ქანი; 7. შვეიცარიელი მწერალი; 8. საქონლის საკვები მცენარე; 9. დამრეცი, ალმაცერი; 14. ქართველი ექსმოჭიდავე; 15. ერთგვარი ხანჯალი; 16. დაბადების მოწმობა; 17. თავის თავში შეყვარებული მითიური ჭაბუკი; 19. შოტლანდიური არაყი; 20. ტაილანდის ენა; 21. ბატონო! (ინგლ.); 22. თეატრალური კოლექტივი; 25. ხრიკი, ფანდი; 26. ერა; 27. ევროპელ ებრაელთა ენა; 29. შავი, სქელი ნისლი; 31. ზევით (ძვ.); 34. ვაშა! (იტალ.); 35. იუპიტერის თანამგზავრი; 37. კუკარაჩას მკვლელი; 38. თოკის მსგავსი ლითონის საგანი; 39. ჩინური სამაგიდო თამაში; 40. ინგლისელი ფეხბურთელი; 41. სკივრი; 42. სამხედრო შარვალი; 43. ღამის ფრინველი; 46. რადიოაქტიური ნივთიერება; 47. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 50. 1000 კმ. მიწის ფართობი.



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. პელოტა; 6. ტიფლიტი; 10. ვიშნუ; 11. დეკადა; 12. ფაიანსი; 13. ზვარი; 15. სიმონა; 18. კუ; 19. ვიტასი; 22. დირბი; 23. ისტერია; 24. სოიერი; 28. სპასკი; 30. ეპიფიზი; 32. მინდორი; 33. სე; 34. ბიო; 36. იმამი; 39. გროგი; 40. ჯაზი; 42. გოა; 43. ბე; 44. ტრავმა; 45. ვუ; 47. ქურანი; 48. ორბი; 49. კაკულია; 51. მარიუს; 52. ფრონტი; 53. ჰოლიდეი; 54. ატიპია.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. ეგერი; 3. ომალო; 4. ავაზა; 5. ეშმაკი; 6. ტუფი; 7. ფრიში; 8. იონჯა; 9. ირიბი; 14. რურუა; 15. სტილეტი; 16. მეტრიკა; 17. ნარცისი; 19. ვისკი; 20. ტაი; 21. სერ; 22. დასი; 25. ოინი; 26. ეპოქა; 27. იდიში; 29. სმოგი; 31. ზე; 34. ბრავო; 35. იო; 37. მურტალო; 38. მავთული; 39. გო; 40. ჯერარდი; 41. ზანდუკი; 42. გალიფე; 43. ბუ; 46. ურანი; 47. ქიმია; 50. არი.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. გეოდეზიური ხელსაწყო; 6. შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი; 7. ღრმა და ვიწრო ორმო, რომელშიც მიწისქვეშა წყალი გროვდება; 8. ორსაგდულიანი მოლუსკი; 11. მტაცებელი ფრინველი; 12. ქალაქი საფრანგეთში; 14. ალკოჰოლური სასმელი; 15. მუშაობის საზომი ერთეული; 16. სამხარი მოქმედების არე, ბრძოლის ველი; 18. სახოტბო ლექსი; 19. ფიზიკური ვარჯიში ან შეჯიბრება, რომლის მიზანია ორგანიზმის გაკაჟება და გამარჯვების მიღწევა; 20. მდინარე ინდოეთში; 22. ბედისწერა; 23. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 26. „დათა თუთაშხიას“ პერსონაჟი; 27. ჯონ ლენონის ქვრივი; 29. ქართველი მსახიობი ქალი; 30. ნაცვალსახელი; 31. ეგვიპტურ მითოსში მზის ღმერთი; 32. ინდისხურმა.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. სახელმწიფო აზიაში; 3. დისტანციის ცალკეული მონაკვეთი; 4. ერთ-ერთი უცნობი; 5. ფრიდრიხ დიურენმატის ნაწარმოები; 8. ნაცვალსახელი; 9. ქართული საფეხბურთო კლუბი; 10. კედლის შანდალი; 13. საჰაერო პორტი; 14; მანქანა, რომელიც რთულ ოპერაციებს ადამიანივით ასრულებს; 17. იატაკზე დასაფენი ხალიჩა ძიუდოისტებისთვის; 19. სპელეოლოგიაში კლდოვანი ნაპრალი; 21. ოლქი საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში; 24. საცალფეხო გზა; 25. „უკანასკნელი მოჰიკანის“ ავტორი; 28. სასროლეთი.



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ნიველირი; 6. ბალანსი; 7. ჭა; 8. მიდია; 11. ორბი; 12. ნანტი; 14. რომი; 15. ერგი; 16. ფრონტი; 18. ოდა; 19. სპორტი; 20. ინდი; 22. ფატუმი; 23. ომანი; 26. კიკუ; 27. ონო; 29. ნინიძე; 30. ის; 31. რა; 32. ფინიკი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. ირანი; 3. ეტაპი; 4. იქსი; 5. ავარია; 8. მან; 9. „დინამო“; 10. ბრა; 13. აეროპორტი; 14. რობოტი; 17. ტატამი; 19. სიფონი; 21. ნორმანდია; 24. ბილიკი; 25. კუპერი; 28. ტირი.

ᲖᲝᲓᲘᲐᲥᲝᲡ ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲘ




# ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠᲘ ᲕᲔᲠᲫᲘᲐ, ᲛᲔ – ᲚᲝᲛᲘ, ᲕᲔᲮᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲕᲔᲠᲫᲘ ᲚᲝᲛᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲔᲠᲔᲕᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ!

***ხალხის საყვარელი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო კაპიტანი მანუჩარ მაჩაიძე, რომელიც რვაჯერ იყო დასახელებული საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში, აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, ხარის წელიწადში დაბადებული ვერძია. 25 მარტს მას 76 წელი უსრულდება. გვესაუბრება დიდი ფეხბურთელის მეუღლე ქეთევან კრავეიშვილი, რომელიც ერთად ცხოვრების 40 წლის შემდეგ ძვირფასი ადამიანის ხასიათს გვაცნობს:***

— მანუჩარს ჰოროსკოპის მიმართ ყურადღება არასოდეს გამოუჩენია და ამ თემაზე მხოლოდ გვიხუმრია, თუმცა, ვთვლი, რომ ზოდიაქოს ნიშნებში ძალიან საინტერესო საკითხებია ჩამალული. ვინაიდან ვეფხვის წელიწადში დაბადებული ლომი ვარ, მანუჩარისთვის ხშირად მითქვამს: **ვერ მაჯობებ, ვერძი ლომს ვერ მოერევა-მეთქი!** სახლში ვერძის ზოდიაქოზე მიმანიშნებელი რაიმე ნივთი არა გვაქვს და მანუჩარს რაც ყელზე უკეთია, ჩვენი რწმენის სიმბოლოა — ვერცხლის ჯვარი. რაც შეეხება ხარს — ის დაჯილდოებულია **ბასა ლოლობერიძის** პრიზით — ეს არის ხარის ფიგურა, რომელსაც რქებს შორის ფეხბურთის ბურთი აქვს მოქცეული და აწერია: **ᲛᲐᲜᲣᲩᲐᲠ ᲛᲐᲩᲐᲘᲫᲔᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲕᲚᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ.** მანუჩარს ძალიან მოსწონს ეს ფიგურა, მასში საკუთარ თავს ხედავს, ამბობს ხოლმე — ხარივით გამწევი ძალა ვიყავიო.

**— ვერძებს ახასიათებენ, როგორც თავგადასავლების მოყვარულებსა და ოპტიმისტებს...**

— ოჯახთან მიმართებაში თავგადასავლები, ფორიაქი და ცვლილებები არ უყვარს, როდესაც დიდ ფეხბურთში იყო, ალბათ, მაშინ უფრო იყო ჩართული ასეთ სიტუაციებში. 40 წელია, რაც ერთად ვართ, მის ცხოვრებას ვყოფ ორ ეტაპად — აქტიურ სპორტში და მას შემდეგ. დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ მისთვის ფეხბურთი იყო დიდი აღმაფრენა და სწორედ იმ პერიოდში გახლდათ დიდი ოპტიმისტიც. დღესაც კი, როდესაც გარდასულ წელთა შესახებ გვიყვება, ისეთი განცდა ეუფლება, თითქოს მთელ იმ პროცესს იმეორებს. რაც წლები მოემატა და აქტიურ სპორტს თავი დაანება, უფრო ფრთხილი გახდა.

**— ეს სიფრთხილე, გარკვეულწილად, წინა მთავრობის მიერ მის მიმართ გამოჩენილმა უსამართლობამ ხომ არ გამოიწვია?**

— სწორედ იმ მთავრობის გამოძახილია მანუჩარის დღევანდელი ავადმყოფობა. მთელი ცხოვრება რომ ჯანსაღი ცხოვრებით ცხოვრობდა, ახლა შეზღუდული აქვს მოძრაობა, უჭირს სიარული და მისთვის ყველაზე მტკივნეულია ამასთან შეგუება. **ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲜᲔᲜ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲮᲛᲐᲛᲐᲚᲚᲐ ᲐᲠ**

ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

ᲜᲘᲙᲐ ᲜᲐᲜᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ
*მსახიობი*



**გვეშველება რამე?** თუ ერთმანეთის პატივისცემას **არ ვისწავლით,** თუ სხვისი უბედურებით ბედნიერებას **არ შევწყვეტთ,** თუ უბრალოდ მოსმენის კულტურას **ვერ ვიპოვით** საკუთარ თავში, თუ ქვეყანას მართლა **არ შევიყვარებთ** და ბევრი თუ, თუ, თუ კიდევ, მანამდე, **არა მგონია, რამე გვეშველოს.**

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

ᲒᲔᲚᲐ ᲚᲔᲟᲐᲕᲐ
*ნარკოლოგი, პროფესორი*



ერთმა ადამიანმა შეიძლება, **იმდენი ნარკოტიკი შემოიტანოს, რომ 30 ადამიანი სიკვდილამდე მიიყვანოს!** ხელისუფლების მიერ **ნარკოპოლიტიკის გამკაცრებას მივესალმები.** მიმაჩნია, რომ დღევანდელ საქართველოში **ეს არის ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებელი საქმე.**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

## „რაც შეეხება ხარს — მანუჩარი დაჯილდოებულია ბასა ღოლობერიძის პრიზით — ეს არის ხარის ფიგურა, რომელსაც რქებს შორის ფეხბურთის ბურთი აქვს მოქცეული და აწერია: მანუჩარ მაჩაიძეს ქართული ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის!“

**ლაპარაკობდა, არ ამჟღავნებდა, ძლიერად იდგა, თუმცა, განიცდიდა. მე უფრო ვბობოქრობდი.** ერთადერთხელ მითხრა — ცოლ-შვილი მიხსენეს და ჩემს ცოლ-შვილს სასწორზე ვერ დავდებო... ახლაღა ვხვდები, შინაგანად მასში რა დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა.

ძლიერი ორგანიზმი ჰქონდა, მაგრამ ამ დაძაბულობამ თავისი გაიტანა, თანდათან შეერყა ჯანმრთელობა. სიარულის მანერაში ვხედავდი ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ წნევა ძალიან მაღალი ჰქონდა, ექიმთან არ მომყვებოდა. **ვერაფრით ეგუებოდა იმ მთავრობის მიერ მის მიმართ გამოჩენილ უსამართლობას,** ამბობდა — ამათ თავიანთი ადგილი უნდა მივუჩინოო! 2013 წელს **ლევან ნოდიასთან** ერთად სამეგრელოშიც წავიდა, სადაც ჯერ კიდევ **ახალაიების კლანი** ბობოქრობდა, მეშინოდა, მისთვის რამე არ დაეშავებინათ, ვთხოვე — როცა დაგირეკავ, უმალ მიპასუხე, მეტი არაფერი მინდა-მეთქი. სამეგრელოში ჩასულს **ლევან ნოდიამ** უთხრა — გაოცებული ვარ, მეგრელებმა ისე მიგიღეს, ჩემზე მეტად შენ ჰყვარებიხართო... ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ უსამართლობა უსამართლობად დარჩა!

**— მათ, ვინც დღეს რუსთაველზე დგას, არ იციან, იმ რეჟიმმა როგორ გაიმეტა დიდი ფეხბურთელი მანუჩარ მაჩაიძე...**

— **ესენი ქვეყნის მოსისხლე მტრები არიან, მაგრამ ღმერთმა ნუ განაცდევინოს ის საშინელება, არაადამიანობა, მკვლელობები, სადიზმი, არაკაცობა და არაქალობა, რაც იმათ ჩაიდინეს.** უფრო საშინელი სიტყვები რა უნდა იყოს, რაც **დათო გამცემლიძის** მამამ თქვა: სააკაშვილი საავადმყოფოშია, ოროთახიან პალატაში, ხოლო ჩემი შვილი ცივ სამარეში წევსო! სააკაშვილის დედას ან ნაციონალების მიმდევრებს თავში თუ გონება აქვთ, მარტო ამ სიტყვებმა უნდა დაახევინოს უკან და შეაშინოს. **ბესო ხარძიანის** საქმის განხილვა რომ მოვისმინე, ისე ცუდად გავხდი, ორი დღე წნევა მქონდა და თვალწინ დამიდგა პერიოდი, მანუჩარის გაქვავებულ სახეს რომ ვუყურებდი. ჯოჯოხეთი ტრიალებდა, ზოგი დამარხეს, ზოგიც მიწასთან გაასწორეს, დათესეს ერთმანეთის უპატივცემულობა, მშობლების შეურაცხყოფა...

**ამ ახალგაზრდებს რომ ვუყურებ, მიკვირს, კაცის მკვლელებს ფარად რისთვის აეფარნენ! მათი მშობლები ჩემი თაობის ადამიანები არიან, შეძრწუნებული ვარ, ქვეყნის ასეთი სიძულვილით შვილი როგორ უნდა გაზარდო?!**

**— ქალბატონო ქეთევან, იმ რეჟიმის მიერ თქვენი მეუღლის საქმიანობაზე განხორციელებული ზეწოლის გამოძიებაზე რა დასკვნა დაიდო?**

— დიდი იმედი ჰქონდა, რომ საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ. ის ამბავი 2009 წელს მოხდა, მაგრამ ეს მთავრობა რომ მოვიდა, იმედი ისევ იმედად დარჩა!



გიგა გეენცაძე, ვლადიმერ გუცაევი, ალექსანდრე ჩივაძე და მანუჩარ მაჩაიძე, რომელსაც ხელში უჭირავს ბასა ღოლობერიძის სახელობის ჯილდო

## „კლდესავით იყო, 72 წლის ასაკშიც ფეხბურთს თამაშობდა და ახლა ვერ ეგუება თავის მდგომარეობას, იტყვის ხოლმე – რა დავაშავე, ასეთ დღეში რომ აღმოვჩნდიო!“

**საქმე დღემდე სასამართლოშია, ხოლო ჩემი მეუღლე — გაწამებული და ჯანმრთელობაშერყეული.** ინერვიულა, ჩათვალა, რომ ესენი უპატივცემულოდ მოექცნენ. სამწუხაროდ, მისი თაობის ფეხბურთელები დაუფასებლები არიან. ამასწინათ 35-ე სკოლაში ბავშვი მყავდა მიყვანილი, **თამაზ კოსტავა** ვნახე, გულის ოპერაცია აქვს გადატანილი, თქვენს თაობას რა დაგემართათ-მეთქი?! **ვლადიმერ გუცაევიც** ვერ გრძნობს თავს კარგად, **გიორგი თავაძეს** ხელ-ფეხი აქვს წართმეული. თამაზმა მითხრა: **150 და 200 მანეთზე არანორმალური დატვირთვით გვავარჯიშებდნენ, ეს ყველაფერი ხომ ჩვენს ჯანმრთელობაზე აისახა და მხოლოდ ხალხის სიყვარული შეგვრჩაო.**

**— ახლა დიდი მიღწევები აქვთ ახალგაზრდა ფეხბურთელებს...**

— დღეს **მანუჩარ მაჩაიძე** პატარა რომ ყოფილიყო, ფეხბურთელი ვერ გახდებოდა. **მანუჩარის** მშობლები ვერ გადაიხდიდნენ იმ გადასახადებს, რაც ახლა ბავშვს სავარჯიშოდ სჭირდება.



## „დღეს მანუჩარ მაჩაიძე პატარა რომ ყოფილიყო, ფეხბურთელი ვერ გახდებოდა. მანუჩარის მშობლები ვერ გადაიხდიდნენ იმ გადასახადებს, რაც ახლა ბავშვს სავარჯიშოდ სჭირდება!“

არ მომერიდება და ვიტყვი: **ბავშვთა ფეხბურთში ფული ბობოქრობს, ამიტომაც მიდიან საზღვარგარეთ.** კიდევ კარგი, მანუჩარი არ არის ამ საქმეებში გარეული! **როგორ ითხოვდა, 35-ე საფეხბურთო სკოლა რომ არ დაენგრიათ, მაგრამ არ გააკარეს იქაურობას, ჩამოიშორეს.** გასულ კვირას „ოქროს არწივით“ დააჯილდოვეს, უთხრეს — ამ ჯილდოს მხოლოდ ფეხბურთში დამსახურებისთვის კი არ გაძლევთ, ნამდვილი კაცობის ჯილდო არისო. ძალიან მახარებს, რომ მანუჩარი ხალხს უყვარს და აფასებს!

**— ვერძის თვისებაა, თუკი ადამიანი თავისიანად მიიღო, გრძნობის გამოხატვის არ ერიდება...**

— **მანუჩარს** არ უყვარს გრძნობის სახალხოდ გამომჟღავნება, თავშეკავებულია. სხვები რომ მეუღლეებს სახალხოდ აქებენ, არ მოსწონს, თვლის, რომ ამით ხდება ცოლ-ქმრის დამოკიდებულების გაუბრალოება. არც მე მომწონს, როდესაც ქალები იფიცებიან — ჩემს ქმარს, რაც ცოლად მომიყვანა, ჩემს იქით არ გაუხედავსო. მე არასოდეს შევუწუხებივარ კეთილისმსურველთა ზარებს, თავიდანვე ვიცოდი, ვის მივყვებოდი ცოლად, რომ სახელოვანი კაცი იყო, კარგი გარეგნობის და ქალბატონებს მოსწონდათ. **იმაზე მეეჭვიანა, რატომ მოსწონდათ და რატომ იყო სახელოვანი? პირიქით, ეს იყო ჩემი სიამაყე და დღესაც ასეა!**

**— ვერძებს არ უყვართ წუწუნი...**

— რაც ავად გახდა, წუწუნი შეუყვარდა, წამლების დალევა არ უნდა, ხასიათი შეეცვალა. ორთაბრძოლა გვაქვს. კლდესავით იყო, 72 წლის ასაკშიც ფეხბურთს თამაშობდა და ახლა ვერ ეგუება თავის მდგომარეობას, **იტყვის ხოლმე — რა დავაშავე, ასეთ დღეში რომ აღმოვჩნდიო!**

**— როგორ აღნიშნავს დაბადების დღეს?**

— უყვარს თავისი დაბადების დღე და თავისი ფეხბურთი! უყვარს ამ დღეს მეგობრებთან ერთად ყოფნა... ბევრი მათგანი, სამწუხაროდ, გამოაკლდა. დაბადების დღეს ახლა თავის რამდენიმე მეგობართან ერთად აღნიშნავს რესტორანში, ადრე ხალხს სახლში ვპატიჟებდით და მეც ხალისიანი ვიყავი.

მეგობრობს **რევაზ ძოძუაშვილთან,** მადლობა მას, რომ იმ რთულ დროში, როცა მანუჩარი თავის ავადმყოფობას ასე განიცდიდა, გვერდით დაუდგა და აიძულა, მასთან ერთად ტელევიზიაში წასულიყო და ფეხბურთზე ესაუბრა. ყოველ კვირას ერთად არიან. მანუჩარის მეგობრია ფიზიკოს-მათემატიკოსი **ზურა კერესელიძე,** ბავშვობიდან მის გვერდითაა **ნოდარ ჭელიძე.**

ჯანმთელობას ვუსურვებ ჩემს მეუღლეს, ძალიან დიდ პატივს ვცემ, მინდა, რომ კარგად იყოს და თავისი შვილიშვილებით იამაყოს. **ფეხბურთელები თუ გამოვლენ, საერთოდ დაავვირგვინებენ ყველაფერს!**

*ესაუბრა*

***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**თეონა ცირამუა**

*დირიჟორი, გორის ქალთა გუნდის ხელმძღვანელი*



ქორწინებიდან 5 წლისთავზე გვეწვია სიხარული, მანამდე იყო **რამდენიმე წარუმატებელი ორსულობა.** ბევრი ნერვიულობა და იმედგაცრუება ჩამოვიტოვე. უკვე იმისთვისაც ვიყავი მზად, რომ, **თუ არ დადგებოდა ორსულობა,** ამასაც შევგუებოდი. **ჩემს თავს უკვე უშვილობისთვისაც ვამზადებდი.**

„სარკე“

**თამთა ქელიძე**

*მომღერალი, ტელეწამყვანი*



ჩაცმულობით არავის ვბაძავდი, მაგრამ **ორი ქალბატონი თავისი სტილითა და დახვეწილობით ძალიან მომწონს** და ესენი არიან ჰოლივუდის ვარსკვლავი **შერონ სტოუნი** და ქართველი დიზაინერი **მაკა ასათიანი.**

„სარკე“

**მანანა თოდაძე**

*მომღერალი*



ერთხელ **ვიეტნამში უშველებელ ბაზრობაზე** გავედით და რას ვხედავ — **მადისაღმძვრელი გოჭი აჯიკასა და სანელებლებში შემწვარი!** მივუახლოვდი და ცხვირ-პირი მეუცნაურა. ინგლისური არ ესმოდათ და ვეკითხები, **ეს ღრუტ-ღრუტ არის-მეთქი? „ნო, მადამ, ამ-ამ-ამ“, — მიპასუხეს. ძაღლი ყოფილა შემწვარი!**

„სარკე“

**ნუნუ დულაშვილი**

*კომპოზიტორი*



როიალთან ჯდომა ჩემი მთავარი საქმე იყო, **თავადაც არ ვიცი, როგორ გავხდი კომპოზიტორი. ბიზო ნიშნიანიძე, ბიძინა კვერნაძე** ჩემი ძმაკაცები იყვნენ. გიზოს ძმაკაცები ფეხქვეშ მეფინებოდნენ, მაგრამ გაარშიყება არავის გაუბედავს. **მთელი ცხოვრება გულუბრყვილო და მიამიტი ადამიანი ვიყავი.**

„სარკე“

# ვერძის ზოდიაქოს ნიშანი –

***მარტის თვეში დაბადებული ვერძები გამოირჩევიან დიდი ენერგიით, თავდაჯერებულობითა და სიმტკიცით. არიან პირდაპირები და მიზანდასახულები. როგორც ზოდიაქოს პირველი ნიშანი, ბუნებით ლიდერები არიან, სიახლის მოყვარულები და ყოველთვის მზად არიან გამოწვევებისთვის. მოქმედებენ სწრაფად, ვერ იტანენ ლოდინსა და უმოქმედობას. მათი ერთ-ერთი მთავარი თვისებაა გულახდილობა, ამბობენ იმას, რასაც ფიქრობენ და ზოგჯერ უხეში ან მკაცრნიც არიან. პარტნიორად სჭირდებათ ისეთი ძლიერი და დამოუკიდებელი ადამიანები, რომლებიც ფეხს აუწყობენ მათ ტემპს. ვერ იტანენ ერთფეროვნებას, მათთან ურთიერთობა ყოველთვის დინამიკურია. კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად უნდა მიიღონ დაბალანსებული გადაწყვეტილებები, გამოიჩინონ მოთმინება და გააკონტროლონ ემოციები. მარტის ვერძებს წარმატება აქვთ სპორტში, ბიზნესში, სამხედრო საქმეში, პოლიტიკასა და ხელოვნებაში.***

## ზოდიაქოს ნიშნები

**ვერძი:** 21 მარტი — 20 აპრილი; **კურო:** 21 აპრილი — 20 მაისი; **ტყუპები:** 21 მაისი — 22 ივნისი; **კირჩხიბი:** 23 ივნისი — 22 ივლისი; **ლომი:** 23 ივლისი — 23 აგვისტო; **ქალწული:** 24 აგვისტო — 23 სექტემბერი; **სასწორი:** 24 სექტემბერი — 22 ოქტომბერი; **ღრიანკალი:** 23 ოქტომბერი — 22 ნოემბერი; **მშვილდოსანი:** 23 ნოემბერი — 21 დეკემბერი; **თხის რქა:** 22 დეკემბერი — 19 იანვარი; **მერწყული:** 20 იანვარი — 18 თებერვალი; **თევზები:** 19 თებერვალი — 20 მარტი.

## მიმდინარე კვირა: 24 – 30 მარტი

### ვერძის ნიშნით დაიბადნენ ცნობილი ქართველები:



**1953 წლის 24 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი (მეკარე), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის თასისა და ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი **ოთარ გაბელია.** იცავდა თბილისის „დინამოს“ და საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების ღირსებას.



**1949 წლის 25 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი (ნახევარმცველი), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი და ორგზის ფინალისტი **მანუჩარ მაჩაიძე.** იცავდა თბილისის „დინამოს“, საბჭოთა კავშირის ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების ღირსებას.



**1955 წლის 25 მარტს, თხის წელიწადში**, დაიბადა ეკონომისტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი **ლადო პაპავა.**



**1958 წლის 25 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ამჟამინდელი სამხატვრო ხელმძღვანელი **გოგი მარგველაშვილი.**



**1975 წლის 25 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა კინოსა და ტელევიზიის რეჟისორი, სტუდია „ფორმულა კრეატივის“ წევრი **გიორგი ლიფონავა.** მისი გადაღებულია ცნობილი სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“, „ხელოვნური სუნთქვა“.



**1981 წლის 25 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა მოდის დიზაინერი **დემნა გვასალია.** სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ცნობილ მოდის სახლებს: „Maison Martin Margiela“-ს, „Louis Vuitton“-ს, „Balenciaga“-ს. ერთი კვირის წინათ დაინიშნა იტალიური მოდის სახლის — „Gucci“-ს კრეატიულ დირექტორად.



**1984 წლის 26 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი **ქრისტინე იმედაძე.**



**1958 წლის 27 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ისტორიკოსი და იურისტი, „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **ბელა ნიკოლაიშვილი.**



**1960 წლის 27 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა მომღერალი და პიანისტი, ესტრადის მომღერალ **ნანი ბრეგვაძის** ქალიშვილი **ეკა მამალაძე.**



**1968 წლის 28 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა მხატვარი, „პარტიზანული მებაღეობა თბილისში“ დამფუძნებელი **ნატა ფერაძე.**



**1972 წლის 29 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ჟურნალისტი, საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ყოფილი პრესსპიკერი, ტელეკომპანია „ტვ პირველის“ ჟურნალისტი **ეკა მიშველაძე.**

**1964 წლის 30 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა ეკონომისტი, პოლიტიკოსი, პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის“ დამფუძნებელი **ჯონდი ბაღათურია.**





**1977 წლის 30 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა პოეტი და ფილოსოფოსი **რატი ამაღლობელი.**



**1974 წლის 30 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილე (2007 წლის აგვისტოდან 2009 წლის იანვრამდე) **სოფიო ხორგუანი.**

### ვერძის ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1914 წლის 24 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა თეატრისა და კინოს მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **გრიგოლ (გიგოლა) თალაკვაძე.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1929 წლის 24 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა წყალბურთელი, სამგზის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი **პეტრე მშვენიერაძე.** გარდაიცვალა 74 წლის ასაკში, თხის წელიწადში.



**1931 წლის 24 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა ფეხბურთელი (თავდამსხმელი) **ზაურ კალოევი.** იცავდა თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ოლიმპიური საფეხბურთო ნაკრების ღირსებას. იყო 1960 წლის ევროპის ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. გარდაიცვალა 66 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1980 წლის 24 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზისა და სპეციალურ გამოკვლევათა ცენტრის ხელმძღვანელი **ლევან სამხარაული.** მოკლეს 25 წლის ასაკში, მამლის წელიწადში.



**1922 წლის 25 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა რეჟისორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სახალხო არტისტი **ლილი იოსელიანი.** გარდაიცვალა 92 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1924 წლის 25 მარტს, ვირთხის წელიწადში,** დაიბადა ინფექციონისტი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ვახტანგ ბოჭორიშვილი.** გარდაიცვალა 78 წლის ასაკში, ცხენის წელიწადში.



**1941 წლის 25 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ფერმწერი, საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მსახიობ **მარი ჯანაშიას** მეუღლე **თემო გოცაძე.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1898 წლის 26 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ენათმეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სამეცნიერო სკოლის ფუძემდებელი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მთავარი რედაქტორი **არნოლდ ჩიქობავა.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1899 წლის 26 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა სსრკ-ის მეცნიე-

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 24 მარტი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.58 საათზე, ჩადის 18.18 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს მერწყულის ზოდიაქოში 19.30 საათზე. ამოდის 03.18 საათზე, ჩადის 12.10 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 06.21 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.02 საათიდან 19.26 საათამდე. **ტენდენციები:** მეტი დრო დაუთმეთ ჯანმრთელობას, დაუგდეთ ყური თქვენს ინტუიციას. შესაძლებელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. მიზნის მიღწევა კი გაადვილდება. მოსალოდნელია პრობლემების გადაჭრის სწორი გზის პოვნა. შეიტანეთ სიახლეები თქვენს გეგმებში. ეფექტურია კუჭ-ნაწლავის, ფილტვების, მკერდზე მკურნალობა, კანის, ფრჩხილების მოვლა. ნეგატიური დღეა მცენარეების გადარგვისთვის, ფინანსური ოპერაციებისთვის, ხელმძღვანელებთან ურთიერთობისთვის, ვაჭრობისთვის, გაცვლითი ოპერაციებისთვის, ქორწინებისთვის, ახალი კავშირებისთვის, სტომატოლოგიური პროცედურებისთვის, მანუალური მასაჟისთვის, ალერგიის გამომწვევი პროდუქტების მისაღებად. სასიკეთო დღეა მავნე ჩვევებისაგან გათავისუფლებისთვის, კოლექციის შესაგროვებლად, ნადირობისა და თევზაობისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ექსკურსიებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, თვალები, ნერვული სისტემა. **ქვები:** ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, ტყუპებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

### 25 მარტი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.56 საათზე, ჩადის 18.19 საათზე. **მთვარე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 03.55 საათზე, ჩადის 13.24 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 06.39 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** მეტი დრო დაუთმეთ საყოფაცხოვრებო საკითხებს და ჯანმრთელობას. კარგი დღეა კონტაქტებისათვის. მოსალოდნელია პერსპექტივების გაფართოება ბიზნესში, ახალი გზით ძველი პრობლემების გადაჭრა. პარტნიორულ ურთიერთობებში გამახვილდება მეტი თავისუფლებისადმი მიდრეკილება. დიდხანს ფეხზე ნუ იდგებით, ჯობია, იაროთ. ნუ ფორიაქობთ, ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ. საკვებ რაციონში ნუ შეიტანთ მლაშე, შებოლილ კერძებს, ფასტ-ფუდს, კონსერვებს, ცხარე სანელებლებს. არ ვარგა მცენარეების დარგვა-გადარგვა (ხეების გარდა), ხელმძღვანელებთან ურთიერთობა. მეგობრულ ურთიერთობაში საიდუმლო არ შეინახება. პოზიტიური დღეა საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეებისთვის, სწავლისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სახლის მშენებლობისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ელექტრო, გაზ და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაძენად, რემონტისთვის, დიეტის დასაწყებად, გართობისთვის. დაუგდეთ ყური დიდების რჩევებს. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ვენები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ციტრინი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 26 მარტი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.54 საათზე, ჩადის 18.20 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში 23.39 საათზე, ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 14.40 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 06.50 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 17.13 საათიდან 23.33 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** კარგი დღეა ლოცვისა და სულიერი პრაქტიკისთვის. ძველმა საქმემ შეიძლება მოგება მოგიტანოთ. შესაძლებელია კარგი ამბის გაგება. საბუთებზე ხელს ნუ მოაწერთ, სანამ მათ არ გადაამოწმებთ. ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. პარტნიორულ ურთიერთობაში ნუ გაამწვავებთ პრობლემებს, გამოიყენეთ იუმორი. ზედმეტს ნუ ილაპარაკებთ, დაეყრდენით მხოლოდ რეალურ ფაქტებს. მოერიდეთ მცენარეების დარგვა-გადარგვას (ხეების გარდა), ფეხზე დიდხანს დგომას, ჯობია, იაროთ. დაუგდეთ ყური უფროსი თაობის ქალბატონთა რჩევებს. მეგობრულ ურთიერთობებში საიდუმლო არ შეინახება. სასიკეთო დღეა საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმიანობისთვის, ინტელექტუალური განვითარებისთვის (სწავლა), საიუბილეო საღამოებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ლითონებით, მინერალებით ვაჭრობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, უძრავი ქონებით ვაჭრობისთვის, სახლის მშენებლობისთვის, ელექტრო, გაზ და კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად, განცხადებებისა და რეკლამისთავის, ადგილსამყოფლის (ბინის) შესაცვლელად, სესხის ასაღებად, სამღებრო-სამშენებლო სამუშაოებისთვის, დიეტის დასაწყებად, გართობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** აკვამარინი, ცირკონი, საფირონი, ძოწი, ლაბრადორი. **პოზიტიური დღეა** ტყუპებისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

### 27 მარტი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.52 საათზე, ჩადის 18.21 საათზე. მთვარე იმყოფება თევზების ზოდიაქოში. ამოდის 04.53 საათზე, ჩადის 15.57 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 06.58 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები: დღეიდან შავი მთვარე (ლილიტი), ანუ დემონური ძალების მმართველი, 9 თვით გადაინაცვლებს ღრიანკალის ზოდიაქოში.** ეს მისი უძლიერესი ადგილსამყოფელია, რის შედეგადაც გაძლიერდება ადამიანების ზომბირების, შავი მაგიებით ზეგავლენის, ცდუნებების, მავნე ჩვევების გაძლიერების, სექსუალური ძალადობის, სუიციდის, მანიაკური აზრების, შიშების, აგრესიის, ღალატის ტენდენცია. გაძლიერდება ადამიანთა ხასიათში ეჭვიანობა, სადიზმი, სიჯიუტე, პირდაპირობა, წყენა. მოიმატებს მკვლელობის, სამხედრო კონფლიქტების, ტექნოგენური და სტიქიური კატასტროფების ალბათობა, ინფექციური დაავადების გავრცელება. დღეს აკონტროლეთ ემოციები, განსაკუთრებით პარტნიორულ ურთიერთობებში. დღეს და ხვალ მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, პროვოკაციებს ხვალინდელი მზის დაბნელების წინ. მოერიდეთ ახალი საქმის დაწყებას, სისხლის აღებას ან გაცემას, ანალიზების ჩაბარებას, ექოსკოპიას, ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ ნივთიერებებსა და ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებს. საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. ახალ ფეხსაცმელს ნუ ჩაიცვამთ. კარგი დღეა ქველმოქმედებისთვის, ძველი ნივთებისგან გათავისუფლებისთვის. მოსალოდნელია ალერგიული შეშუპება. აკონტროლეთ საკვების და სასმლის ხარისხი. საკვებ რაციონში შეიტანეთ თევზეული, ბროკოლი, ხილი, ნუში. არ ვარგა ახალი საქმის დაწყება. კარგია ფოტოგრაფია, შემოქმედებითი მუშაობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეიტრალურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

# 21 მარტი – 20 აპრილი

რებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრკ-ის მუზეუმების ეროვნული კომიტეტისა და მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს წევრი, საქართველოს ხელოვნების მუზეუმის დირექტორი **შალვა ამირანაშვილი.** გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1939 წლის 26 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა მწერალი, თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი **ზურამ დოჩანაშვილი.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.

**1920 წლის 28 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა



პოეტი და დრამატურგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გიორგი XII-ის ძის, ბაგრატის შთამომავალი **პეტრე ბაგრატიონი (ბრუზინსკი).** გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1923 წლის 28 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა მწერალი და მთარგმნელი **აკაკი გელოვანი.** ნათარგმნი აქვს: გოეთეს, ჰაინრიხ ჰაინეს, ფრიდრიხ შილერის, ჰენრიკ იბსენის, შტეფან ცვაიგის, აპოლონიოს როდოსელის და სხვათა თხზულებები. გარდაიცვალა 73 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1881 წლის 29 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი, **ვასო აბაშიძისა** და **მაკო საფაროვა-აბაშიძის** ქალიშვილი **ტასო აბაშიძე.** გარდაიცვალა 77 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1899 წლის 29 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი, კომპარტიის ცკ პირველი მდივანი 1934-1938 წლებში, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი **ლავრენტი ბერია.** მოკლეს 54 წლის ასაკში, გველის წელიწადში.

## ასტროლოგიური კვირა მიხეილ ცაგარელის მიხედვით

### 28 მარტი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.51 საათზე. ჩადის 18.22 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში 23.39 საათზე. ამოდის 05.17 საათზე, ჩადის 17.15 საათზე (მთვარის 29-ე დღე იწყება 07.05 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 23.31 საათიდან 00.37 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: სიყვარულის, ხელოვნების მმართველი პლანეტა ვენერა დღეიდან 30 აპრილამდე გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში** და ამ ზეგავლენის შედეგად მეტად განავითარებს პარტნიორულ ურთიერთობებში ემოციურობას, მგრძნობელობას, რომანტიზმს, ინტუიციას, ამავდროულად ფანტაზიებს, გადამეტებულ თანაგრძნობას, ფიქრებს წარსულზე, ტყუილს. ეს მოვლენა ხელს შეუწყობს მწერლების, მსახიობების, პოეტების, ქველმოქმედების, ეზოთერიკოსების, ტურისტულ სფეროში მოღვაწეთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ნუ აჰყვებით პროვოკაციებს, ახალ საქმესაც ნუ დაიწყებთ. მოსალოდნელია დაავადებათა გამწვავება. მოიმატებს ცდუნებათა ალბათობა. პარტნიორულ ურთიერთობებში მოიმატებს გულის გადაშლის სურვილი. მოერიდეთ პედიკიურს, ანალიზებს, ექოსკოპიას, ალკოჰოლურ სასმელებსა და ნარკოტიკულ, ფსიქოტროპულ პრეპარატებს, საიდუმლო საქმეებსა და სიყვარულს, დღეს საიდუმლო ადვილად გამოაშკარავდება. მოსალოდნელია ალერგიული შეშუპება, ახალ ფეხსაცმელს ნუ ჩაიცვამთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ლიმფური და ნერვული სისტემები, თვალები, ტერფები. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, მარჯანი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ტყუპებისთვის, ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

### 29 მარტი, შაბათი

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.49 საათზე, ჩადის 18.23 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 05.41 საათზე, ჩადის 18.34 საათზე **(ახალმთვარეობის პირველი** დღე. I ფაზა. მზის დაბნელება (14.48). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: დღეს ახალმთვარეობა და მზის დაბნელებაა — მძიმე ენერგიების დღე. მზის და მთვარის ენერგიათა შეერთება შეაჯამებს ბოლო ორი წლის მონაგარს და ნამოქმედარს.** თქვენი ცხოვრების შეერთება ხდება ვერძის ზოდიაქოში, ამ დროს იხსნება ზედა ზოდიაქო — საათის სახელწოდებით, ამიტომ აქედან იწყება პერიოდი კარდინალური განახლების ყველა სფეროში, ახალი ევოლუციური სპირალი იწყებს ამოქმედებას, ახალი ლიდერების წამოჩენით. დღის მძიმე ენერგიები განაპირობებენ ტრავმებს, ავარიებს, კამათს, კონფლიქტებს, ცდუნებებს, შეცდომებს, ეგოიზმს, აგრესიისა და დეპრესიის სულსწრაფობას, ჯანმრთელობის გაუარესებას და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს, იყავით ყურადღებით, მნიშვნელოვანი და ახალი საქმეები გადადეთ შეძლებისდაგვარად, დღე მშვიდად გაატარეთ, აკონტროლეთ ემოციები — **ილოცეთ და დალოცეთ ყველა.** მოერიდეთ ყიდვა-გაყიდვას, ფულის სესხება-გასესხებას, ალკოჰოლურ სასმელებს, ნარკოტიკულ ნივთიერებებს, საქმეთა და ურთიერთობათა გარჩევას, წესების დარღვევას (დაჯარიმდებით), საკვებ რაციონში შოკოლადის, ყავის, შაქრის გამოყენებას, მცენარეებთან მუშაობას, მორწყვას, ქორწინებას, ტექნიკასთან ურთიერთობას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებებს, ხელშეკრულების დადებას, აზარტს და აზარტულ თამაშებს, სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** გიშერი, აქატი, იაგუნდი, წითელი იასპი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

### 30 მარტი , კვირა

**მზე** იმყოფება ვერძის ზოდიაქოში. ამოდის 05.47 საათზე, ჩადის 18.24 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში 23.13 საათზე. ამოდის 06.05 საათზე, ჩადის 19.55 საათზე (მთვარის მე-2 დღე იწყება 07.16 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 13.19 საათიდან 23.17 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: ინტელექტის, გონების მმართველი პლანეტა მერკური დღეიდან 16 აპრილამდე გადაინაცვლებს თევზების ზოდიაქოში** და ამით განავითარებს ადამიანებში დახვეწილი იუმორის გრძნობას, რომანტიზმს, ინტუიციას, ფოტოგრაფიულ მეხსიერებას, ამავდროულად, გააღვივებს ილუზიებს, წარსულზე ფიქრს, ზღვარგადასულ თანაგრძნობას. დღესვე პლანეტა ნეპტუნი 2 სექტემბრამდე გადაინაცვლებს ვერძის ზოდიაქოში, რაც მეტად განავითარებს რწმენას, შემოქმედებით ნიჭს, ინტუიციას, რელიგიისა და კოსმიური საკითხებისადმი, ქველმოქმედებისადმი აქტიურ მიდრეკილებას, ამავდროულად, გააღვივებს რელიგიურ და იდეურ ფანტაზიებს, რწმენისადმი სასიკვდილო ბრძოლას. დღეს მაღალია გადაღლის, გაუგებრობის ალბათობა. ახალი გეგმები გაასაიდუმლოეთ. პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. გუშინდელი მზის დაბნელების შემდეგ გაუფრთხილდით ჯანმრთელობას, მშვიდად გაიარეთ ეს დღე. პარტნიორულ ურთიერთობებში ნუ იკამათებთ. ფიზიკურად და სულიერად ნუ გადაიღლებით, აკონტროლეთ ემოცია. მოერიდეთ ალკოჰოლურ სასმელებს, წესების დარღვევას (დაჯარიმდებით), ქორწინებას, კაპიტალდაბანდებებს, ხელშეკრულების დადებას, სტომატოლოგიურ პროცედურებს. კარგი დღეა საყოფაცხოვრებო ნივთების, სპორტული ნაწარმის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, ცხვირი, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი, ძოწი, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თხის რქისთვის, ტყუპებისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია: 26, 28, 29 და 30 მარტი

**29 მარტი – ახალმთვარეობა, მზის დაბნელება.**



**1914 წლის 29 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა მსახიობი და დიქტორი, საქართველოს სახალხო არტისტი **ქეთო ლანდია.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, გველის წელიწადში.



**1928 წლის 29 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, პუბლიცისტი და მწერალი **აკაკი ბაქრაძე.** გარდაიცვალა 71 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.



**1929 წლის 29 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა სპორტსმენი, მოჭიდავე, XVI ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიოს სამგზისა და საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონი **ბივი ქართოზია.** საქართველოს სპორტსმენთა შორის ის იყო პირველი მსოფლიო ჩემპიონი, გარდაიცვალა 69 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1934 წლის 29 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიკოსი **გიგა ბათიაშვილი.** გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1896 წლის 30 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, საქართველოსა და სსრკ-ის სახალხო მხატვარი, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ლადო გუდიაშვილი.** გარდაიცვალა 84 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1973 წლის 30 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა სამართალმცოდნე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე 2005-2015 წლებში **კონსტანტინე კუბლაშვილი.** გარდაიცვალა 50 წლის ასაკში, კურდღლის წელიწადში.

## ვერძის ნიშნით დაიბადნენ:



**1977 წლის 24 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, ჯულიარდის სკოლის კურსდამთავრებული **ჯესიკა ჩესტეინი.** ორჯერ იყო ნომინირებული ამერიკის კინოაკადემიის პრიზზე — „ოსკარზე“.



**1947 წლის 25 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი პოპ და როკ-მუსიკოსი, მომღერალი და კომპოზიტორი, გრემის ჯილდოს ექვსგზის მფლობელი **ელტონ ჯონი.**



**1965 წლის 25 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი **სარა ჯესიკა პარკერი.** ცნობილი გახდა სერიალით „სექსი დიდ ქალაქში“.



**1985 წლის 26 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი კინოსა და ტელევიზიის მსახიობი, ოქროს გლობუსის, BAFTA-სა და ოსკარის ნომინანტი **კირა ნაითლი.**



**1970 წლის 27 მარტს, ძაღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი **ელიზაბეტ მიჩელი.** განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მისტიკურ-დრამატული სერიალის „Lost“-ის გამოსვლის შემდეგ.



**1963 წლის 27 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი კინორეჟისორი, სცენარისტი, პროდიუსერი და მსახიობი **კვენტინ ტარანტინო.**



**1969 წლის 27 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი, მსახიობი, მუსიკალური პროდიუსერი და კომპოზიტორი **მერაია კერი.**



**1986 წლის 28 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი, სიმღერების ავტორი და მსახიობი **ლედი გაგა (სტეფანი ჯერმანოტა).**



**1945 წლის 30 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ინგლისელი გიტარისტი, მომღერალი და მუსიკოსი **ერიკ კლეპტონი.**



**1968 წლის 30 მარტს, მაიმუნის წელიწადში,** დაიბადა კანადელი მომღერალი **სელინ დიონი,** რომელმაც 1988 წელს ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე შვეიცარია წარადგინა და პირველი ადგილი დაიკავა.

## ვერძის ნიშნით იყვნენ დაბადებულნი:



**1930 წლის 24 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, 1960-1970-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი მსახიობი **სტივ მაკ-კუინი.** გარდაიცვალა 50 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1953 წლის 24 მარტს, გველის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მსახიობი, კომიკოსი **ლუი ანდერსონი,** ცნობილია ავტობიოგრაფიული ანიმაციური სერიალით „ცხოვრება ლუისთან ერთად“. გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1867 წლის 25 მარტს, კურდღლის წელიწადში,** დაიბადა იტალიელი დირიჟორი, ერთ-ერთი ყველაზე განთქმული მუსიკოსი, ფენომენალური მახსოვრობისა და სმენის მქონე **არტურო ტოსკანინი.** გარდაიცვალა 90 წლის ასაკში, მაიმუნის წელიწადში.



**1921 წლის 25 მარტს, მამლის წელიწადში,** დაიბადა ფრანგი მსახიობი ქალი **სიმონ სინიორე.** მიღებული აქვს ბრიტანეთის ხელოვნების აკადემიის ჯილდო BAFTA, ოსკარისა და კანის კინოფესტივალის ჯილდოები. გარდაიცვალა 64 წლის ასაკში, ხარის წელიწადში.



**1942 წლის 25 მარტს, ცხენის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი მომღერალი და სიმღერების ავტორი, თვრამეტი გრემის მფლობელი **არეტა ფრანკლინი.** მისი რეპერტუარი მოიცავდა ბლუზს, სოულსა და გოსპელს. გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ძაღლის წელიწადში.



**1911 წლის 26 მარტს, ღორის წელიწადში,** დაიბადა ამერიკელი დრამატურგი **თომას უილიამსი,** ცნობილია, როგორც **ტენესი უილიამსი.** მისი დრამები „ტრამვაი, სახელად სურვილი“ და „კატა თუნუქის გახურებულ სახურავზე“ დადგმულია ქართული თეატრის სცენაზე. გარდაიცვალა 72 წლის ასაკში, ღორის წელიწადში.



**1871 წლის 27 მარტს, თხის წელიწადში,** დაიბადა გერმანელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე **ჰაინრიხ მანი.** გარდაიცვალა 79 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1868 წლის 28 მარტს, დრაკონის წელიწადში,** დაიბადა რუსი მწერალი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი, სოციალისტური რეალიზმისა და საბჭოთა ლიტერატურის ფუძემდებელი **მაქსიმ გორკი.** გარდაიცვალა 68 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.



**1853 წლის 30 მარტს, ხარის წელიწადში,** დაიბადა ნიდერლანდელი ფერმწერი და გრაფიკოსი **ვინსენტ ვან გოგი.** გარდაიცვალა 37 წლის ასაკში, ვეფხვის წელიწადში.



**1746 წლის 30 მარტს, ვეფხვის წელიწადში,** დაიბადა ესპანელი ფერმწერი, გრაფიკოსი და გრავიორი **ფრანსისკო გოია.** გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, ვირთხის წელიწადში.

| ავეზარი ჟურნალისტი | ხევისბერი გოჩას ვაჟი | ლავსანის სახელი ინგლისში | ფიროსმანი | ინდოელი რაბინ დრანათ ... | საწვიმარი | ვი-ვი-ენ ... |
|---|---|---|---|---|---|---|

| ბაბუა | საკვების ულუფა გარკვეული ვადისთვის | ძაღლის ჯიში | პროლეტარიატის ბელადი | მოწნული ჭურჭელი | მაიმუნის სახეობა | ტოლი, სწორი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. ბოსტნეულის მავნებელი მწერი, მახრა; 11. კანის ავთვისებიანი სიმსივნე; 12. რაიმე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება; 13. მხარზე გადასაკიდებელი ორთვლიანი ნაქსოვი ჩანთა; 14. მსახიობი ია ...; 15. ეკვატორის პარალელურად გატარებული წარმოსახვითი ხაზი დედამიწის ზედაპირზე; 16. ძველებური ფრანგული ოქროს ფული; 17. გამომწვარი თიხის ნაკეთობანი; 21. იგივეა, რაც ქელეხი (ძვ.); 24. მიმართვა ფრანგი ქალისადმი; 27. გადასატანი რადიოსადგური; 30. ხასხასა წითელი ფერის მგალობელი ფრინველი; 31. გ. ერისთავის პიესა; 32. მდინარე ჩრდილოეთ კავკასიაში; 33. ევროპის სახელმწიფო; 34. დედანი; 39. დაწიე! — პორტის მტვირთავების ენაზე; 40. გამარჯვების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 42. სიტყვის ნაწილი, ნიშნავს გაორმაგებას; 43. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 44. უ. სკოტის რომანი; 46. მსახიობი ... ნოლტი; 47. მეტყველების ორგანო; 48. რომის იმპერატორი; 52. იგივეა, რაც ჯანწი; 53. უმაღლეს სასულიერო პირთა თავსარქმელი; 55. წყალქვეშა კლდე; 56. დროის მონაკვეთი დილიდან საღამომდე; 58. აზოტოვანი მჟავას მარილები; 60. ფრანგი კომპოზიტორი; 61. რეპუტაცია; 63. სამოთხის ბაღი; 65. გულის გარსი, პერანგი; 66. მულტპერსონაჟი ... მაუსი; 67. ინდოეთის დედაქალაქი; 68. ქაღალდის ფულის გამოშვება.

შვეულად: 1. გოლკიპერი; 2. გამრავლების ცხრილი; 3. აქლემის ნაშიერი; 4. ყვავის მართვე; 5. მუსიკალური საკრავების ხმის ჩამხშობის მოწყობილობა; 6. აშშ-ის შტატი; 7. არატიპურობა; 8. ძველბერძნული პოლისი ლაკონიკაში; 9. ტკივილის შეგრძნების დაკარგვა; 10. ინგლისელი მწერალი; 17. შოკოლადის მასალა; 18. ამერიკელი მსახიობი მიკი ...; 19. ვარდობისთვე; 20. იხვი (კუთხ.); 22. ერთგვარი ტყის ბალახი; 23. ყველაზე უფრო ორგანიზებული ძუძუმწოვართა რაზმი; 24. ძველი ხალხური თქმულება (ზოგად.); 25. ფრანგი გმირი ქალი ჟანა ...; 26. სასვენი ნიშანი; 28. ნაჯახი, ანუ...; 29. მტაცებელი ფრინველი, ქორი; 35. სირბილი, რბენა (ძვ.); 36. პოპმუსიკის ჯილდო; 37. კუნძული წყნარ ოკეანეში; 38. ხვიარა მცენარე; 40. დეფექტი; 41. ერთგვარი ცეკვა; 42. ბავშვების აღმზრდელი ქალი; 44. ჯადოსნური ლამპრის მფლობელი ზღაპრული პერსონაჟი; 45. მიმართვა მამაკაცისადმი გერმანიაში; 48. ერთგვარი პატარა დივანი; 49. პირობითი ასოითი ნიშანი; 50. რუსი კომპოზიტორი; 51. სიგრძის ძველებური ფრანგული საზომი; 53. ანჟელიკას როლის შემსრულებელი მსახიობი; 54. მთრიმლავი ნივთიერება; 55. ინგლისელი მწერალი („ოცეოლა“); 57. წინასწარ გაცემული ხელფასის ნაწილი; 59. სვე, განგება; 62. ქმრის და; 64. მნათობი; 66. მესამე ნოტი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 27-ე გვერდზე*

| ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | სწრაფი თავდასხმა, შეტევა | რკინიგზის ყრილი რელსების ქვეშ | მდინარე ლიეტუვაში | გერონტოლოგიის ნაწილი | ჩრდილოეთ იტალიის ოლქი |
|---|---|---|---|---|---|

| კურკოვანი ხილი | გრძელ დისტანციაზე მორბენალი | იაპონური ფირმა | კინოს მოძველებული სახელი | აფრიკის სახელმწიფო | ბრუნვა | საქართველოს რეგიონი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2025 წლის 24 – 30 მარტი №13 (1584)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი
*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com
გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA Acting Architect of the Capitol